

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

თინათინ კაპანაძე

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა
და თანამედროვეობა

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

პროფესორი ლელა თავდგირიძე
ასოც. პროფესორი მაია ახვლედიანი

ბათუმი

2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თ. კაპანაძე

შინაარსი

შესავალი	3
თავი I – შტრიხები გიორგი თავზიშვილის ცხოვრებიდან და მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიიდან	9
თავი II – პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების საკითხები გიორგი თავზიშვილის ნააზრევში	19
ა) გიორგი თავზიშვილი – ქართული პედაგოგიკის თეორეტიკოსი	19
ბ) პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდის საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში	30
გ) პოლიტექნიკური განათლების საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში	40
თავი III – ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის საკითხები გიორგი თავზიშვილის ნააზრევში	43
ა) გიორგი თავზიშვილი – X-XVIII საუკუნების საქართველოსა და უცხოეთში არსებულ ქართულ სასწავლო დაწესებულებათა ისტორიის მკვლევარი	43
ბ) ქართული სასწავლო დაწესებულებანი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში	58
გ) ქართული სასწავლო დაწესებულებანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში	81
თავი IV – გიორგი თავზიშვილი – ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების მკვლევარი	114
დასკვნები	151
გამოყენებული ლიტერატურა	155

შესავალი

პედაგოგიკური მეცნიერების წინაშე თანამედროვე ეტაპზე მდგარ პრობლემათა გადასაწყვეტი ოპტიმალური გზების მოსამიებლად სხვა ფაქტორებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ წინამორბედ მკვლევართა და აღნიშნული საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მოღვაწეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა ამ თვალსაზრისით უსათუოდ ქმნის მყარ საფუძველს სწავლა-სწავლებასთან და აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხთა გადასაჭრელ ოპტიმალურ გზათა მისაგნებად.

კვლევის მიზანი. წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია მიზნად ისახავს, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ქართული პედაგოგიური აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის - გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა; თანამედროვე თვალთახედვით იქნეს განხილული და შეფასებული მისი პედაგოგიური შეხედულებანი და უაღრესად მნიშვნელოვანი დამსახურება ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში საფუძვლიანადაა გაანალიზებული გასული საუკუნის დიდი ქართველი პედაგოგის, თეორეტიკოსისა და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის სისტემური კურსის პირველად შემქმნელის - გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა. მას უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დისერტაციაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეტად მნიშვნელოვანი იმ წვლილის წარმოჩენას, რომელიც მას აქვს შეტანილი ისეთი საკითხების შესწავლის საქმეში, როგორებიცაა:

ა) უცხოელ მკვლევართა მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, ქართულ პედაგოგიკაში მან ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ფუნდამენტური განხილვის საგნად აქცია შემდეგი საკითხები:

პედაგოგიკის მიზნები, ამოცანები და სოციალური კანონზომიერებანი, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა-გათვალისწინება, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

ბ) გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური იდეებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდასთან, სწავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, შრომითი და შეგნებული დისციპლინის ფორმირებასთან და პედაგოგიკური აზროვნების სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული და დღესაც ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი.

გ) მეცნიერული სიღრმით გაიაზრა შრომითი დისციპლინის აღზრდის საკითხები და გვიჩვენა მათი როლი პიროვნების აქტივობის, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი და გონიერივი განვითარების პროცესში; მკაფიოდ და ნათლად ჩამოაყალიბა შრომითი აღზრდის მიზანი, შრომის მოტივაცია, შრომის შედეგით გამოწვეული სიამოვნება, შრომისმოყვარეობა, შრომის დისციპლინა და სხვა.

გ. თავზიშვილმა ასევე დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

გ. თავზიშვილის ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი მონოგრაფიული ნარკვევების გამოქვეყნებამდე საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორია და ქართული პედაგოგიური აზროვნების ცნობილ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო შეხედულებანი ესოდენი სიღრმითა და მასშტაბებით შესწავლილი არ ყოფილა.

კვლევის ჰიპოთეზა. სადისერტაციო ნაშრომში გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა გაანალიზებულია თანამედროვე გამოწვევებთან

მიმართებით. გავლებულია პარალელები საბჭოურ ხედვასა და დღევანდელობას შორის. აღსანიშნავია, რომ გ. თავზიშვილის პედაგოგიკური იდეები დღესაც აქტუალურია, მიუხედავად იმ დროისათვის არსებული საბჭოთა იდეოლოგიური გავლენისა. ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, წარსულში მოღვაწე მეცნიერთა მოსაზრებების კვალდაკვალ და თანამედროვეობასთან კონტექსტში მიღებული გადაწყვეტილებები იქნება საუკეთესო გზა განათლების და ზოგადად ნებისმიერ სფეროში წარსულით მომავლის წინასწარმეტყველებისა და არსებულ გამოწვევათა დაძლევისა.

კვლევის სიახლე და ინოვაციურობა. როგორც ითქვა, გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მისი პედაგოგიკური იდეების მიმართებას სწავლა-აღზრდის თანამედროვე პრობლემებთან. აქედან გამომდინარე:

- საფუძვლიანად და კრიტიკულად იქნა განხილული სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით გ. თავზიშვილის მიერ შექმნილი ნაშრომები და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენების საფუძველზე, საბჭოურ და თანამედროვე ევროპულ ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით, გამოვლინდა მათი როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები სასწავლო-სააღმზრდელო კუთხით. ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით განხორციელებული მისი კვლევის შედეგთა გათვალისწინება და თანამედროვე რეალობასთან მისადაგებული სახით პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს თანამედროვე სკოლაში ინტერნაციონალიზმის პროცესის კიდევ უფრო მეტად განხორციელებას.

საკითხის აქტუალურობა და მნიშვნელობა: გ. თავზიშვილის პედაგოგიკური იდეების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მათ როლსა და მნიშვნელობას თანამედროვე პედაგოგიკის უმთავრეს მოთხოვნებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მიერ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ რეკომენდაციათა ცალკეული დებულებანი ძირითადად საბჭოთა

პერიოდის იდეოლოგიურ პოლიტიკაზე იყო დაფუძნებული, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც ფასეულია და გასათვალისწინებელი. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდასთან, სწავლა-სწავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, შრომითი და შეგნებული დისციპლინის ფორმირებასთან და პედაგოგიკური აზროვნების სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი.

კვლევის მეთოდოლოგია. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა შესწავლილ იქნა კომპლექსურად, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები: ისტორიული, მხატვრული ტექსტებისა და საარქივო მასალების ანალიზისა და განზოგადების, ისტორიული-შედარებითი და სხვა მეთოდები; ხსენებულ მეთოდებზე დაყრდნობით საფუძვლიანად, თანამედროვე მოთხოვნებთან მიმართებით იქნა შესწავლილი გიორგი თავზიშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა, რის შედეგადაც შევეცადეთ ობიექტურად განგვესაზღვრა მისი წვლილი ქართული პედაგოგიკის განვითარებაში.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ჩვენი აზრით, გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად არა მარტო ამ მკვლევრის მიერ ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შეტანილი წვლილი წარმოჩინდა არგუმენტირებულად, არამედ საბჭოთა პერიოდის ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერების სპეციფიკური მხარეებიც გამოვლინდა რამდენადმე ახალი რაკურსით. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მოკლედ შეიძლება ასე განისაზღვროს:

ა) გიორგი თავზიშვილმა, ქართველ მკვლევართაგან პირველმა, მაღალ მეცნიერულ დონეზე დაამუშავა პედაგოგიკური მეცნიერების ისეთი ფუძემდებლური საკითხები, როგორებიცაა: პედაგოგიკის მიზნები, ამოცანები, აღზრდის განმარტება, პედაგოგიკის სოციალური კანონზომიერებანი, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური

თავისებურებები, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღი ურთიერთობის დამკვიდრებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

ბ) საგანგებოდ, უნდა აღინიშნოს გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ყველა მეცნიერის მსგავსად, იმდროინდელმა პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა კონიუნქტურამ მის ნაწერებშიც ჰქოვა გამოვლინება, გ. თავზიშვილი მაინც ახერხებს მეტისმეტად არ მოექცეს ამ კონიუნქტურის არტახებში და ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორია პირველ ყოვლისა ეროვნული თვალთახედვით გაიაზროს და შეაფასოს.

გ) გ. თავზიშვილს მეტად ფასეული დამსახურება მიუძღვის ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებების შესწავლის საქმეში. მკვლევარს ყურადღების მიღმა არ დარჩენია წარსულში მოღვაწე არც ერთი ისეთი პიროვნება, რომელსაც ეროვნული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში საგულისხმო წვლილი შეეტანოს და მისი ეს დამსახურება გ. თავზიშვილის მეცნიერული კვლევის საგანი არ გამხდარიყოს. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ის ნარკვევები და მონოგრაფიები, რომელთა მეშვეობითაც მან, ერთ-ერთმა პირველმა ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მკვლევართაგან, საფუძვლიანად შეისწავლა ისეთი დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების საგანმანათლებლო იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ: შოთა რუსთაველი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები.

დ) გ. თავზიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების: ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

**თავი I – შტრიხები გიორგი თავზიშვილის ცხოვრებიდან და მისი მეცნიერული
მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიიდან**

გიორგი თავზიშვილი დაიბადა 1902 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბაზალეთში. მშობლიურ სოფელში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში. 1922 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. გ. თავზიშვილის პროფესიული განსწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თბილისის უნივერსიტეტში იმხანად მოღვაწე ისეთმა ცნობილმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: დიმიტრი უზნაძე, შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია და სხვები.

გ. თავზიშვილმა 1923 წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიურ განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1926 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის განყოფილებაში, რომელიც დაასრულა 1929 წელს და დაინიშნა მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის დოცენტად.

მოსკოვში გ. თავზიშვილი 1930 წლის სექტემბრამდე დარჩა, შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილ პედაგოგიურ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ და პედაგოგიკის კათედრის გამგედ. ამავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1933 წლიდან 1938 წლამდე გ. თავზიშვილი მუშაობდა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, 1938-1958 წლებში კი ხელმძღვანელობდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის

პედაგოგიკის კათედრას. 1933 წლიდან გარდაცვალებამდე იგი ასევე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

პარალელურად, ხანმოკლე შუალედებით, 1938 წლიდან 1947 წლამდე, გ. თავზიშვილი ქუთაისის პედინსტიტუტშიც განაგებდა პედაგოგიკის კათედრას. „ეს წლები იყო მისი ცხოვრების უაღრესად ნაყოფიერი პერიოდი, ვინაიდან გამოქვეყნდა მისი რამდენიმე მონოგრაფია, პედაგოგიკური ლიტერატურის კრებული და ჩატარდა სადოქტორო დისერტაციების დაცვა“ (მჭედლიძე, ბასილაძე, 2014: 504).

ქუთაისის პედინსტიტუტში გ. თავზიშვილის მოღვაწეობა წარმატებული იმითაც იყო, რომ იგი ამ ინსტიტუტის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოსამზადებლადაც ზრუნავდა აქტიურად. კერძოდ, სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიარეს ქუთაისში ასპირანტურის კურსი და დაიცვეს დისერტაციები ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა: ზ. კიკნაძემ, ვ. კალაძემ, ფ. მეგრელიშვილმა, ს. ხარშილაძემ და ი. ჯლარკავამ (მჭედლიძე, ბასილაძე, 2014: 505).

გარდა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, გ. თავზიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ, ლიტერატურულ და საგამომცემლო-სარედაქტორო საქმიანობასაც ეწეოდა. ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად მოკლედ და არასრული სახით გავიხსენებთ მისი ამ საქმიანობის წარმომჩენ უმთავრეს სფეროებს: იგი იყო მრავალი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოების წევრი, სახელმძღვანელოების, ქართველ მწერალთა პედაგოგიური ხასიათის ნაწარმოებებისა და საბავშვო ლიტერატურის არაერთი წარმომადგენლის წიგნების რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მრავალი ასპირანტის აღმზრდელი და მეცნიერ-ხელმძღვანელი, არაერთი პერიოდული გამოცემის სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და ა. შ.

წარმატებული სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის გ. თავზიშვილს 1961 წელს მიანიჭეს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

გიორგი თავზიშვილი გარდაიცვალა 1963 წელს. ქართველმა საზოგადოებამ ნაადრევად გარდაცვლილი მეცნიერის დიდ საზოგადოებრივ დამსახურებას პატივი იმითაც მიაგო, რომ სამუდამო განსასვენებელი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა (გ. თავზიშვილის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ: გაგუა, სიხარულიძე, 1977; და კრებული - გიორგი თავზიშვილი, 1982).

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილი სამეცნიერო მოღვაწეობის ზენიტში მყოფი, 61 წლისა, გარდაიცვალა, რის გამოც ბევრი დიდი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი, თავისი ნაშრომებით მან მაინც შეძლო მნიშვნელოვანი ადგილი დაემკვიდრებინა ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ისტორიაში. კერძოდ, მის შესახებ გამოცემული მონოგრაფიის ავტორების: ვლ. გაგუასა და გ. სიხარულიძის შეფასებით, „კაცზე, რომელმაც ძალიან ადრე საუკუნოდ დაიდო ბინა სახელოვან მამულიშვილთა პანთეონში,“ მომავალში „კიდევ უფრო ბევრს იტყვის მადლიერი შთამომავლობა და დაიწერება არაერთი ნაშრომი, რომელშიც ღირსეულად იქნება შეფასებული ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი უჭინობი სახელი მარად იცოცხლებს ქართული კულტურის ისტორიაში“ (გაგუა, სიხარულიძე, 1977: 31).

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა დღემდე არ ქცეულა სიღრმისეული კვლევის საგნად, მისი ნაშრომების შეფასებასა და მათი ავტორის აქტიური საზოგადოებრივი და პედაგოგიური ღვაწლის წარმოჩენას არაერთი საგულისხმო სტატია მიეძღვნა. მათი უდიდესი ნაწილი მეცნიერის სიცოცხლეში დაიწერა, შემდგომ პერიოდში კი ეს ინტერესი, მართალია, მინელდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში არ გამქრალა.

რაც შეეხება პოსტსაბჭოურ ხანას, დღევანდელი პედაგოგიური საზოგადოების გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობს გ. თავზიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას. მართალია, პედაგოგიკის თეორიასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები მის ნაშრომებში საბჭოთა პერიოდისათვის საზოგადოდ

დამახასიათებელ იდეოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებითაა გააზრებული, მაგრამ ავტორის მიერ შემოთავაზებული არაერთი დებულება დღესაც მისაღებია და მეტ-ნაკლებად გასათვალისწინებელი.

რაც შეეხება იმ იდეოლოგიურ დაღს, რომელიც საბჭოთა ეპოქის მმართველობითმა პოლიტიკამ დაასვა გ. თავზიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას, სამწუხაროდ, იგი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი სულაც არ არის და ამ სამწუხარო მოვლენის არტახებში ყოფნას, იმხანად მოღვაწე ბევრი მეცნიერისა და შემოქმედის მსგავსად, თავი ვერც მან დააღწია.

განსხვავებით პედაგოგიკის თეორიისა და სწავლების საკითხებზე შექმნილი იმ ნაშრომებისაგან, რომლებშიც იმჟამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეგავლენის კვალი ყველაზე მეტად იგრძნობა, გ. თავზიშვილის ის მეცნიერული ნარკვევები, რომლებშიც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიისა და დიდ ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებებია შესწავლილი, ისინი ამ თვალსაზრისით დღესაც ფასეულია და თითქმის მთლიანადაა თავისუფალი ზემოთ აღნიშნული კონიუნქტურისაგან.

გ. თავზიშვილის ცხოვრებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლასთან დაკავშირებით დღესდღეობით არსებულ მდგომარეობაზე საუბარი გვინდა მეცნიერის შესახებ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული ორი ნაშრომის შეფასებით დავიწყოთ. პირველი მათგანი - „გიორგი თავზიშვილი“, რომლის ავტორებიც არიან ვლ. გაგუა და გ. სიხარულიძე, 1977 წელს გამოიცა, მეორე მათგანი კი, რომელიც ციალა ცინაძემ შეადგინა და რომელშიც ვლ. გაგუასა და გ. სიხარულიძის ზემოთ ნახსენები წიგნიცაა შეტანილი, 1982 წელს დაიბეჭდა.

მიუხედავად იმისა, რომ ვლ. გაგუასა და გ. სიხარულიძის მიერ გ. თავზიშვილის მეცნიერული ლვაწლი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებითაა შეფასებული, მათ ნაშრომში მაინც სწორად წარმოჩინდა ის მეცნიერული წვლილი, რომელიც მას ქართული პედაგოგიკური აზროვნების

ისტორიაში აქვს შეტანილი. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ხსენებული წიგნიდან:

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორია „გიორგი თავზიშვილამდე არ გამხდარა საფუძვლიანი კვლევის საგანი. იგი პირველი შეუდგა ჩვენში სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის საგულდაგულო კვლევას და მაღე ბევრ საყურადღებო საკითხს მოჰყონა შუქი“ (გაგუა, სიხარულიძე, 1977: 9). „გიორგი თავზიშვილი ძირითადად ქართული პედაგოგიკის ისტორიის მკვლევარი იყო, მაგრამ მას მნიშვნელოვანი ნაწარმოებები აქვს გამოქვეყნებული პედაგოგიკის ზოგად საფუძვლებსა და აღზრდის თეორიაშიც. ამ შრომებს დიდი ღირებულება ჰქონდა და აქვს ქართული პედაგოგიკური თეორიისა და პრაქტიკის განვითარებისთვის“ (გაგუა, სიხარულიძე, 1977: 12). გ. თავზიშვილის ნაშრომები „მკაფიოდ გამოირჩევა როგორც პირველწყაროების სიუხვით, ასევე ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მაღალმეცნიერული, ღრმა ანალიზით, ლოგიკური, დამაჯერებელი დასკვნებითა და განზოგადებებით“ (გაგუა, სიხარულიძე, 1977: 11).

გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გაანალიზებისა და შეფასების დროს მკვლევართა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს მისი მეცნიერული კვლევის შედეგების ორიგინალობასა და სიახლეს. მაგალითად, ვლ. გაგუასა და გ. სიხარულიძის შეფასებით, იგი სახელმძღვანელო წიგნებშიც კი, სადაც ავტორი „შეიძლება არ იყოს ორიგინალური და მან სახელმძღვანელო შეადგინოს არსებული სხვა სახელმძღვანელოებისა და ლიტერატურის საფუძველზე, გ. თავზიშვილი გატკეპნილ გზას არ მიჰყება და ცდილობს ოფიციალურ, აღიარებულ დებულებებთან და მოსაზრებებთან ერთად თავისი საკუთარი შეხედულებები გამოთქვას... ყველა საკითხის განხილვისას იგი ასეთი შემოქმედი და თავისთავადია“ (კრებული „გიორგი თავზიშვილი“, 1982: 24).

გ. თავზიშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი ღვაწლის წარმოჩენას საკმაოდ ვრცელი მოცულობის ნარკვევი მიუძღვნა ვ. ქაჯაიამაც. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ 1968 წლის მე-11 ნომერში დაბეჭდილი ამ ნარკვევით მისმა

ავტორმა საფუძვლიანად გააანალიზა იმხანად ხუთი წლის წინათ გარდაცვლილი მეცნიერის მოღვაწეობა და მეტად მაღალი შეფასება მისცა მის გამოკვლევებს. მისი ხაზგასმით, „პროფ. გ. თავზიშვილი ფართო განათლების და დიდი ერუდიციის ადამიანი, ჰუმანისტი, პატრიოტი, ნიჭიერი მეცნიერ-მკვლევარი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე, განათლებული ლიტერატორი და თეატრალი, ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგე, სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა გულისხმიერი აღმზრდელი იყო“ (ქაჯაია, 1968: 39).

ვ. ქაჯაიას ნარკვევი საინტერესო იმ თვალსაზრისითაა, რომ გ. თავზიშვილის მეტად მრავალმხრივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამგვარ შეფასებას მისი ავტორი ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებული კონკრეტული არგუმენტების მოშველიების საფუძველზე ცდილობს. ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილს, როგორც მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ზემოთ აღნიშნული ყველა მიმართულებითაც მიუძღვის საკმაოდ ფასეული დამსახურება, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობების წარმომჩენ უმთავრეს მიმართულებად პირველ ყოვლისა მაინც ქართული პედაგოგიკის ისტორიის შესწავლა იქცა. მის ამ დამსახურებას ხსენებული ნარკვევის ავტორი იმდენად დიდ მნიშვნელობას აძლევს, რომ გ. თავზიშვილს ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მეცნიერული შესწავლისთვის „მკვიდრი საფუძვლის ჩამყრელ“ მეცნიერად აღიარებს.

კერძოდ, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: „პროფ. გ. თავზიშვილი პირველი ქართველი მეცნიერია, რომელმაც სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია სპეციალური კვლევის საგნად აქცია და კოლოსალური მუშაობა ჩაატარა მისი შესწავლისა, სისტემაში მოყვანისა და საზოგადოებისათვის გაცნობის დიდ ეროვნულ საქმეში. ყველაზე დიდი მუშაობა მან სწორედ ამ დარგში ჩაატარა, რასაც ვერასოდეს დაივიწყებს მადლიერი ქართველი ხალხი“ (ქაჯაია, 1968: 44).

ქართულ პედაგოგიკაში გ. თავზიშვილის მიერ შეტანილ მეცნიერულ წვლილსა და აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას მისი თანამედროვე სპეციალისტების

უმეტესობა იმდენად მაღალ შეფასებასაც კი აძლევდა, რომ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, მისი ამ დამსახურების წარმოსაჩენად ფუნდამენტური მონოგრაფიაც დაწერილიყო და გამოცემულიყო.

მაგალითად, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით პროფ. არჩილ ჩაჩიბაია: „დარწმუნებული ვარ, რომ რაც უფრო მეტი დრო გავა, გ. თავზიშვილის პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა კიდევ უფრო უკეთ იქნება შესწავლილი. აუცილებელია მასზე დაიწეროს მონოგრაფია, რომ ფართო საზოგადოებამ კიდევ უკეთ შეიცნოს მისი დიდი ღვაწლი.“

დაუვიწყარი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, კრიტიკოსი მთელი თავისი მდიდარი მემკვიდრეობით არის ის, ვინც ჩვენთან ერთად იცოცხლებს; ასე რომ, ჟამთა ულმობელი სრბოლა რაც უფრო გვაშორებს ამ შესანიშნავ ადამიანს, მით უფრო გვიახლოვდება იგი ჩვენ თავისი ინტელექტის ნათებით, რომელიც, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს მომავალში ათასი სხვა ინტელექტუალური ლამპრის ანთებას, ხოლო მას თვითონ სინათლე არ დააკლდება“ (ჩაჩიბაია, 1972).

გ. თავზიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას ანალოგიურად მაღალ შეფასებას მისი გარდაცვალების შემდეგ პედაგოგიური დარგის სხვა ცნობილი წარმომადგენლებიც რომ აძლევდნენ, ამის დასტურად აქ კიდევ ერთ პუბლიკაციასაც დავიმოწმებთ - ფრაგმენტს გაზეთ „სახალხო განათლების“ 1968 წლის 9 ოქტომბერს, მეცნიერის გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავზე, გამოქვეყნებული სტატიიდან: „გიორგი თავზიშვილი დიდი დიაპაზონისა და ენერგიის საზოგადო მოღვაწე იყო, პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი განვითარების ერთ-ერთი პირველი მესვეური საქართველოში. პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის სხვა საკითხებთან ერთად იგი განსაკუთრებით დიდსა და საჭირო მუშაობას ეწეოდა ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლისათვის და ამ დიდ ეროვნულ საქმეში მრავალი ყამირიც მის ნიჭის, ცოდნასა და კალამს გაუტეხია“.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესაფასებლად დაწერილი სხვა ნაშრომები ძირითადად მისი გამოკვლევების

რეცენზიებსა და მიმოხილვითი ხასიათის წერილებს წარმოადგენს, მათი გარკვეული ნაწილი ბევრწილად სცილდება რეცენზირების ფარგლებს და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში მკვლევრის მიერ შეტანილი წვლილის შეფასების მცდელობად.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომად უნდა ჩაითვალოს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ვრცელი წერილი, რომელშიც დიდმა ქართველმა ფილოსოფოსმა საფუძვლიანად გააანალიზა და სათანადოდ შეაფასა გ. თავზიშვილის ფუნდამენტური ნაშრომის - „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში“ მეორე წიგნი, სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორია XIX საუკუნის დასაწყისიდან 60-იანი წლების ბოლომდე (იხ: ნუცუბიძე, 1950: 163-168).

აღნიშნული მონოგრაფიის ღრმა და საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად შ. ნუცუბიძემ დამაჯერებლად ნათელყო ხსენებული ნაშრომის უდაოდ დიდი მნიშვნელობა ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში და იგი „ახალ, უდაოდ ორიგინალურ გამოკვლევად“ და ქართული პედაგოგიკური მეცნიერების „შესანიშნავ მონაპოვრად“ მიიჩნია (ნუცუბიძე, 1950: 168).

შ. ნუცუბიძე გამონაკლისი არ ყოფილა და გ. თავზიშვილის ამ ნაშრომს ანალოგიური შეფასება ქართული პედაგოგიკის ისტორიის არაერთმა ცნობილმა სპეციალისტმა მისცა მეცნიერის სიცოცხლეშიცა და მისი გარდაცვალების შემდეგაც. მაგალითად, პროფესორ უშანგი ობოლაძის ხაზგასმით, „ამ ნაშრომში სრულად არის გაშუქებული და გაანალიზებული 1801-1870 წლების საქართველოში სასკოლო ქსელის განვითარება, სახელმწიფო და კერძო, საეკლესიო და სახალხო სკოლები, მასწავლებელთა მომზადება-გადამზადება, სახელმძღვანელო წიგნები, სასკოლო დებულებანი, წესდებები, პროგრამები, სწავლებისა და აღზრდის მეთოდები, პროფტექნიკური განათლება და ბოლოს, პედაგოგიკური იდეები და მათი ფესვები“ (ობოლაძე, 1968).

ზემოთ აღნიშნულ და მონოგრაფიის ღირსებათა წარმომჩენ ბევრ სხვა დებულებაზე დაყრდნობით, მისი შემფასებლები ყოველგვარი დაეჭვების გარეშე აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ამ ნაშრომის შექმნა „უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს მეცნიერებაში და იგი კარგ სამსახურს გაუწევდა ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და სახალხო განათლების ისტორიის შემდგომ გაღრმავებულ შესწავლას“ (ქაჯაია, 1950).

გ. თავზიშვილის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა დიდ ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიური იდეების შესწავლა და მათი ღვაწლის წარმოჩენა. ამ მიმართულებით მან იმდენად დიდი საქმე გააკეთა, რომ უძველესი დროიდან მოყოლებული გასულ საუკუნემდე ფაქტობრივად არ დარჩენილა აღნიშნული თვალსაზრით მნიშვნელოვანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომლის პედაგოგიური იდეები და საგანმანათლებლო მოღვაწეობა მისი ფუნდამენტური შესწავლის საგნად არ ქცეულიყო.

ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი ამაგი მას XIX საუკუნის დიდ ქართველ მამულიშვილთა პედაგოგიური იდეების შესწავლის საქმეში მიუძღვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მონოგრაფიული ნარკვევები ილია ჭავჭავაძეზე, იაკობ გოგებაშვილზე, აკაკი წერეთელსა და სხვა მოღვაწეებზე. მის ამ გამოკვლევებს აქტუალობასა და ღირსებას ის ფაქტიც სძენს, რომ გ. თავზიშვილმა მათი მოღვაწეობის ეს მხარე პირველმა შეისწავლა სიღრმისეულად.

ამ მხრივ პირველ ყოვლისა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური იდეებისა და აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობის ღრმად და საფუძვლიანად ამსახველი მისი ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა უნდა დავასახელოთ, რომელიც ამ მრავალმხრივი პიროვნების საქმიანობის ამ მხარის შესწავლისადმი მიძღვნილ პირველ ფუნდამენტურ მონოგრაფიას წარმოადგენდა. აღნიშნული ნაშრომის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ის რეცენზიებიც ნათლად ადასტურებს, რომლებიც დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე ამ გამოკვლევასთან

დაკავშირებით გამოქვეყნდა მეცნიერის სიცოცხლეშიცა და მისი გარდაცვალების შემდეგაც.

მაგალითად, პროფ. აკაკი თოფურიას შეფასებით, ი. გოგებაშვილის პედაგოგიური იდეებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი თავისი მონოგრაფიით გ. თავზიშვილს „უეჭველად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი“ ამ დიდი მოღვაწის მრავალმხრივი დამსახურების შესწავლის საქმეში და თავისი ამ ნაშრომით მან წარმატებით შეავსო ქართულ პედაგოგიურ მეცნიერებაში ამ მიმართულებით არსებული დიდი ხარვეზი (თოფურია, 1949).

გ. თავზიშვილის მეცნიერული ღვაწლის შეფასების დროს სავსებით მართებულად ესმება ხაზი იმ დიდ დამსახურებასაც, რომელიც მას ქართველ მწერალთა პედაგოგიური თვალთახედვის გამომხატველი და საბავშვო ჟანრის ნაწარმოებების გამოცემის საქმეში მიუძღვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდია მისი წვლილი XIX საუკუნეში მოღვაწე შემდეგი მწერლების შემოქმედების ამ ნიმუშთა ცალკე კრებულებად დაბეჭდვაში: იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ეკატერინე გაბაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვ.

**თავი II – პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების საკითხები გიორგი თავზიშვილის
ნააზრევში**

ა) გიორგი თავზიშვილი - ქართული პედაგოგიკის თეორეტიკოსი. სამწუხაროდ, ეპოქა, რომელშიც გიორგი მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა, საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის არტახებით იმდენად იყო შებოჭილი, რომ ამ პოლიტიკის შედეგად განსაზღვრული და ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრებული ნორმატივებისაგან ოდნავი გადახვევაც კი მკაცრად ისჯებოდა. აქედან გამომდინარე, საბჭოთა ეპოქაში მცხოვრები ყველა ადამიანი ამ ნორმატივების არტახებით იყო შებოჭილი და არა მარტო მოქმედების თავისუფლებას მოკლებული, არამედ აზრის შეუზღუდველად გამოხატვასაც კი.

ამ გარემოებამ უმძიმესი დაღი დაასვა ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის პედაგოგიკურ მეცნიერებასაც და იმხანად მოღვაწე ამ სფეროს წარმომადგენელი მეცნიერები იძულებული იყვნენ, აღზრდასთან და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები ხელისუფლების მესვეურთა მიერ განსაზღვრული პრინციპების ჩარჩოებში მოქციათ. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ვერც გ. თავზიშვილი გამოდგებოდა გამონაკლისი.

მიუხედავად ამისა, როგორც მისი მეცნიერული ნააზრევის წინამდებარე ანალიზითაც დავინახავთ, იმხანად შექმნილ თავის ნაშრომებში იგი მაინც ახერხებდა იმდროინდელი იდეოლოგიური სტანდარტებისაგან თავის დაღწევას. აქედან გამომდინარე, თავისი მაშინდელი პედაგოგიური შეხედულებებით გ. თავზიშვილი აშკარად გვევლინება პროგრესულად მოაზროვნე იმ მეცნიერად, რომლის პედაგოგიური იდეები არა მარტო ისტორიული თვალთახედვითაა საინტერესო, არამედ დღესაც მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი.

როგორც გიორგი თავზიშვილის ნაშრომების წინამდებარე ანალიზითაც თვალნათლივ გამოჩნდა, საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე არაერთი ქართველი მეცნიერის მსგავსად, მისი მეცნიერული ნააზრევიც ორმაგ სტანდარტს იყო დაქვემდებარებული -

ერთი მხრივ, იმდროინდელ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი იმ პრინციპებს, რომლებიც, მეცნიერის აზრით, სწავლა-აღზრდის უმთავრეს საფუძვლად უნდა ქცეულიყო.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანი იყო, გიორგი თავზიშვილის პედაგოგიური ნააზრევიდან წინა პლანზე პირველ ყოვლისა სწორედ ეს პოზიტიური და დღესაც მნიშვნელოვანი შეხედულებანი წამოგვეწია და სწორედ მათზე დაყრდნობით განგვესაზღვრა მკვლევრის წვლილი ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში.

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა გვინდა იმ ღვაწლის შეფასებით დავიწყოთ, რომელიც მას ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში მიუძღვის. ამ თვალსაზრისით მას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული ქართულ ენაზე პედაგოგიკის სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში. აქტიური საქმიანობა აღნიშნული მიმართულებით მან სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის ადრეულ ეტაპზევე დაიწყო.

XX საუკუნის 30-იან წლებში მთავრობის მიერ მიღებულმა დადგენილებებმა სკოლის შესახებ ხელი შეუწყო პედაგოგიკურ მეცნიერებაში თეორიული მუშაობის გამოცოცხლებას, განისაზღვრა საბჭოთა პედაგოგიკის თეორიული კურსის სტრუქტურა და შინაარსი. პედაგოგიკის თეორიის კურსი დაიყო შემდეგ ძირითად ნაწილებად: ზოგადი ნაწილი, დიდაქტიკა, აღმზრდელობითი მუშაობის თეორია და სკოლათმცოდნეობა.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ არ არსებობდა პედაგოგიკის მეთოდოლოგიის საკითხებზე შექმნილი რაიმე სახელმძღვანელო ლიტერატურა ქართულ ენაზე. ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერების ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს 1933 წელს დაბეჭდილი მისი ნაშრომი „პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საკითხები“, სადაც თეზისების სახით იყო ჩამოყალიბებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განმარტება,

მიზნები და ამოცანები; აღზრდა, როგორც სოციალური პროცესი და მისი მიზნები და ამოცანები, პედაგოგიკის სოციალური კანონზომიერება და ბიოლოგიური ფაქტორები.

სწორედ ქართული პედაგოგიური მეცნიერების ამ ხარვეზის შევსების წარმატებულ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ გ. თავზიშვილის ზემოთ ნახსენები წიგნი, რომელშიც მეცნიერულად იყო განმარტებული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, არსი და მიზანი. მკვლევრის განმარტებით, პედაგოგიკა წარმოადგენდა სოციალურ მეცნიერებას ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისა და სწავლა-განათლების შესახებ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დაკავშირებით (თავზიშვილი, 1933: 5). ეს დეფინიცია ზუსტად შეესაბამება იმდროინდელი ეპოქის ხედვას პედაგოგიკის მეცნიერებასთან დაკავშირებით. კერძოდ, პედაგოგიკის უმთავრეს მიზნად გ. თავზიშვილი მიიჩნევდა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებას და მის შეგნებულ ჩართვას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

აღმზრდელობით პროცესს გ. თავზიშვილი განმარტავდა, როგორც აღსაზრდელ პირთა კულტურული განვითარების მეცნიერულად ორგანიზებულ სისტემას, რომელიც მიმართულია კაცობრიობის მიერ დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების შეთვისებისაკენ, როგორც მოზარდ თაობაზე ინდივიდუალური და საზოგადოებრი ზეგავლენის მოხდენის გეგმაზომიერ პროცესს (თავზიშვილი, 1933: 56). ეს დებულებები მთელი ექვსი ათეული წლის განმავლობაში პასუხობდა სოციალისტური საზოგადოების აღზრდის მიზნებს და მას ამ ხნის განმავლობაში თავისი ღირებულებები არ დაუკარგავს.

გიორგი თავზიშვილს კიდევ უფრო ნათლად აქვს ჩამოყალიბებული აღზრდის მიზანი ხსენებული ნაშრომის მეორე ნაწილში, რომელიც შვიდი პუნქტისგან შედგება:

1. ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა-გათვალისწინების საფუძველზე აღზრდის პრინციპების, საშუალებებისა და მეთოდების დადგენა;
2. მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩართვა;
3. აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება, მათ შორის არსებული წინააღმდეგობის დაძლევა;

4. ადამიანისა და გარემოს დამოკიდებულების გარკვევა; 5. პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა; 6. კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ათვისება და არსებულ პირობებში მისი შემოქმედებითი გამოყენება; 7. ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში პიროვნების სწრაფი და სწორი ორიენტაციის უნარის განვითარება და მიზანშეწონილი მოქმედების გამომუშავება (თავზიშვილი, 1933: 10). მიგვაჩნია, რომ იმ პერიოდისათვის, როდესაც საბჭოთა პედაგოგიკური მეცნიერების ფორმირების პროცესი მიმდინარეობდა, აღზრდის მიზნების ასე ნათლად და კონკრეტულად ჩამოყალიბებას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

წიგნის მესამე ნაწილში ნაჩვენებია პედაგოგიკის საზოგადოებრივი და სოციალური ხასიათი. მკვლევარი ავითარებს იმ აზრს, რომ ადამიანი აღზრდისა და გარემოს პროდუქტს წარმოადგენს და რომ აღმზრდელი თვითონ უნდა იყოს აღზრდილი (თავზიშვილი, 1933: 12). თავის ნაშრომში - „პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საკითხები“ გ. თავზიშვილი ამტკიცებს, რომ პედაგოგიკა არ შეიძლება იყოს არასოციალური მეცნიერება, ვინაიდან აღზრდის უმთავრესი ობიექტი - ადამიანი, როგორც სოციალური არსება, ვითარდება და პიროვნებად ყალიბდება საზოგადოებაში შეგნებული და ორგანიზებული კულტურული საქმიანობის შედეგად (თავზიშვილი, 1933: 12).

მკვლევარი წინა პლანზე წამოწევს პედაგოგიკური მეცნიერების როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლის საქმეში. „პედაგოგიკა, როგორც სოციალური მეცნიერება, - წერს გ. თავზიშვილი, - ნაწილობრივ სწავლობს აგრეთვე საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებსაც. მისი შეფასებით, რადგანაც „ადამიანი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი არსებაა, მას მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განავითაროს თავისი ნამდვილი ბუნება. პედაგოგიკა კი ადამიანის აღზრდის ნამდვილი ბუნების გარკვევითა და გარდაქმნით თვით საზოგადოების გარდაქმნაზეც მოქმედებს“ (თავზიშვილი, 1933: 13).

როგორც ვხედავთ, გ. თავზიშვილი, როგორც ღრმად ერუდირებული პიროვნება, საფუძვლიანად იყო გარკვეული პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლების არსში. ის დამაჯერებელი არგუმენტებით ასაბუთებდა, რომ ადამიანი პარმონიულად მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში შეიძლება განვითარდეს და რომ მოზარდი მხოლოდ საზოგადოებაში ყალიბდება პიროვნებად და იქვევა მოქალაქედ.

ნაშრომის მეოთხე ნაწილში განხილულია აღზრდა, როგორც ორგანიზებული და შეგნებული პროცესი. შემდეგ ავტორი საუბრობს სკოლის, როგორც სახალხო განათლების ძირითადი რგოლის ადგილსა და მნიშვნელობაზე. სკოლა მას მიაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად მოზარდის პიროვნებად ფორმირების პროცესში. ის იქვე ხაზგასმით აღნიშნავს მასწავლებლის მაღალ მოწოდებასა და დანიშნულებას აღზრდისა და სწავლა-სწავლების პროცესში.

წიგნის მეხუთე ნაწილში გიორგი თავზიშვილი საუბრობს საბჭოთა პედაგოგიკის საერთო მეთოდოლოგიურ საფუძვლებზე; აფუძნებს მას დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე და აღნიშნავს, რომ საბჭოთა პედაგოგიკის განვითარება უნდა მოხდეს მატერიალისტური დიალექტიკის კანონების მიხედვით. იქვე ავტორი განიხილავს ისტორიზმის პრინციპებს პედაგოგიკაში, მისი ცვალებადობის ბუნებასა და შინაარსის განპირობებულობას საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

მეექვსე ნაწილში კი ნაჩვენებია პედაგოგიკურ მეცნიერებასთან ბიოლოგიური პრობლემების ურთიერთობის საკითხი. კერძოდ:

- შეუძლებელია პედაგოგიკაში არსებობდეს ორი კანონზომიერება, მაგრამ შესაძლებელია ერთ კანონზომიერებაში მეორე მეცნიერული სტრუქტურის კანონის არსებობა, როგორც ამ კანონზომიერების მომენტი;
- ვინაიდან პედაგოგიკა სწავლობს და წარმართავს ადამიანის აღზრდის პროცესს, ცხადია, მას საქმე აქვს ადამიანის ბიოლოგიური განვითარების პროცესთან;

□ პედაგოგიურ პროცესში ბიოლოგიური მოვლენები აღზრდის სოციალურ ფაქტორებს ემორჩილება და ამ უკანასკნელით არის განპირობებული.

პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება არის სოციალური, მაგრამ თავის არსში შეიცავს ბიოლოგიურს, როგორც მომენტს (თავზიშვილი, 1933: 23).

წიგნის მეშვიდე თავში მკვლევარი საფუძვლიანად განიხილავს და აკრიტიკებს „სკოლის კვდომის“ თეორიას.

პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების არსის გიორგი თავზიშვილისეული შეფასებანი არა მარტო იმ დროისათვის იყო პროგრესული მოვლენა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში, არამედ მკვლევრის მიერ გამოთქმული არაერთი დებულება დღესაც შეინარჩუნებს თავის მნიშვნელობას იმ პირობით, თუ მათ განვტვირთავთ საბჭოთა იდეოლოგიის ზეგავლენით დაღდასმული კლიშეებისგან.

როგორც ცნობილია, პედაგოგიკურ პროცესში ბიოლოგიური მოვლენების თანხვედრას და ამავე დროს ორი კანონზომიერების არარსებობას თანამედროვე პედაგოგიკაც იზიარებს და საინტერესოდ განმარტავს. კერძოდ: „აღზრდა ვიწრო გაგებით გულისხმობს ადამიანის პიროვნული მახასიათებლების და ქცევის წესების ჩამოყალიბების პროცესს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გულისხმობს იმ უნარების განვითარებას, რომელიც ბიოლოგიურ ინდივიდს დედის ორგანიზმიდან დაჰყვება“ (ჭკუასელი, 2012: 10). ხოლო რადგან აღზრდა ფართო გაგებით გულისხმობს ბავშვის ჰარმონიულ ფიზიკურ, სულიერ, გონებრივ, ზნეობრივ განვითარებას, იგი თავის თავში მოიცავს აღზრდის, როგორც მეორე მეცნიერული სტრუქტურის კანონს, როგორც მომენტის მთავარ კანონზომიერებაში. სწორედ ამიტომაა პედაგოგიკა სრულად სოციალური მეცნიერება და არა ბიოლოგიური, ან „ბიოლოგიურ-სოციალური“. „პედაგოგიკა, ამგვარად, როგორც სოციალური მეცნიერება, ეყრდნობა რა სოციალურ კანონზომიერებას, არავითარ შემთხვევაში არ აუქმებს ადამიანის განვითარების ბიოლოგიურ კანონებს, არამედ ინახავს მათ მოხსნილი სახით“ (თავზიშვილი, 1933: 24-25).

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის ხსენებული ნაშრომი მეოცე საუკუნის 30-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მარქსისტული იდეოლოგიის მარწუხებშიცაა მოქცეული, იგი მაინც უნდა მივიჩნიოთ მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიურ ნაშრომად ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში.

უფრო მოგვიანებით, 1956 წელს, კი ქართულ ენაზე პირველად გამოვიდა ქართული სახელმძღვანელო პედაგოგიკაში უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების სტუდენტებისათვის. აღნიშნული წიგნის გამოცემის პროცესში გ. თავზიშვილს უაღრესად მნიშვნელოვანი როლი რომ ჰქონდა შესრულებული, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი რედაქტორიც გახლდათ (მთავარი რედაქტორი იყო დავით ლორთქიფანიძე). ხსენებულ სახელმძღვანელოში შესული ოცზე მეტი ავტორის ნაშრომებიდან I და XII თავები უშუალოდ გ. თავზიშვილს ეკუთვნოდა.

კერძოდ, სახელმძღვანელოს პირველ თავში - პედაგოგიკის საგანი და მეთოდები, რომელიც გ. თავზიშვილის მიერ იყო დაწერილი და სამ პარაგრაფს მოიცავდა, განხილული იყო შემდეგი საკითხები: 1. პედაგოგიკის საგანი და ამოცანები, 2. პედაგოგიკის წყაროები და მეთოდები და 3. პედაგოგიკური მეცნიერებანი. ხოლო XII თავში განხილული იყო პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები. აღნიშნულ საკითხთა ამსახველი ნაშრომები შემდგომში გ. თავზიშვილის რჩეული პედაგოგიკური თხზულებების სამტომეულშიც არის გამოქვეყნებული.

გ. თავზიშვილის პედაგოგიკური ნააზრევისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მის ნაშრომებში ამ მეცნიერების თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემაა გაანალიზებული. როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრის ნააზრევი იმდროინდელი იდეოლოგიური პრინციპებითაცაა დაღდასმული, გ. თავზიშვილის პედაგოგიკურ შეხედულებათაგან ბევრი რამ დღესაც მისაღებია და უსათუოდ გასათვალისწინებელი.

გ. თავზიშვილის განმარტებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა არის ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა-განათლება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იგი არა მარტო ზოგადი სახით აყალიბებდა მისეულ თვალსაზრისს, არამედ ამ მიზნის მიღწევის გზებსაც ეძებდა რეალურად. მკვლევარი არ მიჰყვებოდა გატკეპნილ გზას და ყველგან ცდილობდა ოფიციალურად აღიარებული დებულებებისა და მოსაზრებების აღნიშვნასთან ერთად საკუთარი შეხედულებებიც გამოეთქვა, რითაც მნიშვნელოვანწილად ზრდიდა სახელმძღვანელოს დამოუკიდებლობისა და ორიგინალურობის ხარისხს.

პედაგოგიკის ტრადიციულ განმარტებას გ. თავზიშვილი სწორ, თუმცა ზოგად მსჯელობად მიიჩნევდა და დასძენდა, რომ ამ დისციპლინის განსაზღვრებაში უსათუოდ უნდა ჩანდეს კონკრეტული ეპოქისა და საზოგადოებრივი სისტემის ნიშან-თვისებებიცა და მიზნებიც. ჩვენი აზრით, ავტორისეულ განმარტებაში ხაზგასმა იმისა, რომ მასში კონკრეტული საზოგადოებრივი სისტემის შესახებაც უნდა ყოფილიყო აღნიშნული, განპირობებული იყო იმ დროისათვის არსებული საბჭოთა იდეოლოგიით და დღეისათვის აშკარად მიუღებელია.

აღზრდის შემადგენელი ნაწილების განხილვისას გიორგი თავზიშვილი გვიჩვენებს პიროვნების ფორმირების პროცესში გონიერივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და პოლიტიკური აღზრდის ადგილსა და როლს. თითეულ მათგანს იგი წარმოგვიდგენს ღრმად და საფუძვლიანად და თანმიმდევრულად განიხილავს პედაგოგიკის ამოცანებსა და სტრუქტურას.

პედაგოგიკის წარმოშობისა და განვითარების ძირითად წყაროდ გ. თავზიშვილი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევდა იმ პრაქტიკულ გამოცდილებას, რომელიც დროთა განმავლობაში იქმნებოდა მასწავლებლის, ოჯახის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა მიერ მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების პროცესში.

ბავშვის განვითარების ძირითად ფაქტორებს შორის გ. თავზიშვილი მნიშვნელოვან როლს სოციალურ გარემოს ანიჭებდა, რომელიც თავისი ზეგავლენით ახდენს პიროვნების ფორმირებას აღზრდის საშუალებით. თუმცა, გ. თავზიშვილს ემპირიზმის

მიმდევრად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას თანდაყოლილ მემკვიდრულ ნიჭთან დაკავშირებით, მხოლოდ აღზრდა განაპირობებს თანდაყოლილი, თუ შენაძენი თვისებების გაშლა-განვითარებას პიროვნებაში.

1968 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო გამოიცა პედაგოგიური მიმართულების სტუდენტებისათვის (პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, რედაქტორი: ვლ. ზამბახიძე), რომელშიც შესულია გიორგი თავზიშვილის ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი პედაგოგიკაში. სახელმძღვანელო ოთხი თავისაგან შედგებოდა და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: პედაგოგიკის საგანი, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, ბავშვის განვითარების ძირითადი ფაქტორები, ბავშვის განვითარების ასაკობრივი პერიოდები და თავისებურებანი.

აღნიშნული წიგნი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა სტუდენტთა ძირითად სახელმძღვანელოს. მის მაღალ მეცნიერულ მნიშვნელობას ადასტურებს ისიც, რომ ხსენებული ნაშრომი გიორგი თავზიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1980 წელს გამოცემულ, მისი რჩეული პედაგოგიკური თხზულებანის მესამე ტომშიც იქნა შეტანილი.

გ. თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების კვლევას. მისი აზრით, სწორედ ბავშვთა განვითარების ასაკობრივი პერიოდებისა და თავისებურებების დადგენითა და გათვალისწინებით შეიძლება წარიმართოს სწორი პედაგოგიკური პროცესი. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებისადმი.

ყურადღებას იქცევს ბავშვთა განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაციის გ. თავზიშვილისეული სქემაც, რომელიც ძირითადად ორ ეტაპს - სკოლამდელ და სასკოლო პერიოდებს მოიცავს. ეს პერიოდები თავის მხრივ მას დაყოფილი აქვს სამსამ პერიოდად. კერძოდ, სკოლამდელი პერიოდი მოიცავს უმცროს, საშუალო და უფროს სკოლამდელ ასაკს. შესაბამისად, დაბადებიდან 3 წლამდე, 3-დან 5 წლამდე და 5-დან 7 წლამდე. სასკოლო პერიოდი კი მოიცავს უმცროს, საშუალო და უფროს ასაკობრივ პერიოდებს. შესაბამისად, 7-8 წლიდან 11-12 წლამდე, 11-12-დან 14-15

წლამდე და 14-15-დან 17-18 წლამდე. გ. თავზიშვილის აზრით, ასეთი დიფერენცირება უფრო ნათლად გამოხატავს ბავშვის განვითარების ეტაპებს, ვიდრე პერიოდიზაციის ისეთი ცნებები, როგორებიცაა ჩვილი, ყრმა, ყმაწვილი, ჭაბუკი და სხვა, რომლებიც უფრო ფიზიკური განვითარების ეტაპებს განსაზღვრავს.

აღნიშნული პერიოდიზაცია, რომელიც შესაბამისობაში ვერ მოდის თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემასთან, იმ დროისთვის არსებული სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების ასაკობრივი საფეხურების მიხედვით იყო განსაზღვრული. ბავშვთა ასაკობრივი პერიოდიზაციისა და მისი ეტაპებისთვის შესაბამისი ფსიქო-ფიზიკური და გონებრივი თავისებურებები კი მხოლოდ საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად შეიძლება განისაზღვროს და დაიგეგმოს.

ბავშვის სწავლა-სწავლებისა და სრულყოფილ პიროვნებად მის ჩამოსაყალიბებლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ასაკობრივ მახასიათებლებს, ისე შეგნებული დისციპლინის ჩამოყალიბებას ცალკეული მათგანის ინდივიდუალური თავისებურებებისა და განვითარების დონის გათვალისწინებით. როგორც გ. თავზიშვილი აღნიშნავს, „შეგნებული დისციპლინის პირობებში, ე. ი. როცა მოსწავლეს ესმის თავისი მოვალეობა სკოლის, ოჯახის და საერთოდ, საზოგადოების წინაშე და შეგნებული აქვს სწავლის აუცილებლობა - მთელი პედაგოგიური პროცესი ნაყოფიერად მიმდინარეობს“ (თავზიშვილი, 1980: 91).

ამავე დროს დისციპლინა არის აღზრდა-განათლების არა მარტო საშუალება, არამედ მისი შედეგიც. კერძოდ, აღზრდის ადრეულ საფეხურზე იგი შეიძლება იყოს საშუალება, ხოლო შემდეგ უკვე შედეგი. საბჭოთა პერიოდის მოსწავლეთა დისციპლინის ე. წ. „წესების“ შეფასების დროს, გ. თავზიშვილი აღნიშნავს, რომ მას აკლია ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი. იგი დასმენს, რომ დისციპლინის ჩამოყალიბების პროცესი დაფუძნებული უნდა იყოს პიროვნების პატივისცემაზე. მოსწავლე უნდა გრძნობდეს სიყვარულს, მზრუნველობას, პატივისცემას. მასწავლებელიც მოსწავლეში მუდამ უნდა ხედავდეს პიროვნებას, რომელსაც აქვს ღირსება, თავმოყვარეობა და განცდები. აქედან გამომდინარე, მან ყოველთვის უნდა

იმოქმედოს როგორც შექებისა და წახალისების გამოხატვით, ასევე შენიშვნის მიცემითაც. ორივე შემთხვევაში აუცილებელია ზომიერებისა და სამართლიანობის დაცვა. ასევე გასათვალისწინებელია მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიღება. ყოველი შენიშვნისა თუ საყვედლის მიზანი უნდა იყოს მცდელობა ბავშვის გამოსწორებისა და არა მისი დასჯა.

ადამიანის ყოველმხრივი განვითარების პირობებს შორის უმნიშვნელოვანესია შრომა. შრომისადმი დამოკიდებულების და შეგნებული დისციპლინის საკითხებია განხილული გ. თავზიშვილის წიგნში, რომელიც 1961 წელს გამოიცა. იგი მცირე ზომისაა და მხოლოდ ორ თავს მოიცავს. ამ ნაშრომის ცალკე წიგნად გამოცემა იმდროისათვის საკითხის აქტუალობასა და მნიშვნელობაზე მიგვითითებს. შრომითი აღზრდა სწორედ ყოველმხრივი განვითარების იდეას ემსახურება. მნიშვნელოვანია მოზარდს ესმოდეს შრომის როლი ადამიანის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარებისთვის. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება უნდა ცდილობდნენ აღზარდონ მოზარდებში სიყვარული და შეგნებული დამოკიდებულება ყოველგვარი შრომისადმი. ყველა შრომა საპატიოა, როცა ის ნაყოფიერი და სასარგებლოა, იქნება ეს ფიზიკური, თუ გონებრივი. თუმცა, როგორც გ. თავზიშვილი აღნიშნავს, „ჯერხანობით ჩვენს სკოლასა და ოჯახში, განსაკუთრებით ქალაქ ადგილებში, ფიზიკური შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა ძალიან დაბალ დონეზე“ (თავზიშვილი, 1961: 9).

სამწუხაროდ, ათეულობით წლის შემდეგაც ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. შრომისმოყვარეობის ჩამოყალიბებისათვის მოზარდებში აუცილებელია მოტივაცია. მოტივაციისათვის კი, გ. თავზიშვილი შემდეგ პირობებს გვთავაზობს: 1. შრომის პროდუქტის საზოგადოებრივი მნიშვნელობა, 2. შრომა, როგორც ჯანმრთელი ორგანიზმის მოთხოვნილება, 3. შრომით გამოწვეული სიამოვნება. მოსწავლეთა ფიზიკური შრომა, როგორც გ. თავზიშვილი აღნიშნავს, უნდა ემსახურებოდეს გარკვეული სასკოლო ამოცანის გადაჭრას და ქმნიდეს ისეთ პროდუქტს, რომელშიც

მოჩანდეს ფიზიკური და გონებრივი შრომის ერთიანობა, ანუ ხელისა და თავის კავშირი.

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ მიდგომებში ბევრი რამ თანამედროვე თვალთახედვითაც უსათუოდ მისაღებია და გასათვალისწინებელი. თუმცა მისი პედაგოგიური იდეების შეფასების დროს ისიც უნდა აღინიშნოს, სწავლა-აღზრდის პროცესის სასურველი ფორმით წარსამართად უნივერსალური ფორმულა რომ არ არსებობს და ეს პროცესი მუდმივად იცვლება როგორც ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, ისე თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

ბ) პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდის საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება უპირველეს ყოვლისა მის იმ ნაშრომებს უნდა მივაქციეთ, რომლებიც დღესაც, მათი დაწერიდან საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგაც, საინტერესო შრომებს წარმოადგენს და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მკვლევრის წვლილს ქართული პედაგოგიური მეცნიერების ისტორიაში. მისი ის ნაშრომები გვაქვს მხედველობაში, რომელთა მეშვეობითაც მან საფუძვლიანად შეისწავლა, ერთის მხრივ, ქართული განათლების ისტორია და მისი განვითარების უმთავრესი ეტაპები, მეორეს მხრივ კი ქართველ მწერალთა, პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებანი.

რაც შეეხება გ. თავზიშვილის იმ ნაშრომებს, რომლებიც მან პედაგოგიკის თეორიულ პრობლემებს, აღზრდისა და სწავლების პრინციპების განსაზღვრასა და ამ მიმართულებით არსებული პრობლემების ანალიზს მიუმღვნა, მკაფიოდ გამოხატული პარტიული და იდეოლოგიური სულისკვეთების გამო ისინი დღესდღეობით ნაკლებად ფასეულნი არიან.

სამწუხაროდ, გ. თავზიშვილი ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ ყოფილა და ამ მოვლენამ რეალური გამოვლინება ჰქოვა იმხანად მოღვაწე თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენელთა ნააზრევში. საბჭოთა ხელისუფლების მიერ ერთმნიშვნელოვნად დამკვიდრებული იდეოლოგიური პრინციპები ყველა სფეროს წარმომადგენელს

მკაცრად ავალდებულებდა ამ პრინციპების დაცვას და მათგან გადახვევას მიუტევებელ დანაშაულად მიიჩნევდა.

აღნიშნულ რეალობას, ბუნებრივია, ვერც გიორგი თავზიშვილმა დააღწია თავი და ამ რეალობამ აღზრდისა და სწავლების პრინციპების განსაზღვრასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მისი ნაშრომებსაც დაასვა დაღი. კერძოდ, გასული საუკუნის 30-40-იან წლებში გამოცემული მისი ისეთი წიგნები, როგორებიცაა: „პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საკითხები“ (1933 წ.), „საბჭოთა პატრიოტიზმი და პატრიოტული აღზრდა“ (1939 წ.), „ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში“ (პირველი გამოცემა 1940 წელს, მეორე - 1954 წელს) და სხვები საბჭოთა იდეოლოგიის მძლავრ მარწუხებშია მოქცეული. აღზრდასთან და სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები მათში იმდენად იდეოლოგიზებული ფორმითაა გაანალიზებული, რომ მკვლევრის მიერ გამოთქმულ ბევრ მოსაზრებას დღესდღეობით თითქმის აღარავითარ მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია.

რასაკვირველია, ეს ძალზე გულსატკენი ფაქტია, რის შედეგადაც გ. თავზიშვილის მეცნიერული შესაძლებლობები ხსენებულ ნაშრომებში საკმაოდ გაღარიბებული სახით გამოვლინდა. მსგავსად საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე საზოგადოებრივ მეცნიერებათა ბევრი წარმომადგენლისა, გ. თავზიშვილიც თავისი ამ ნაშრომების მეთოდოლოგიურ და იდეოლოგიურ საფუძვლად ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იღებდა როგორც მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებს, ისე იმ დირექტიულ დადგენილებებს, რომელთაც იმდროინდელ ხელისუფლების მესვეურები ამტკიცებდნენ, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

გ. თავზიშვილის ხსენებულ ნაშრომებში აღნიშნული მასალები მიღებულია იმ მეთოდოლოგიურ საფუძვლად, რომელსაც მკვლევარი ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ღებულობდა ერთადერთ ჭეშმარიტებად.

აქედან გამომდინარე, საბჭოთა იდეოლოგიის მძლავრ მარწუხებში მოქცეულ ამ ნაშრომებში სწავლებასთან და აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებული ბევრი

ფუნდამენტური საკითხი დღესდღეობით არსებითად მიუღებელი და მცდარი თვალთახედვითაა გააზრებული.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე ეპიზოდს მისი ნაშრომიდან „ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში“. სამწუხაროდ, დღესაც განსაკუთრებით აქტუალური ეს პრობლემა გ. თავზიშვილმა ხსენებულ წიგნში აშკარად გამოხატული საბჭოური თვალთახედვით განიხილა და მისი მეცნიერული მსჯელობა ყოველგვარი კრიტიკისა და დაეჭვების გარეშე დააფუძნა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა, პირველ ყოვლისა კი ლენინისა და სტალინის მიერ გამოთქმულ პარტიულ შეხედულებებს აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება დღესაც იწვევს გარკვეულ ინტერესს, უმთავრესი პათოსი ავტორისეული მსჯელობისა აშკარად იდეოლოგიზებულია და საბჭოთა სინამდვილის ტენდენციურად განმადიდებელი. მხედველობაში გვაქვს ნაშრომის ის ადგილები, სადაც ავტორი სწორედ ამგვარი ფორმით განადიდებს საბჭოთა პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, როგორც საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერთა „მმური თანამშრომლობის, მეგობრული დამოკიდებულების, ურთიერთის ნდობის და საერთო საქმისათვის თავდადების გრძნობას“ (თავზიშვილი, 1954: 4).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაჰყრობს ბრძოლას „ნაციონალისტური გადმონაშთების წინააღმდეგ“ და ამ ბრძოლას „ინტერნაციონალური აღზრდის აუცილებელ პირობად“ მიიჩნევს (თავზიშვილი, 1954: 13). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარმართული მთელი ამ მსჯელობის განმამტკიცებელ უმთავრეს არგუმენტებად მკვლევარს მხოლოდ ლენინისა და სტალინის ნაშრომებიდან დამოწმებული ციტატები მოაქვს, რითაც ნაშრომი კიდევ უფრო მეტად ექცევა იდეოლოგიური მარწუხების ტყვეობაში და რამდენიმე ისტორიული შეცდომის დაშვების საფუძვლიც ხდება.

მხედველობაში გვაქვს ავტორისეული ხაზგასმა XIX საუკუნის საქართველოში თითქოსდა „ანტიარმენიზმის“ არსებობის შესახებ, რაც ყოველგვარი გადაჭარბების

გარეშე უნდა მივიჩნიოთ რეალურ საფუძველს მოკლებულ მოსაზრებად (თავზიშვილი, 1954: 16).

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გ. თავზიშვილის ხსენებულ ნაშრომებში მისაღები და ყურადღება მისაქცევი არაფერი იყოს. რასაკვირველია, ეს ასე რომ არ არის, ამის ნათელსაყოფად აქ დასახელებული წიგნის იმ ფრაგმენტს დავიმოწმებთ, სადაც მკვლევარი კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მიმართულ მის თვალსაზრისს ასეთი სახით გამოხატავს: „კოსმოპოლიტიზმი... მიმართულია ხალხთა ეროვნული ღირსების, ეროვნული კულტურის დაუფასებლობისა და მიჩქმალვისაკენ. გადაგვარებული კოსმოპოლიტები ქადაგებენ ეროვნულ ნიჭილიზმსა და უთვისტომობას, ებრძვიან პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს, ცდილობენ დაუკარგონ ადამიანს სიყვარული თავისი ერისა და სამშობლოსადმი, დაუკარგონ პატივისცემა თავის ეროვნული კულტურისა, ეროვნული ტრადიციებისა და ეროვნული მოღვაწეებისადმი...“

ინტერნაციონალური აღზრდის ამოცანები მოითხოვენ შეუპოვარ ბრძოლას ნაციონალური კულტურის ყოველგვარი დამახინჯებისა და გაყალბების წინააღმდეგ, ბრძოლას კოსმოპოლიტიზმის ყოველი სახის გამოვლინების წინააღმდეგ“ (თავზიშვილი, 1954: 28).

განსახილველი ნაშრომის ღირსებათა წარმოჩენის დროს აქ ის გარემოებაც უნდა აღინიშნოს, რომ გ. თავზიშვილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი არარუსი ერების ეროვნული და ენობრივი ინტერესების აქტიურად დამცველის როლშიც მოგვევლინა და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალური აღზრდის პოზიტიურ როლსა და მნიშვნელობაზე საუბარი ისე არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო გაგებული, თითქოს ამით პატარა ერების ეროვნული და ენობრივი ინტერესები შელახულიყო.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „სხვადასხვა ერებს უქველად აქვთ ერთიანი და არსებითად ერთგვარი კულტურა, მაგრამ ამ ერების ისტორიული განვითარების პროცესი, საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების

დონე, სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოცვა, სხვადასხვა ენა, აღზრდის თავისებური მეთოდები, ტრადიციები, ჩვეულებანი და სხვა პირობები ქმნიან ამათუიმ ერის სპეციფიკურ თვისებებს, რომლითაც ეს ერები სათანადოდ განირჩევიან ერთიმეორისაგან.

ეს პირობები სხვადასხვა ერის მოძრაობისა ქმნის ამ ერის ერთიანი კულტურის სპეციფიკურ, ნაციონალურ ფორმას.

ეს ფორმა, პირველ ყოვლისა, ერის მშობლიური ენისა და მისი ყოფა-ცხოვრების შესატყვისა. ამიტომ ინტერნაციონალური კულტურის დაუფლება სხვადასხვა ერების მიერ მათ საკუთარ ენაზე და მათი ყოფა-ცხოვრების შესაფერის გარემოებაში უნდა ხდებოდეს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ სპეციფიკური თავისებურებებით შეაქვს ყველა ერს თავისი წვლილი საერთაშორისო, მსოფლიო კულტურაში” (თავზიშვილი, 1954: 30).

დღესდღეობითაც უკამათოდ მისაღები ამ მოსაზრების შეფასების დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არარუსი ხალხების ეროვნული და ენობრივი ინტერესების ესოდენ აქტიურად დამცველის როლში გ. თავზიშვილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ რუსიფიკატორული პოლიტიკის აქტიურად და ტოტალურად გატარების პერიოდში გამოდიოდა.

მკვლევრის თეორიულ ნაშრომებში აღზრდასთან და სწავლა-სწავლების მეთოდებთან და მიზანდასახულობასთან დაკავშირებით გამოთქმული არაერთი მოსაზრება კომუნისტური სახელმწიფოს ბელადების იდეოლოგიით იყო მძლავრად დაღდასმული. ერთ-ერთ სწორედ ასეთი ზეგავლენის ნეგატიურ გამოვლინებას წარმოადგენს ლენინისა და სტალინის ფსევდომეცნიერულ მტკიცებულობებზე დაყრდნობით გამოთქმული შეხედულება ერების ერთმანეთთან შერწყმისა და მსოფლიოში ერთი ხელოვნური ენის შექმნასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, სტალინის მტკიცებით, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში ერები და ენები ერთმანეთს შეერწყმებოდნენ,

რის შედეგადაც მსოფლიოში მცხოვრები ხალხები ერთ ერად ჩამოყალიბდებოდნენ და ერთი ენით იმეტყველებდნენ. ასე რომ, ი. სტალინის წინასწარმეტყველებით, მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების მეორე ეტაპზე „ჩამოყალიბებას დაიწყებს საერთო ენის მსგავსი რამ, ვინაიდან მხოლოდ ამ ეტაპზე იგრძნობენ ერები იმის აუცილებლობას, რომ თავიანთ ეროვნულ ენებთან ერთად ჰქონდეთ ერთი საერთო საეროვნებათაშორისო ენა... ამ ეტაპზე ეროვნული ენები და საერთო საეროვნებათაშორისო ენა პარალელურად იარსებებენ.“ ამ პერიოდის გავლის შემდეგ კი „დაიწყება ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა და ისინი ადგილს დაუთმობენ ყველასთვის საერთო მსოფლიო ენას“ (სტალინი, 1947: 385).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალწათლივ ჩანს, სტალინის აზრით, კაცობრიობის განვითარების მომდევნო ეტაპი „ეროვნულ ენათა კვდომისა“ და ერთი „საერთო საეროვნებათაშორისო ენის“ დამკვიდრების ხანა იქნებოდა, დრო, როცა ერთმანეთის „პარალელურად იარსებებდნენ“ ეროვნული ენები და ერთი „საერთო საეროვნებათაშორისო ენა.“ ამ პერიოდის გავლის შემდეგ კი „დაიწყებოდა ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა და ისინი ადგილს დაუთმობდნენ ყველასთვის საერთო მსოფლიო ენას“.

როგორც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური პოლიტიკით ერთმნიშვნელოვნად ცნობილია, ასეთ ენად ხელისუფლება მაშინ მხოლოდ რუსულს მიიჩნევდა. საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ მრავალეროვან ხალხთა ერთ სამეტყველო ენად რუსულის გამოცხადება კი მიზანმიმართულად ნიშნავდა მათი ეთნიკური იდენტობისთვის საფუძვლის გამოცლას.

ეროვნულ ენათა კვდომისა და „ყველასთვის საერთო მსოფლიო ენის“ შექმნის სტალინისეული თეორია ამ კონკრეტულ შემთხვევაში საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკით იყო აშკარად დაღდასმული და ამ თეორიის ავტორი ყველა ერისთვის სავალდებულო ერთ „საერთო საეროვნებათაშორისო ენაში“ რუსულ ენას გულისხმობდა.

თუმცა ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მსოფლიოში თანამედროვე ეტაპზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ სტალინის მიერ გამოთქმული მოსაზრება მომავალში ერთი „საეროვნებათაშორისო ენის“ არსებობასთან დაკავშირებით, გარკვეულწილად მართლაც შეიძლება დავუკავშიროთ რეალურად არსებულ მდგომარეობას. როგორც ცნობილია, დღეს ამ დანიშნულებას წარმატებით ასრულებს ინგლისური ენა. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ მსოფლიოს მასშტაბით ინგლისური ენის ფუნქციონირების ამგვარი აღზევება არამც და არამც არ უნდა მივიჩნიოთ ეროვნულ ენათა უფლებების უგულვებელყოფისა და კვდომის განმაპირობებელ ფაქტორად.

ბევრი საბჭოთა მეცნიერის მსგავსად, ენათა კვდომის სტალინისეულ „თეორიას“ მაშინ გ. თავზიშვილიც გამოეხმაურა და გარკვეულწილად გაიზიარა კიდეც ეს მოსაზრება. თუმცა, თავის ნაშრომებში იგი აქტიურად გამოდიოდა ეროვნულ ინდივიდუალობათა აქტიურად დამცველის როლში.

შეუძლებელია მეცნიერი ერთის მხრივ დასაშვებად მიიჩნევდეს საერთო, საეროვნებათაშორისო ენის დამკვიდრებას და ამასთანავე აუცილებლად თვლიდეს მოსწავლეთათვის, დედაენისა და რუსულის გარდა, კიდევ ერთი უცხო ენის შესწავლას. სამეცნიერო მოღვაწეობის მსურველთათვის კი, ორი-სამი უცხო ენის ცოდნას. ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული მისი მოსაზრებების მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად მათი აშკარად იდეოლოგიზებული ხასიათისა, დღესაც მისაღებია და აშკარად გასათვალისწინებელი.

განსაკუთრებით საინტერესოა მისეული მსჯელობა მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში პატრიოტული და ინტერნაციონალური პრინციპების ერთმანეთთან ბუნებრივად შერწმასთან დაკავშირებით. გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგად რეკომენდაციებს გვთავაზობდა ამ მიზნის მისაღწევ გზათა შესახებ, არამედ კონკრეტულ რჩევებსაც იძლეოდა. კერძოდ, მისი მტკიცებით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად სკოლაში სწავლის პერიოდში მნიშვნელოვანი როლის

შესრულება შეუძლია ისეთი საგნების სწავლებას, როგორებიცაა ისტორია, მშობლიური ენა და ლიტერატურა და გეოგრაფია.

პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში გ. თავზიშვილი ასევე დიდ როლს აკისრებდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესის სწორად წარმართვას. იგი არა მარტო ასეთ ზოგად შეფასებას აძლევდა ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს, არამედ კონკრეტულადაც განიხილავდა და ახასიათებდა ამ მიმართულებით გამოსაყენებელ ისეთ მასობრივ ღონისძიებებს, როგორებიცაა: კლასგარეშე კითხვა, ექსკურსიები და ლაშქრობები, კოლექტიური დასწრებები სპექტაკლებსა და კონფილმებზე და მათი განხილვები, წერილობითი კონტაქტების დამყარება სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან, სხვადასხვა თარიღებისადმი და ცნობილი პიროვნებებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება, ერთობლივი სპორტული შეჯიბრებების გამართვა და ა. შ.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილი ამ და მსგავს ღონისძიებათა პერმანენტულად მიმდინარეობას მოზარდი თაობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად მიიჩნევდა, მისი მტკიცებით, ამგვარი პედაგოგიური მიზანსწრაფვის უპირველეს მიზანს ბავშვის პატრიოტული თვითშეგნების განმტკიცება უნდა წარმოადგენდეს. ასე რომ, თავად მკვლევრის სიტყვებით თუ ვიტყვით, სრულყოფილ მოქალაქედ მოსწავლის ჩამოყალიბების უმთავრეს გზად პატრიოტული სულისკვეთებით მისი აღზრდა უნდა იყოს ქცეული, „პირველ ყოვლისა, საკუთარი სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლა“ (თავზიშვილი, 1939: 29).

აქედან გამომდინარე, „სამშობლო ენისა და ლიტერატურის სწავლების დროს სკოლამ და პედაგოგმა მოწაფეს უნდა შეუქმნან სამშობლო ენის და ლიტერატურის აუცილებლად ცოდნის რწმენა. ამისთვის საჭიროა მოწაფემ იცოდეს, რა კულტურაა შექმნილი ამ ენაზე, რა უპირატესობა აქვს მას მეცნიერული ცოდნის დაუფლების საქმეში“ (თავზიშვილი, 1939: 24).

„სამშობლო ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან“ ერთად, სრულფასოვან მოქალაქედ ბავშვის აღზრდისა და ჩამოყალიბების პროცესში გ. თავზიშვილი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ისტორიასაც და გეოგრაფიასაც. მას არაერთი არგუმენტი მოჰყავდა იმის დასტურად, რომ ამ საგნების სწავლების შედეგად ბავშვს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცდებოდა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთება.

მისი მტკიცებით, „ისტორიის სწავლება მეტისმეტად ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს ინტერნაციონალური აღზრდისათვის. მსოფლიო ისტორია... ინტერნაციონალური ხასიათის მრავალ ფაქტსა და მოვლენას შეიცავენ...“

იმ ისტორიულ პირთა მოღვაწეობისა და ისტორიულ მოვლენათა დახასიათება, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით პროგრესულ როლს ასრულებდნენ და თავისი მნიშვნელობით სცილდებოდნენ ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ ფარგლებს, ყოველთვის ინტერნაციონალური (ხაზგასმა ავტორისაა - თ. კ.) აღზრდის თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს... მრავალი დიდი მეცნიერი საამაყოა არა მარტო მისი წარმომშობი ერისათვის, არამედ აგრეთვე მთელი კაცობრიობისათვის. მათი მოღვაწეობა სცილდება ნაციონალურ ფარგლებს და საერთაშორისო კულტურის საგანძურს ამდიდრებს“ (თავზიშვილი, 1980: 139).

თავისი ამ მოსაზრების გამოთქმის დროს გ. თავზიშვილი სავსებით მართებულად ემყარება ქართველი ხალხის დიდი განმანათლებლების, პირველ ყოვლისა კი იაკობ გოგებაშვილის, მიერ გამოთქმულ შეხედულებებს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, პატრიოტული სულისკვეთებით ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად გ. თავზიშვილს მშობლიური ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი სწავლება მიაჩნდა. თუმცა უალტერნატივო დებულებად გამოთქმული ამ მოსაზრების მიუხედავად, იგი იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ სწავლების აღნიშნული პროცესი განუყოფელად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მოსწავლის ცნობიერებაში სხვა ხალხთა ენებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის სურვილის გაღვივებასთანაც. აი, რას წერდა იგი ამასთან

დაკავშირებით: „მასწავლებელმა უნდა გაუღვივოს მოსწავლეებს სიყვარული და პატივისცემა მოწინავე ენებისადმი, იმ ენებისადმი, რომლებზეც დაგროვილია და ვითარდება კაცობრიობის კულტურული საგანძურო. მასწავლებელმა უნდა შეუქმნას მოსწავლეებს განუხრელი მისწრაფება მდიდარი უცხო ენების შესწავლისადმი და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ მისწრაფების რეალური განხორციელების საქმეში. უცხო ენების მასწავლებლებმა უნდა შთაუნერგონ მოსწავლეებს ის ჭეშმარიტება, რომ მოწინავე უცხო ენების ცოდნა თუ ერთადერთი არა - უმთავრესი საშუალებაა ამ ენებზე არსებული დიდი კულტურის ყოველმხრივ შესასწავლად“ (თავზიშვილი, 1980: 144).

ამ და მსგავსი მოსაზრებებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გ. თავზიშვილი შესაბამის გამონათქვამებსაც უხვად იმოწმებდა ცნობილ მოღვაწეთა, ამასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი წერილში - „საუბარი მამაშვილს შუა“ წერდა: „ყველაზე პირველად მე ქართველი ვარ, რადგან ქართველად დავბადებულვარ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შოვინისტი ვიყო. სხვა ხალხის უბედურებით რომ ჩემი ხალხი იყოს ბედნიერი - ეს არ მინდა. არც ჩემ ხალხს შევწირავ მსხვერპლად რომელიმე ერს. ჩემი სურვილია, რომ ყველა ბედნიერი იყოს ერთიმეორის გადაუკიდებლად... საძაგლობა ის არის, როცა განურჩევლად, შენი ხალხის ცუდიც კი მოგწონს და სხვების მტრობა უბედურობით ეძებ შენი ხალხის კეთილდღეობას...“ (წერეთელი, 1908: 4, 13).

მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთების ფორმირების პროცესში გ. თავზიშვილი ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიის სწავლებასაც. მისი აზრით, ამ თვალსაზრისით საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნის ისეთი საკითხების სწავლებაზე განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობა, როგორებიცაა: გეოგრაფიული აღმოჩენები, რომელთაც ჰქონდათ მსოფლიო-ისტორიული ხასიათის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. გეოგრაფიული მეცნიერების დიდ წარმომადგენელთა და მკვლევარ-აღმომჩენთა ბიოგრაფიები და ა. შ. გ. თავზიშვილის მართებული მოსაზრებით, სკოლაში გეოგრაფიის სწავლების დროს ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს

„გარკვეული ურთიერთობის დამყარებას სხვადასხვა ერებს და სახელმწიფოებს შორის“ (თავზიშვილი, 1980: 150).

დღესაც უაღრესად მნიშვნელოვან ამ და მსგავს დებულებებს გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად გამოთქვამდა, არამედ მათი პრაქტიკული განხორციელების გზებსაც გვთავაზობდა შესაბამისი რეალობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში გამოთქმული ამ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მკვლევრის მიერ დაფიქსირებული ბევრი მოსაზრება თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესების რადიკალური შეცვლისა და ევროინტეგრაციის პროცესში ჩვენი ქვეყნის აქტიურად ჩართვის გამო არსებითად შეცვლილ რეალობას ქმნის, ხსენებული მოსაზრებანი კვლავაც რჩება აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფასეულ თეორიულ ბაზად.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ მკვლევრის მიერ დაფიქსირებული პოზიტიური და იმდროინდელ პოლიტიკურ რეალობასთან მეტ-ნაკლებად შეუსაბამო შეხედულებების შეფასების დროს უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ და მსგავს მოსაზრებებს იგი საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში გამოთქვამდა, იმ დროს, როცა იმჟამინდელი ხელისუფლება აქტიურად ატარებდა ინტერნაციონალიზმის სახელით შენიდბულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

გ) პოლიტექნიკური განათლების საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში. მოსწავლეთა სწავლებასთან და აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხთა თეორიული განხილვებისა და კონკრეტული პედაგოგიური რეკომენდაციების შემუშავების დროს გიორგი თავზიშვილმა პოლიტექნიკური განათლების საკითხებსაც მიაქცია ყურადღება. აღნიშნული საკითხი მის მეცნიერულ ნააზრევში ორჯერ იქცა სპეციალური მსჯელობისა და ანალიზის საგნად - პირველად, XIX საუკუნის ქართული საგანმანათლებლო სისტემისა და იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიური იდეების შესწავლის დროს და მეორედ, აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ წიგნში

- „პოლიტექნიკური სწავლების საკითხვისათვის,“ რომელიც 1955 წელს გამოსცა საქართველოს განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა.

ხსენებულ წიგნში გ. თავზიშვილმა აქტიურად ცადა, სპეციალური მსჯელობის საგნად ექცია საბჭოთა პერიოდის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად გამხდარ პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს პრობლემა იმ დროისათვის საკმაოდ აქტუალურ მოვლენად ითვლებოდა და ხელისუფლების მიერ დიდი ყურადღების საგნად იყო ქცეული. სწორედ ამ ყურადღების ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა აღზრდისა და სრულყოფილ მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში მაშინდელი საგანმანათლებლო სისტემის აუცილებელ შემადგენელ ნაწილად პროფექციკური განათლების მისაღებად საჭირო საფუძვლის შექმნაც იყო ქცეული. სასკოლო ასაკის ბავშვებში ამ მიმართულებით საჭირო საფუძვლის მომზადებას იმდროინდელი ხელისუფლება არა მარტო თეორიული სწავლების გზით ცდილობდა, არამედ სკოლებში საწარმოო პრაქტიკის ფართოდ დანერგვითაც.

მოსწავლეებს გარკვეული დროის განმავლობაში შრომითი პრაქტიკის გავლაც ევალებოდათ - სოფლის მკვიდრთ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაობის შესრულებაში მონაწილეობის მიღება, ქალაქელებს კი ამა თუ იმ საწარმოში ყოფნა და რომელიმე ტექნიკურ სპეციალობაში ელემენტარული საწარმოო უნარ-ჩვევების შესწავლა.

როგორც მაშინ იყო ფართოდ აღიარებული, ამ გზით მყარი საფუძველი შექმნებოდა მოსწავლეთა მომზადებას მომავალი პროფესიული დაოსტატებისათვის. გ. თავზიშვილის ხსენებული წიგნიც ამ მიზნით შექმნილ ნაშრომს წარმოადგენს და, ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის აშკარა ზეგავლენითაა აღბეჭდილი.

საბჭოთა პერიოდის საგანმანათლებლო სისტემა პოლიტექნიკურ სწავლებას ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების პროცესში უთმობდა, არამედ იმითაც, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო

შექმნილი პროფტექნიკური სასწავლებლების მრავალფეროვანი ქსელი, სადაც ძირითადად ის მოსწავლეები ირიცხებოდნენ, რომლებიც სწავლაში მოისუსტებდნენ და უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ. განსხვავებით ჩვეულებრივი საშუალო სკოლების მოსწავლეებისაგან, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ რომელიმე პროფესიას მხოლოდ ელემენტარულ დონეზე იყვნენ გაცნობილი და სათანადო შრომითი უნარ-ჩვევები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მყარად ჩამოყალიბებული, პროფტექნიკური სასწავლებლებში სწავლის უმთავრესი მიზანი იყო მოსწავლე პროფესიულ დონეზე დაუფლებოდა ამა თუ იმ შრომით სპეციალობას.

კერძოდ, აი, როგორ იყო განმარტებული აღნიშნული ტიპის სასწავლო დაწესებულების ეს მიზანი გ. თავზიშვილის წიგნში: „საშუალო პოლიტექნიკური სკოლა მოწოდებულია მისცეს ახალგაზრდობას მეცნიერული ცოდნა და მოამზადოს იგი პროფესიის თავისუფლად არჩევისთვის, მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. საშუალო სკოლა, როგორც ზოგადი განათლების ნორმალური სასწავლებელი, მიზნად არ ისახავს სპეციალისტის აღზრდას. ის აძლევს მოსწავლეებს წარმოების საფუძვლების, მისი მთავარი პროცესების ცოდნას და ამით უადვილებს მათ სხვადასხვა სპეციალობათა სფეროში ორიენტირებასა და ერთი მათგანის არჩევას“ (თავზიშვილი, 1955: 55).

გიორგი თავზიშვილის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას თუ თანამედროვეობასთან მიმართებით განვიხილავთ, ნათლად დავინახავთ, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო საერთაშორისო სივრცე ანალოგიური პრინციპით მუშაობს.

**თავი III - ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა
ისტორიის საკითხები გიორგი თავზიშვილის ნაზრევში**

ა) გიორგი თავზიშვილი - X-XVIII საუკუნების საქართველოსა და უცხოეთში არსებულ ქართულ სასწავლო დაწესებულებათა ისტორიის მკვლევარი. როგორც ჩვენამდე მოღწეული ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებით დასტურდება, საქართველოში სწავლა-განათლების საქმე უმველესი დროიდანვე იდგა მაღალ აკადემიურ დონეზე და მის განვითარებას ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ადრინდელი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, არა მარტო საქართველოში არსებობდა მაღალი დონის სასწავლო დაწესებულებანი, მათ შორის აკადემიებიც, არამედ ქართველებს მსგავსი სახის რელიგიურ-საგანმანათლებლო ცენტრები უცხოეთის არაერთ ქვეყანაშიც ჰქონდათ დაარსებული.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გელათის, იყალთოსა და გრემის აკადემიები, ტაო-კლარჯეთში არსებული ეკლესია-მონასტრები, რომლებიც არა მარტო უმნიშვნელოვანეს რელიგიურ კერებს წარმოადგენდა, არამედ ქართული მწიგნობრობისა და განათლების ფართოდ ცნობილ ცენტრებსაც და ა. შ.

მსგავსი საგანმანათლებლო დაწესებულებანი აღნიშნულ პერიოდში ქართველებს ასევე ჰქონდათ დაარსებული უცხოეთშიც. კერძოდ, იერუსალიმში - ჯვრის მონასტერი, საბერძნეთში - ათონის ივერთა მონასტერი, ბულგარეთში - პეტრიწონის მონასტერი და სხვ.

სასწავლო დაწესებულებათა შექმნასა და ფუნქციონირებას ჩვენს ქვეყანაში არა მარტო მშვიდობიანობის პერიოდში რომ ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება, არამედ საქართველოში გარეშე მტრების თარეშის დროსაც, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ისეთ ურთულეს პირობებშიც კი, როგორშიც ჩვენი ქვეყანა XVIII საუკუნეში იმყოფებოდა, აյ არსებულ მაღალი დონის საგანმანათლებლო ცენტრებში

არაერთი სახელოვანი მეცნიერი და პედაგოგი ეწეოდა აქტიურ მოღვაწეობას (მაგალითად, ანტონ კათოლიკოსი, იოანე ბაგრატიონი, გაიოზ რექტორი და სხვ.).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელიც ქართული პედაგოგიური აზროვნების საქმეში აქვთ შესრულებული XVIII საუკუნეში მოღვაწე ისეთ დიდ მწერლებსა და მამულიშვილებს, როგორებიც იყვნენ: არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ვახტანგ მეექვსე და სხვები.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ საქართველოში ასეთი მაღალი დონის სასწავლებლების რაოდენობაც შემცირდა და მშობლიურ ენაზე სწავლებაც აიკრძალა, ქართველი ერის ისეთი დიდი შვილები, როგორებიც იყვნენ: სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო ცხვედაძე, გიორგი წერეთელი, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები აქტიურად იბრძოდნენ საქართველოში სწავლის დონის ასამაღლებლად და ქართული საგანმანათლებლო სისტემის დასამკვიდრებლად და განსავითარებლად.

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მან აღნიშნული მიმართულებითაც იღვაწა ძალზე წარმატებულად და მაღალპროფესიული კვლევა-ძიების საფუძველზე შექმნილი ნაშრომები მრავლად გამოაქვეყნა როგორც სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში, ისე ცალკე წიგნებად დაბეჭდილ მონოგრაფიებში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაწეული ამ საქმიანობის შემაჯამებელ გამოცემად იქცა მისი „რჩეული ნაწერების“ სამტომეული, რომელიც მკვლევრის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა პროფ. იოსებ ბოცვაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

აღნიშნულ სამტომეულში წარმოდგენილი მონოგრაფიებითა და სამეცნიერო ნაშრომებით ნათელი წარმოდგენა გვექმნება, როგორც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის ცნობილ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო მოძღვრებაზე, ისე ჩვენს ქვეყანაში არსებულ სასწავლო დაწესებულებათა როლზე ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაში.

ი. ბოცვაძის მართებული შეფასებით, „გ. თავზიშვილის დამსახურება ის არის, რომ მან პირველმა მოაცილა არქივის მტვერი მრავალ საინტერესო ისტორიულ დოკუმენტს და აურაცხელი მეცნიერული ლიტერატურის დამუშავების შედეგად წათლად დაგვანახა, თუ რა გზით მიემართებოდა სახალხო განათლება და პედაგოგიური აზროვნება საქართველოში“ (თავზიშვილი 1974: 4).

ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისტორიის შესწავლას გ. თავზიშვილი XI-XII საუკუნეებით იწყებს და ამ დროიდან მოყოლებული საბჭოთა პერიოდამდე არსებულ ყველა მნიშვნელოვანი სასწავლებლის როლსა და მნიშვნელობას წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ საქართველოში არსებული სასწავლებლებით არ შემოიფარგლება და უცხოეთში მდებარე ქართულ საგანმანათლებლო ცენტრებთან დაკავშირებითაც გვაწვდის წერილობით წყაროებზე დაფუძნებულ ცნობებს.

აღნიშნული მიმართულებით მის მიერ გაწეული შრომის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ იმ დროისათვის, როცა გ. თავზიშვილი ამ საქმეს აკეთებდა, მისი შესწავლის საგნად ქცეულ საკითხთაგან ბევრი რამ ან საერთოდ არ იყო გამოკვლეული, ანდა ნაკლებად და ზედაპირულად იყო გააზრებული. აღნიშნული ფაქტორი მისი, როგორც არაერთი საკითხისთვის ყურადღების პირველად მიმქცევი მკვლევრის, მეცნიერულ დამსახურებას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძინავს.

მართალია, ხსენებულ საკითხთა დიდი ნაწილი შემდგომ პერიოდში კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, მაგრამ ამ მიმართულებით შემდგომში განხორციელებულ კვლევა-ძიებას საკმაოდ მძლავრი იმპულსი გ. თავზიშვილის ნაშრომებმაც მისცეს.

როგორც ითქვა, ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლას გ. თავზიშვილი XI-XII საუკუნეების საქართველოსა და უცხოეთში არსებული აკადემიებისა და ქრისტიანული კულტურის ცენტრების როლისა და მათში მოღვაწე სწავლულთა ღვაწლის შეფასებით იწყებს. თუმცა იგი არც აღნიშნული

პერიოდის წინარე ხანის საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებულ ვითარებას ტოვებს უყურადღებოდ და საგანმანათლებლო მიმართულებით გაწეულ იმ დიდ დამსახურებაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომელიც საქართველოში, პირველ ყოვლისა კი ტაო-კლარჯეთში, მდებარე ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირებს მიუძღვდათ ქართული მწიგნობრობის განვითარების საქმეში.

ამ თვალსაზრისით მკვლევრის ნაშრომის აშკარად ნაკლოვან მხარედ მხოლოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მასში ერთი სიტყვითაც კი არსადაა მოხსენიებული ფაზისის უმაღლესი რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთის არაერთ ქვეყანაშიც იყო ფართოდ ცნობილი. კერძოდ, ქართული პედაგოგიკის ისტორიის ცნობილ მკვლევართა შეფასებით, „დაწყებითი და საშუალო განათლების გარდა უკვე ახ. წ. III-IV საუკუნეებიდან, თუ უფრო ადრე არა, კოლხეთში უმაღლესი ფილოსოფიური განათლების კერაც არსებობდა.

უმაღლესი რიტორიკული სკოლა არსებობდა კოლხეთში ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად, რომელშიც არა მარტო ქართველები სწავლობდნენ, არამედ ბერძნებიც ჩამოდიოდნენ უმაღლესი განათლების გასავრცელებლად და მისაღებად. სწავლებაც ქართულ და ბერძნულ ენებზე უნდა ყოფილიყო. ისწავლებოდა ის მეცნიერებანი, რომელსაც იმდროინდელი ბიზანტიის მსგავსი უმაღლეს ფილოსოფიურ სასწავლებლებში გადიოდნენ“ (პედაგოგიკის ისტორია, 1998: 182).

გ. თავზიშვილის მონოგრაფიული ნაშრომი - „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში,“ რომელიც სრული სახით მისი „რჩეული ნაწერების“ სამტომეულის პირველ ტომშია დაბეჭდილი (თბილისი, 1974 წ.), ხუთი ნარკვევისაგან შედგება. პირველ ნარკვევში განხილულია ქართულ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საკითხები XI-XII საუკუნეებში, მეორე ნარკვევში - XVIII საუკუნის საქართველოში არსებული საგანმანათლებლო მდგომარეობა, მესამეში - XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით შექმნილი ვითარება და ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის, მეოთხეში - საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების

დამყარებამდელ პერიოდში საგანმანათლებლო კუთხით არსებული მდგომარეობა, მეხუთეში კი თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და შემდგომი პერიოდის საგანმანათლებლო სისტემა ჩვენს ქვეყანაში.

გ. თავზიშვილის მეცნიერული ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის, როცა იგი ამ საქმეს აკეთებდა, აღნიშნული საკითხები სათანადო მეცნიერული სიღრმით ჯერ კიდევ არ იყო შესწავლილი და მკვლევარმა მათ სამომავლო კვლევას ამ მიმართულებით გაწეული თავისი მუშაობით მყარი საფუძველი მოუმზადა.

ქართული განათლების ისტორიის შესწავლას გ. თავზიშვილი ფაქტობრივად XI-XII საუკუნეებით იწყებს და მანამდელი პერიოდის საქართველოში ამ მიმართულებით არსებული ვითარება მას მხოლოდ გაკვრით აქვს აღნიშნული. კერძოდ, მისი ხაზგასმით, ადრინდელი ხანის საქართველოში სწავლა-განათლების კერებს იმხანად არსებული ეკლესია-მონასტრები წარმოადგენდა და სწორედ მათი საშუალებით ხდებოდა „უმაღლესი ცოდნის გავრცელება.“ თუმცა, მკვლევრის მართებული ხაზგასმით, „ეს იმას არ ნიშნავდა, რომ უმაღლესი ცოდნა მხოლოდ სასულიერო ხასიათს ატარებდა, ანდა მხოლოდ საღვთისმეტყველო მოტივებით ამოიწურებოდა“ (თავზიშვილი, 1974: 10).

სამწუხაროდ, ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისტორიის შესწავლის დროს გ. თავზიშვილის მეცნიერული კვლევის არეალში ხსენებული პერიოდის საქართველოში აღნიშნული მიმართულებით არსებული ვითარების შესწავლა ვერ მოხვდა და მკვლევრის ყურადღების მიღმა დარჩა იმხანად არსებული საგანმანათლებლო სისტემა. ასე რომ, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი XI-XII საუკუნეებამდელი ქართული განათლების შესახებ.

რაც შეეხება XI-XII საუკუნეების ქართულ საგანმანათლებლო სისტემას, მათ შესახებ მსჯელობას მკვლევარი ათონისა და პეტრიწონის აკადემიების შესახებ საუბრით იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი აკადემიური და საგანმანათლებლო დონის ამ სასწავლებლების ისტორია დღეს უკვე საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (ამასთან

დაკავშირებით იხ: ლევან მენაბდის, კორნელი კეკელიძის, ალექსანდრე ბარამიძის... ნაშრომები). გ. თავზიშვილის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ნაშრომის გამოქვეყნების დროს მათი ისტორიის ბევრი მხარე ჯერ კიდევ არ იყო სათანადო მეცნიერული სიღრმით გაშუქებული და მკვლევარმა ამ მიმართულებით ერთ-ერთმა პირველმა თქვა მეტად ფასეული სიტყვა.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აქვე ისიც აღინიშნოს, რომ სათანადო წერილობითი დოკუმენტების ნაკლებად არსებობის გამო ათონისა და პეტრიწონის საგანმანათლებლო კერების წმინდა პედაგოგიური მხარე არა თუ გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში არ არის სასურველ დონეზე წარმოდგენილი, არამედ შემდგომ პერიოდში შექმნილ სხვა ნაშრომებშიც. ასე რომ, იმასთან დაკავშირებით, ხსენებულ აკადემიებში სწავლებისა და სწავლის პროცესი რა კომპონენტებს მოიცავდა და კონკრეტულად როგორ მიმდინარეობდა, გ. თავზიშვილის მიერ მოწოდებული ცნობები აშკარად გვიჩენს უკმარობის გრძნობას.

ამისდა მიუხედავად, ხსენებული სასწავლო დაწესებულებების შესახებ მკვლევრის მიერ გამოთქმული ბევრი მოსაზრება დღესაც ფასეულია და გაზიარებული ქართული პედაგოგიკის ისტორიის მკვლევართა მიერ. მაგალითად, გ. თავზიშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მეათე საუკუნეში (982-985 წწ.) დაარსებული ათონის (საბერძნეთი) ქართული აკადემიის, ისევე როგორც შემდგომი ხანის (XI-XII) ქართული საგანმანათლებლო სისტემის, შექმნის საფუძვლები „საქართველოშივე შეიქმნა... ტაო-კლარჯეთის დიდი განმანათლებლის გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობით უკვე სავსებით იყო მომზადებული ნიადაგი მაღალ კულტურულ დაწესებულებათა წარმოსაშობად. ამ ნიადაგს წარმოადგენდა საისტორიო და ჰაგიოგრაფიული მწერლობის განვითარება, სალიტერატურო ენის გამომუშავება, მთარგმნელთა და გადამწერთა სპეციალური კადრების შექმნა, ფილოსოფიური ცოდნის გავრცელება და საქართველოს ისტორიის შესწავლისადმი ინტერესის გაძლიერება. ყოველივე ეს ტაო-კლარჯეთის ეროვნული სალიტერატურო სკოლის სახელით არის ცნობილი... ათონის ივერთა მონასტერი და მასთან არსებული

სამეცნიერო აკადემია ტაო-კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის ნიადაგზე აღმოცენდა და მის უმაღლეს საფეხურს წარმოადგენდა“ (ხაზგასმა გ. თავზიშვილისაა) (თავზიშვილი, 1974: 15).

იმისათვის, რომ მის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას მეტი არგუმენტაცია და დამაჯერებლობა შესძინოს, გ. თავზიშვილი იქვე აკად. კორნელი კეკელიძის მიერ მასზე ადრე გამოთქმულ შემდეგ შეხედულებასაც იმოწმებს: „ტაო-კლარჯეთის მონასტრებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის ისტორიაში... აქ ჩამოყალიბდა საგანგებო შკოლა, ასე ვთქვათ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული... ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა ამ მონასტრებში, რომ ტაო-კლარჯეთის საზღვრებში ის ვეღარ დაეტია. ამიტომ მან გადალახა ეს საზღვრები, გამოვიდა თავისი კალაპოტიდან და ფართო ნაკადით გადავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში და მერე ათონის ნახევარკუნძულზე, სადაც მან შექმნა ახალი ცენტრი ჩვენი მწერლობისა ივერიის მონასტრის სახით. ათონის სამონასტრო და სალიტერატურო წრე თავდაპირველად წარმოადგენდა ერთ შტოს ვეებერთელა ტაო-კლარჯეთის საეკლესიო სახისას; ივერიის მონასტერი პირველ ხანებში იკვებებოდა ტაო-კლარჯეთიდან გადმოტანილი ტრადიციებით“ (კეკელიძე, 1941: 100-101).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ათონის აკადემიის საგანმანათლებლო სისტემისა და მისი მაღალი აკადემიური დონის შეფასების დროს გ. თავზიშვილი იმ გარემოებასაც აღნიშნავს ხაზგასმით, რომ ეს სასწავლო დაწესებულება „ვიწრო ეროვნული ფარგლებით არ შემოსაზღვრულა. რამდენადაც ქართული კულტურის განვითარება უეჭველად მოითხოვდა მჭიდრო კავშირს უცხოეთის კულტურასა და მეცნიერებასთან, იმდენად ათონის სკოლა სცილდებოდა ეროვნულ ფარგლებს და თავის მოღვაწეობას საერთაშორისო მიმართულებით შლიდა“ (თავზიშვილი, 1974: 18).

გ. თავზიშვილი არც ამჯერად არღვევს ტრადიციას და მის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას მეტ დამაჯერებლობას იმითაც სძენს, რომ ყოველივე ზემოთქმულის დასტურად იქვე ივანე ჯავახიშვილის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოხატულ ანალოგიურ თვალსაზრისსაც იმოწმებს: ათონის ივერთა მონასტერი

„შეიქმნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთებდა“ (ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1965 წ. გვ. 474).

მონოგრაფიის აღნიშნულ თავში მკვლევარს ასევე აქვს გაანალიზებული და მაღალ მეცნიერულ დონეზე შესწავლილი ის როლი, რომელიც ბულგარეთის სოფელ პეტრიწონში გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ 1083 წელს აშენებულმა პეტრიწონის მონასტერთან არსებულმა აკადემიამ შეასრულა ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში. გარდა ამ აკადემიის დამსახურების ზოგადი შეფასებისა, მკვლევარი იქ მოღვაწე დიდ ქართველ სწავლულთა, მათ შორის პირველ ყოვლისა იოანე პეტრიწის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღვაწლსაც წარმოაჩენს.

მის მიერ ჩატარებულ მეცნიერულ კვლევას გ. თავზიშვილი მეტ აკადემიზმს იმითაც სძინს, რომ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის დროს ხშირად იმოწმებს წინამორბედ მეცნიერთა მიერ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მასზე ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს. მაგალითად, პეტრიწონის აკადემიის როლის შეფასების დროს იგი ფართოდ იყენებს ისეთ მკვლევართა შეხედულებებს, როგორებიც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე და სხვები.

ქართული უმაღლესი განათლების ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის მომდევნო ნაწილში გიორგი თავზიშვილს საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული საკუთრივ ძველ საქართველოში არსებული აკადემიებთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენი აზრით, ნაშრომის ეს ნაწილი სრულყოფილად ავლენს ავტორის, როგორც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიკოსის, შესაძლებლობებს.

გ. თავზიშვილის ხსენებული ნაშრომის ამ ნაწილის შეფასების დროს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ გ. თავზიშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია და ნათლად დაგვანახა ის სასწავლო და სააღმზრდელო სისტემა, რაც იმდროინდელ ქართულ აკადემიებში იყო დამკვიდრებული.

ხსენებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ საუბარს მკვლევარი გელათის აკადემიის შესახებ მსჯელობით იწყებს. სამწუხაროდ, როგორც ზემოთაც ითქვა, მისი კვლევის არეალში ვერ მოხვდა ამ აკადემიაზე დიდი ხნით ადრე III-VI საუკუნეებში არსებული ფაზისის აკადემია (კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა). ჩვენი აზრით, ეს გარემოება არსებითად განაპირობა უმაღლესი დონის ამ სასწავლო დაწესებულებასთან დაკავშირებით დოკუმენტური წყაროების დიდმა ნაკლებობამ. განსხვავებით დღევანდელი მდგომარეობისაგან, როცა ქართველისტორიკოსთა დიდი ნაწილი ამ აკადემიის არსებობას უეჭველ ფაქტად მიიჩნევს, გ. თავზიშვილის დროს ეს საკითხი ჯერ კიდევ არ იყო ქცეული აქტუალური კვლევის საგნად.

ჩვენი აზრით, აღნიშნული ნაშრომის ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტიც, რომ გ. თავზიშვილს განსაკუთრებული ყურადღება არ გაუმახვილებია იმ დიდ საგანმანათლებლო როლზე, რომელსაც ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირები ასრულებდნენ როგორც სწავლების, ისე მთარგმნელობითი მიმართულებითა და თეოლოგიური საკითხების კვლევის საქმეში. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით V-XI საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებში.

მართალია, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში ქართველ სასულიერო მწერალთა ეს ღვაწლი ზოგადად შეფასებული კი არის, მაგრამ სასურველი იყო მკვლევარს მასზე სპეციალურადაც გაემახვილებინა ყურადღება.

საკუთრივ საქართველოში არსებული უმაღლესი დონის სასწავლო დაწესებულებების შესახებ მსჯელობას გ. თავზიშვილი გელათის აკადემიის ისტორიის მოთხოვნით იწყებს. მდიდარ დოკუმენტურ წყაროებსა და იმ დროისათვის არსებულ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით იგი საფუძვლიანად აანალიზებს ამ სასწავლო და სამეცნიერო სკოლის ისტორიას და სათანადო შეფასებას აძლევს მის უმნიშვნელოვანეს როლს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით. მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის ამ ნაშრომის დაწერის შემდგომ პერიოდში

გელათის აკადემიის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხები გაცილებით ღრმად და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი და გამოკვლეული (ამასთან დაკავშირებით იხ: ლ. მენაბდის, გ. მჭედლიძის, დ. მელიქიშვილის, ბ. ლომინაძის., რ. მეტრეველი... ნაშრომები), მაგრამ იმ დროისათვის, როცა გ. თავზიშვილის ხსენებული მონოგრაფია გამოქვეყნდა, გელათის აკადემიის ისტორია სათანადო შესწავლილი არ ყოფილა და თავისი ამ მონოგრაფიით მკვლევარს იმხანად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული.

იგივე უნდა ითქვას მისი ნაშრომის იმ მონაკვეთებზეც, რომლებიც იყალთოს, გრემისა და თბილისის აკადემიებისადმია მიძღვნილი.

როგორც ითქვა, გ. თავზიშვილის შემდგომ პერიოდში ამ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ისტორია უფრო ღრმად და საფუძვლიანად იქნა შესწავლილი, რამაც მკვლევრის მიერ შექმნილი მონოგრაფიის ისტორიული ნაწილისადმი ინტერესი გარკვეულწილად გაანელა, მაგრამ მისი ის მონაკვეთი, სადაც აღნიშნულ სასწავლებლებში არსებული სასწავლო პროცესია გაანალიზებული, დღესაც უაღრესად მნიშვნელოვანია. კერძოდ, გ. თავზიშვილის ამ მონოგრაფიის მიხედვით ნათელი წარმოდგენა გვექმნება ხსენებულ აკადემიებში არსებულ სასწავლო სისტემაზე, იქ მოღვაწე სწავლულთა მიერ გამოყენებულ პედაგოგიურ მეთოდებზე, იმ ურთიერთობებზე, რითაც ეს სასწავლებლები უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან იყვნენ დაკავშირებული.

გ. თავზიშვილის შეფასებით, გელათის აკადემიას უდიდესი როლი აქვს შესრულებული ქართული განათლებისა და მეცნიერების ისტორიაში: „გელათის აკადემიამ შექმნა ჩვენში პირველი ნამდვილი ტრადიცია სამეცნიერო და საკვლევა-ძიებო მუშაობისა. გელათის აკადემიაში პეტრიწონელის გადმოსვლით გადმოვიდა აგრეთვე ის დიდი ამოცანები, რომელსაც ემსახურებოდა პეტრიწონის აკადემია: უცხოეთის პროგრესული აზროვნების ორგანული გადმოყვანა საქართველოს სინამდვილეზე და ამ სინამდვილის განვითარებით საკუთარი ეროვნული სააზროვნო კულტურის შექმნა“ (თავზიშვილი, 1974: 43). გ. თავზიშვილი ერთ-ერთი პირველი იყო,

ვინც მტკიცებითი სახით გამოთქვა მოსაზრება გელათის საგანმამათლებლო კერის კავშირ-ურთიერთობის შესახებ ევროპულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან .

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის ამ ნაწილის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მკვლევარი საკმაოდ ფრთხილად და კრიტიკულად უდგება ხსენებულ აკადემიებთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს. კერძოდ, გრემისა და იყალთოს აკადემიების შესახებ მსჯელობის დროს ის არც იმ გარემოებას ტოვებს უყურადღებოდ, რომ ამ სასწავლებელთა არსებობასთან დაკავშირებული დოკუმენტური წყაროების ნაკლებობის გამო ბევრი რამის გარკვევა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და მათი ისტორიის არაერთი საკითხი მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლებოდა ყოფილიყო გაშუქებული.

გ. თავზიშვილი ფაქტობრივად პირველი მკვლევარი იყო, ვინც კონკრეტულად დაახასიათა XI-XIII საუკუნეების საქართველოში არსებული სასწავლებლების პედაგოგიკური სტრუქტურა. კერძოდ, მისი განმარტებით, იმდროინდელ ქართულ სასწავლო დაწესებულებებში შემდეგი საპედაგოგო თანამდებობები არსებობდა: დაწყებითი სკოლის მოწაფეთა საერო აღმზრდელს ოსტატი, ანდა მასწავლებელი ეწოდებოდა, სამონასტრო-საეკლესიო დაწყებითი სკოლის მასწავლებელს კი მოძღვარი. იქიდან გამომდინარე, რომ „აღზრდა-სწავლებას უმეტესად ბერ-მონაზვნები და მღვდელ-დიაკვნები ასრულებდნენ, ტერმინი „მოძღვარი“ უფრო მეტად იყო გავრცელებული და უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობდა. ამის გამო „მოძღვარი“ მცირეოდენი შემთხვევის გარდა, ეწოდებოდა ყველა მასწავლებელს როგორც საერო, ისე საეკლესიო სკოლაში“ (თავზიშვილი, 1974: 52).

რაც შეეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელსა და მასწავლებლებს (დღევანდელი ტერმინით - პროფესორებს) მათ, როგორც წესი, მოძღვართ-მოძღვრის სახელით მოიხსენიებდნენ. ამ მოსაზრების დასტურად მკვლევარს მრავალი არგუმენტი აქვს დამოწმებული „ხელმწიფის კარის გარიგებიდან,“ გიორგი ხუცეს-მონაზონის, სულხან-საბა ორბელიანისა და ძველი დროის საქართველოში მოღვაწე სხვა ქართველ მოღვაწეთა ნაშრომებიდან.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ისიც, რომ მკვლევარმა, ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა, კონკრეტულად განსაზღვრა და დაადგინა ხსენებული აკადემიების სტრუქტურა და სასწავლო პროგრამები. ამ მიმართულებით მის მიერ ჩატარებული კვლევა გარკვეულწილად საფუძველი გახდა შემდგომი დროის მკვლევართა იმ ნაშრომებისთვის, რომლებშიც აღნიშნულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული.

მონოგრაფიაში იმ გარემოებასაც მართებულად ესმება ხაზი, რომ ქართული აკადემიების მაღალმეცნიერულ და საგანმანათლებლო დონეს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავდა არსებითად, იქ მსოფლიო მასშტაბების მქონე მეცნიერები რომ მოღვაწეობდნენ (მაგალითად, ისეთები, როგორებიც იყვნენ: იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, გიორგი და ექვთიმე ათონელები, არსენ იყალთოელი და სხვ.), არამედ იმდროინდელი მსოფლიოს ცნობილ აკადემიურ დაწესებულებებთან პროფესიული სიახლოვეც. კერძოდ, XI-XII საუკუნეების საქართველოში არსებულ აკადემიებში მოქმედი სასწავლო გეგმები და პროგრამები შედგენილი იყო კონსტანტინოპოლის ბიზანტიურ აკადემიასა და ბაღდადის არაბულ აკადემიაში არსებული სასწავლო სისტემის გათვალისწინებით (თავზიშვილი, 1974: 61).

მიუხედავად იმისა, რომ იმხანად არსებული ქართული აკადემიები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა, მათი სასწავლო გეგმები მხოლოდ თეოლოგიური საგნების სწავლებით არ შემოიფაგლებოდა და მეტად მრავალფეროვანი იყო. სახელდობრ, გ. თავზიშვილის განმარტებით, იმ საგნების ნუსხა, რომლებიც იმდროინდელ ქართულ აკადემიებში ისწავლებოდა, ასე გამოიყურება: ასტრონომია, ფილოსოფია, ლოგიკა, დიალექტიკა, მედიცინა, ქიმია, მცენარეთმცოდნეობა, ისტორია, ლიტერატურა, ენათმეცნიერება, მათემატიკა, ფიზიკა, დიდაქტიკა, ხელოვნება და ა. შ.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მკვლევარი საფუძვლიანად განიხილავს და სათანადო შეფასებას აძლევს XI-XII საუკუნეების საქართველოში არსებულ პედაგოგიური განათლების დონეს. მისი შეფასებით, „პედაგოგიური განათლების თეორიასა და პრაქტიკას ძველ ქართულ

აკადემიებში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. აქ ჩვენ ვხვდებით პედაგოგიკის როგორც თეორიულ საკითხებს, ისე სწავლების პროცესის დიდაქტიკურ ღონისძიებებს. პედაგოგიური განათლების გენეზისი ძველ ქართულ აკადემიათა მოღვაწეობაში იწყება ათონიდან და მოდის გელათამდე, მაგრამ ისე, რომ გელათი ამ განვითარების უფრო მაღალი საფეხურია“ (თავზიშვილი, 1974: 73).

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრის მართებული შეფასებით, ხსენებული პერიოდის ქართულ აკადემიებში პედაგოგიური განათლების დონე მართლაც მაღალი იყო, იგი აშკარად ცდება, როცა ქართული პედაგოგიური განათლების გენეზისს საფუძვლად ათონის დიდ ქართულ საგანმანათლებლო ცენტრს მიიჩნევს. ამ შემთხვევაში მისი ყურადღების მიღმა სრულიად გაუმართლებლად დარჩა ის დიდი ტრადიცია და გამოცდილება, რომელიც ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას გაცილებით უფრო ადრე დაუმკვიდრეს ფაზისის აკადემიასა და ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სწავლულებმა და ბერ-მონაზვნებმა.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული გარეშე მტრების გამუდმებული თავდასხმების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა მდგომარეობამ ქართული საგანმანათლებლო სისტემაც მოშალა. ამ ვითარებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ არა მარტო ზემოთ ნახსენებმა აკადემიებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება, არამედ იმდროინდელ საქართველოში სხვა ტიპის სასწავლებლების არსებობის შესახებაც მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება.

ამ სფეროს აღორძინებას მეტ-ნაკლებად მყარი საფუძველი XVIII საუკუნიდან ეყრება. ამ მიმართულებით საგულისხმო დამსახურება მიუძღვის ქართლის მეფეს - ვახტანგ VI-ს. სამწუხაროდ, სათანადო წერილობითი მასალების სიმცირის გამო, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეს პერიოდი ფრაგმენტულად, მხოლოდ გაკვრითაა მოხსენიებული და ძველ საქართველოში არსებული სასწავლებლების შესახებ მსჯელობას მკვლევარი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებული ორი სასწავლებლის - თბილისისა და თელავის სემინარიების

შესახებ მსჯელობით ამთავრებს. როგორც ცნობილია, თბილისის სემინარია 1755 წელს შეიქმნა, თელავისა კი 1782 წელს. გ. თავზიშვილის ხაზგასმით, საკმაოდ მაღალი საგანმანათლებლო დონის ეს სასწავლებლები ხსენებულ ქალაქებში მანამდე არსებულ უფრო დაბალი დონის სასწავლო დაწესებულებათა ბაზაზე იყო შექმნილი. კერძოდ, „თელავის სემინარია იყო მემკვიდრე თელავის „სამეფო სასწავლებლისა,“ რომელიც ცნობილია ფილოსოფიური სკოლის სახელით და არსებობდა „მეფის პალატასა შინა“ 1758 წლის 27 ოქტომბრიდან“ (თავზიშვილი, 1974: 123).

გ. თავზიშვილმა სათანადო ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით საფუძვლიანად შეისწავლა ხსენებულ სასწავლებელთა სტრუქტურა, სასწავლო გეგმები და პროგრამები, მასწავლებელთა შემადგენლობა და მოსწავლეთა კონტიგენტი, დამაჯერებლად დაასაბუთა ის გარემოება, რომ ამ სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესი ფაქტობრივად მთლიანად შეესაბამებოდა იმდროინდელი ევროპული განათლების, კერძოდ კი მოსკოვის სლავიანურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის, სწავლების სტრუქტურას.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისისა და თელავის სასწავლებლებს სემინარიები ეწოდებოდა, გ. თავზიშვილმა დამაჯერებლად დაასაბუთა ის ფაქტი, რომ მათი ამგვარი სახელწოდება მხოლოდ პირობითი იყო და „თავიანთი მიზნებით, სტრუქტურით, სასწავლო საგნებითა და სწავლების მეთოდებით და სახელმძღვანელოებით“ ისინი უმაღლესი ტიპის სასწავლებლებს წარმოადგენდნენ და სასულიერო სასწავლებლებად ვერ ჩაითვლებოდნენ (თავზიშვილი, 1974: 127).

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომელიც გ. თავზიშვილს ამ დასკვნის გამოსატანად მოაქვს, იმაში მდგომარეობს, რომ „თელავის სემინარია უფრო მეტად მთავრობის ხარჯით ინახებოდა და მეფის სასახლესთან არსებობდა და არა სასულიერო დაწესებულებასთან.“ ასევე, მისი რექტორები მეფის მიერ ინიშნებოდნენ და სასწავლებლის მთელი საქმიანობა ერეკლე მეორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. „მაგრამ რამდენადაც მის სათავეში სასულიერი პირები იდგნენ და სასულიერო საგნებს იქ უმნიშვნელო ადგილი არ ეჭირათ, ამდენად თელავის

სემინარია, ისე როგორც თბილისის სემინარიაც, საერო-სასულიერო ხასიათის სასწავლებლებად უნდა ჩაითვალოს“ (თავზიშვილი, 1974: 129).

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გ. თავზიშვილი ამ სასწავლებლების სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების ჩამონათვალსაც გვთავაზობს კონკრეტულად. კერძოდ, ხსენებული სემინარიების სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანთა ჩამონათვალი, მკვლევრის ინფორმაციით, ასეთი იყო: საღვთო სჯული, დედაენა, არითმეტიკა, მათემატიკის საწყისები, გრამატიკა, რიტორიკა, პიიტიკა, ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, მეტაფიზიკა, ღვთისმეტყველება. ამას ემატებოდა ვახტანგ მეექვსის კანონებით დადგენილი და, მაშასადამე, ყველა სკოლისათვის სავალდებულო კვადრიუმის საგნებიდან: მუსიკა (პოეზია, ხელოვნება), გეოგრაფია (ნაცვლად გეომეტრიისა) და ასტრონომია. ისწავლებოდა აგრეთვე ისტორიული დისციპლინები: საქართველოს ისტორია, საბერძნეთისა და მაკედონიის ისტორია, ძველი აღმოსავლეთისა და ეგვიპტის ისტორია (თავზიშვილი, 1974: 125).

როგორც გ. თავზიშვილის ნაშრომიდან ირკვევა, თბილისისა და თელავის სემინარიებში სწავლების მაღალ დონეს არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საგნების გარკვეული ნაწილი ამ სასწავლებლებში ევროპელი ავტორების მიერ დაწერილი და ქართულად გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა. მაგალითად: „ფილოსოფიური დისციპლინები (ლოგიკა, მეტაფიზიკა, ეთიკა) ისწავლებოდა ხრისტიან ბაჟმეისტერის (1709-1785) წიგნებით, რომლებიც ქართულად თარგმნა ანტონ კათალიკოსმა, ფიზიკა - ხრ. ვოლფის (1679-1754) წიგნით, რომელიც თარგმნა იმავე ანტონ კათალიკოსმა რუსულად არსებული მიხ. ლომონოსოვის თარგმანიდან“ (თავზიშვილი, 1974: 126). სწავლების პროცესში ასევე ფართოდ იყო გამოყენებული ქართული სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორებიც იყვნენ იმ პერიოდის ცნობილი მოღვაწეები: ანტონ კათოლიკოსი, გაიოზ რექტორი, იოანე ბაგრატიონი და სხვები.

გ. თავზიშვილის ნაშრომის, „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში,“ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მან თელავისა და თბილისის სემინარიების მოსწავლეთა კონტიგენტის სოციალურ შემადგენლობასთან დაკავშირებითაც მოიძია დოკუმენტები და გაარკვია, რომ ხსენებულ სასწავლებლებში განათლებას ყველა სოციალური ფენისა და წოდების ახალგაზრდებს ღებულობდნენ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, რაც უსათუოდ უნდა მივიჩნიოთ იმ დროისათვის უაღრესად პროგრესული მნიშვნელობის მოვლენად.

სამწუხაროდ, თბილისისა და თელავის სემინარიების არსებობას რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის შედეგად დაესვა წერტილი. მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მონოგრაფია საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში დაიწერა და დაიბეჭდა, მკვლევარი რუსული ოკუპაციის შედეგად მომხდარი ამ სამწუხარო მოვლენის შეფასების დროს აშკარად გამოხატავს თავის ეროვნულ გულისტკივილს. ამ თვალსაზრისით აქ მის მიერ მოწოდებულ მეტად მნიშვნელოვან ამ ინფორმაციასაც გვინდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება: იმის გამო, რომ თბილისისა და თელავის სემინარიები უკვე ვეღარ აკმაყოფილებდნენ „ხალხის მოთხოვნილებებს, აუცილებელი შეიქმნა თბილისში „სრული“ ევროპული ტიპის უმაღლესი სასწავლებლის დაარსება. უმაღლეს ხელისუფლებას აღარ შეეძლო გვერდი აევლო ამ აუცილებლობისათვის და 1799 წელს საქართველოს გამოჩენილმა მწერალმა და მეცნიერმა იოანე ბაგრატიონმა (ბატონიშვილმა) წარუდგინა თავის მამას, მეფე გიორგი მეთორმეტეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო სამი უმაღლესი სკოლის დაარსება აღმოსავლეთ საქართველოში: თბილისსა, გორსა და თელავში... იოანე ბაგრატიონის რეფორმათა ეს პროექტი იმავე წელს მოიწონა გიორგი მეთორმეტემ, მაგრამ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) კოლონიური რეჟიმის დამყარების გამო იგი აღარ განხორციელებულა“ (თავზიშვილი, 1974: 135).

ბ) ქართული სასწავლო დაწესებულებანი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს

მიმართულებას წარმოადგენდა საქართველოში არსებული სასწავლებლების ისტორიის შესწავლა. მდიდარ წერილობით წყაროებსა და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით მან საფუძვლიანად შეისწავლა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია, იქ არსებული სასწავლო სისტემა, დაადგინა აღნიშნულ სასწავლებლებში მოღვაწე პედაგოგთა ვინაობა და მათი როლი ქართული განათლების ისტორიაში, მაღალპროფესიულად გააანალიზა ამ სასწავლებლების სასწავლო გეგმები და პროგრამები, დაადგინა, რა სახელმძღვანელოებით მიმდინარეობდა მათში სწავლება, ამ თავში განვიხილავთ გ. თავზიშვილის მოსაზრებებს XIX საუკუნის საქართველოში არსებული ქართული სასწავლო დაწესებულებების შესახებ.

ძველ საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ გ. თავზიშვილმა საფუძვლიანი გამოკვლევის საგნად უკვე XIX საუკუნის საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებული ვითარების ფუნდამენტური გამოკვლევა დაისახა და პირველმა შეისწავლა ხსენებული პერიოდის ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო მდგომარეობა.

ამ მიმართულებით გაწეული მისი ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობის შემაჯამებელ ნაშრომს წარმოადგენს მისი კაპიტალური მონოგრაფია „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში“ (ტომი II), რომელიც პირველად 1948 წელს გამოვიდა. მასში საფუძვლიანად, მდიდარ დოკუმენტურ მასალებსა და პირველწყაროებზე დაყრდნობითა გაანალიზებული და სათანადოდ შეფასებული სასწავლო-საგანმანათლებლო მიმართულებით არსებული მდგომარეობა საქართველოში 1801 წლიდან დაწყებული 1870 წლამდე.

აღნიშნული მონოგრაფიის შეფასების დროს სავსებით მართებულად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ „გ. თაზიშვილის ეს ნაშრომი ემყარება პირველ წყაროებს (საარქივო მასალებს, სასკოლო დებულებებსა და წესდებებს, სტატისტიკურ ცნობებს, მოგონებებს, გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ისტორიულ წყაროებს, მხატვრულ-ლიტერატურულ თხზულებებს და სხვ.) და მათი ანალიზის საფუძველზე

დეტალურად არის განხილული ამ პერიოდის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება, სასკოლო ქსელის გაშლა-განლაგება, მასწავლებელთა პედაგოგიური შრომა, სწავლა-აღზრდის წესები, სწავლების მეთოდები და ფორმები, სასკოლო სახელმძღვანელოები და ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის, ამ პერიოდის პედაგოგიური იდეები, ზოგადი პროფესიული განათლების საკითხები და პედაგოგიური მდგომარეობა.“ ასე რომ, „გ. თავზიშვილის ეს ნაშრომი ძვირფასი შენაძენია სახალხო განათლებისა და ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის“ (ქაჯაია, 1968: 43).

ხსენებული პერიოდის საქართველოში არსებული სასწავლებლების ისტორიისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორიის გ. თავზიშვილისეულ კვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძენდა, რომ აღნიშნული მონოგრაფია მკვლევარს სადოქტორო დისერტაციად ჰქონდა გამიზნული, რაც დიდი წარმატებით განახორციელა კიდევ.

XIX საუკუნის ქართული საგანმანათლებლო სისტემის განხილვას გ. თავზიშვილი არსებითად შეცვლილი იმ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის საფუძვლიანი განხილვით იწყებს, რომელიც საქართველოში შეიქმნა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში (გასული საუკუნის 40-50-იანი წლები), როცა ხსენებული ნაშრომი იწერებოდა, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ ჩვენს ქვეყანაში აზრის თავისუფლად გამოთქმა მაქსიმალურად იყო შეზღუდული და მკაცრი იდეოლოგიური მოთხოვნებით შებოჭილი, გ. თავზიშვილმა მაინც შეძლო შედარებით ობიექტურად წარმოესახა XIX საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების მხრივ არსებული მდგომარეობა და მკაცრად ემხილებინა ის უარყოფითი ზეგავლენა, რასაც რუსული მმართველობითი პოლიტიკა ახდენდა მის განვითარებაზე.

აღნიშნული საკითხის საფუძვლიან კვლევას გ. თავზიშვილმა წინ წარუმდღვარა ნაშრომის საკმაოდ ვრცელი ნაწილი, რომელშიც კრიტიკულად განიხილა და დღესაც დიდწილად მისაღები კრიტიკულ-მამხილებლური დამოკიდებულება გამოავლინა

რუსული კოლონიალიზმისადმი. მისი არაერთგზისი ხაზგასმით, რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების თითქოსდა „ნაციონალური სოლიდარობის ჰუმანურ აქტში“ რეალურად „ იმალებოდა საქართველოს ანექსიისა და რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად მისი გადაქცევის სინამდვილე.“ ასე რომ, მკვლევრის შეფასებით, „რუსეთის ქვეშევრდომობაში მოქცევით საქართველო ჩაყენებულ იქნა კოლონიური ქვეყნის პირობებში“ (თავზიშვილი, 1974: 138).

მართალია, საბჭოთა პერიოდში მოღვაწე თითქმის ყველა ავტორის მსგავსად, გ. თავზიშვილიც ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა უკვე დიდი ხანია იყო აღიარებული უდავო ჭეშმარიტებად“ (თავზიშვილი, 1974: 138), მაგრამ იგი მრავალი არგუმენტის მოშველიებით იმ მანკიერებებზეც საუბრობს, რომლებიც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას მოჰყვა რეალურ შედეგად.

რუსული კოლონიალიზმისადმი გ. თავზიშვილის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება რეალური ფაქტი რომაა და მისი ეროვნული თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია, ამის დასტურად მისი ამ მოსაზრების დამოწმებაც იქნება საკმარისი: „XIX საუკუნის ორმოციან წლებამდე, ამიერკავკასიაში თავისი ძალაუფლების საბოლოოდ განმტკიცებამდე, მეფის მთავრობა ფორმალურად არ აღიარებდა საქართველოს სახელის გაუქმებას და ამის გამო ვერ ბედავდა გადაეხაზა იგი და საქართველოსთვის ერთბაშად ეწოდებინა რუსეთის გუბერნია. მაგრამ თანდათანობით ისეთი უმნიშვნელო რეფორმის გატარებამ, როგორიც იყო „საქართველოს მმართველის“ თანამდებობის გაუქმება (1811 წ.) და მისი შეცვლა სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობით, საქართველოს დაყოფა მაზრებად, ქართველი მოურავების ინსტიტუტის გაუქმება, შინაგანი წესრიგის დამცველი პოლიციის შემოღება, რუსი ბოქაულების ინსტიტუტის შექმნა და სხვა მთელმა რიგმა ადმინისტრაციულმა ღონისძიებამ უკვე ფორმალურადაც მოამზადა ნიადაგი „საქართველოს ყოფილი სამეფოს“ გადასაქცევად რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად... 1837

წელს გამოყოფილი სპეციალური კომისიის მუშაობის შედეგად, საქართველოს ეწოდა „საქართველო–იმერეთის გუბერნია“ (თავზიშვილი, 1974: 148).

საბჭოთა იდეოლოგიის მძვინვარების პერიოდში ამ და მსგავსი მოსაზრებების ასე ხმამაღლა გამოთქმა დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებას მოითხოვდა. გ. თავზიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ამგვარი შეფასებანი მის ნაწერებში საძებარი არ არის.

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს, მკვლევარი ყოველგვარი შენიღბვის გარეშე აკრიტიკებდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რაც საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში უსათუოდ უნდა ჩაითვალოს დიდ მოქალაქეობრივ გაბედულებად. თავისი ამგვარი ანტირუსული პოზიციის შემსუბუქება გ. თავზიშვილმა იმით ცადა, რომ მანაც გაიმეორა ი. სტალინის მიერ იმხანად ფართოდ გავრცელებული დებულება ე. წ. ორი რუსეთის არსებობისა და ნაკლები ბოროტების შესახებ.

კერძოდ, აღნიშნულ დებულებაზე დაყრდნობით, გ. თავზიშვილმაც გაიმეორა იმხანად საკმაოდ ფართოდ გავრცელებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება „უმცირეს ბოროტებას“ წარმოადგენდა და „რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა მისი სასიცოცხლო ინტერესებით“ იყო განპირობებული; რომ „საქართველოსთვის რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა უკვე დიდი ხანია უდავო ჭეშმარიტებად იყო აღიარებული“ და რომ „რევოლუციამდელი რუსეთის სახით ჩვენ საქმე გვქონდა არსებითად ორ რუსეთთან; ერთი იყო რუსეთი ოფიციალური: რუსეთი მეფისა და რეაქციონერებისა, რუსეთი „ხალხთა საპყრობილე“, მეორე კი - რუსეთი „ნათელი გონებისა,“ რუსეთი მოწინავე კულტურისა, რუსეთი რევოლუციურ-დემოკრატიული“ (თავზიშვილი, 1974: 138).

გ. თავზიშვილი მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნათელყოფს იმ არსებით ცვლილებებს, რაც ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ განიცადა საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამყარების შედეგად. კერძოდ, მისი მართებული ხაზგასმით, „რუსეთის მეფის ხელისუფლებამ საქართველოში თავისი

დაფუძნების პირველ წელსვე გააუქმა თელავის სემინარია და თბილისის ცოტად თუ ბევრად ცნობილი ქართული სკოლები, უარყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის მიერ 1799 წელს მოწონებული პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 3 უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას (თბილისსა, გორსა და თელავში), დევნიდა და ფანტავდა ქართველ მეცნიერებს, ლიტერატორებს, კულტურა-განათლების მუშაკებს, აფერხებდა ყოველ ადგილობრივ თაოსნობას ქართველთა შორის წერა-კითხვისა და განათლების გავრცელების საქმეში“ (თავზიშვილი, 1974: 145).

აღნიშნული საკითხების შესწავლის დროს გ. თავზიშვილი კრიტიკული მეთოდის მომარჯვებით იყენებდა მათთან დაკავშირებით არსებულ ქართულ და რუსულ წერილობით დოკუმენტებსა და ისტორიულ წყაროებს. შ. ნუცუბიძის მართებული ხაზგასმით, ამ მასალების გამოყენების დროს იგი „იჩენდა საკმაო სიფხიზლესა და წინდახედულებას“ მათი „ნდობისა და გამოყენების საზღვრის გარკვევისთვის.“ ამით იგი დამაჯერებლად ნათელყოფდა იმ შეუსაბამობას, რომელიც ცალკეულ შემთხვევებში არსებობდა ხოლმე ამ დოკუმენტების ერთ ნაწილსა და რეალურად არსებულ მდგომარეობას შორის. შ. ნუცუბიძის აზრით, გ. თავზიშვილი იმდროინდელი ოფიციალური დოკუმენტების სწორედ ამგვარმა კრიტიკულმა ანალიზმა მიიყვანა იმის აღიარებამდე, „სახელმწიფო თანამდებობის პირთა მიერ შედგენილი ნარკვევები საქართველოსა და კავკასიაში სასწავლო საქმის მდგომარეობის შესახებ“ დამახინჯებული სახით წარმოგვიდგენდნენ შესასწავლი პერიოდის საქართველოში ამ მიმართულებით არსებულ რეალობას (ნუცუბიძე, 1950: 164).

მაგალითად, მათ მიერ შედგენილ „ოფიციალურ ცნობებსა და ანგარიშებში ძალიან ხშირად მოწაფეთა სტატისტიკა ქართველებად გულისხმობს მხოლოდ ქართლ-კახელ მოწაფეებს, ხოლო იმერლები, გურულები, მეგრელები და სხვ. ქართველი ტომები ცალკე ერებად არის მიჩნეული. ამით, რასაკვირველია, ოფიციალურ ცხრილებში ძალიან მცირედად გამოიყურება ქართველ მოწაფეთა რიცხვი.“ ამას რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები მხოლოდ იმისთვის აკეთებდნენ,

რომ უნდოდათ, „თავი გამოეჩინათ მეფის წინაშე, ვითომცდა უვიც და ველურ ხალხთან მძიმე პირობებში მუშაობით და ამით დაემსახურებინათ მაღალი ხარისხები და ჯილდოები“ (ნუცუბიძე, 1950: 164).

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ ოფიციალური დოკუმენტების კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე მან დამაჯერებლად ნათელყო და გამოააშკარავა მათი სიყალბე და დაადგინა რეალურად არსებული მდგომარეობა.

გ. თავზიშვილი საფუძვიანად აანალიზებს როგორც ამ სასწავლებლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ისე პიროვნულადაც წარმოაჩენს იქ მოღვაწე მასწავლებლებსა და ამ სასწავლებელთა სახელოვან კურსდამთავრებულებს.

შ. ნუცუბიძის მართებული შეფასებით, გ. თავზიშვილის განსახილველი მონოგრაფიის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ „ამ წიგნში პირველად სდგება მკითხველის წინაშე ქართველ ქალთა დიდი როლი მოსახლეობის დემოკრატიული ფენებისათვის „წიგნის სწავლების“ საქმეში, - ის როლი, რომელსაც ისტორიულად ასრულებდა ქართველი ქალი საქართველოში, სანამ ის სკოლამ და პროფესიულმა სასწავლებელმა არ შეცვალა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში“ (ნუცუბიძე, 1950: 165).

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის უდავო ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში ის სახელმძღვანელოებიცაა საფუძვლიანად განხილული და სათანადოდ შეფასებული, რომლებიც მკვლევრის მიერ შესწავლის საგნად ქცეული პერიოდის ქართულ სასწავლებლებში იყო გამოყენებული.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში მდიდარ წერილობით წყაროებზე დაყრდნობითაა ნაჩვენები სრული სპექტრი საანალიზო პერიოდის საქართველოში არსებული ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებებისა. მკვლევრის მიერ მოტანილი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე არა მარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი ასეთი სრულყოფილი სახით პირველად გახდა ცნობილი როგორც იმხანად არსებული სასწავლებლების რაოდენობა და სასწავლო პროფილი, ისე მათი სტრუქტურა, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოები, იქ მოღვაწე მასწავლებლები, ამ სასწავლებელთა ცნობილი კურსდამთავრებულების ვინაობა, ამ

სასწავლებლების პედაგოგთა ეროვნული მიზანსწრაფვა, ხელისუფლების მიერ ამ სასწავლებლებში გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკის მასშტაბები და ა. შ. ასე რომ, თავისი მონოგრაფიის მეშვეობით გ. თავზიშვილმა ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა როგორც ხსენებული პერიოდის საქართველოში არსებული სწავლა-განათლების სისტემაზე, ისე რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ამ სასწავლებლებში დამკვიდრებული კოლონიური რეჟიმის არსზეც.

ეს პოლიტიკა კი მეტად დისკრიმინაციული რომ იყო და მიზნად ისახავდა ქართველ ხალხში განათლების გავრცელების მაქსიმალურ შეზღუდვას, ამას მკვლევარი ბევრი ფაქტობრივი მონაცემის დამოწმებით ადასტურებს. როგორც მონოგრაფიაში ესმება ხაზი, მართალია, „საქართველოს რუსეთთან შეერთებისთანავე მეფის მთავრობამ გააუქმა ქართული ნაციონალური კულტურის მთელი რიგი დაწესებულებანი,“ მაგრამ ხელისუფლება იძულებული იყო გარკვეულ დათმობებზე მაინც წასულიყო და გარკვეული ნაბიჯები გადაედგა დაბალი საფეხურის სასწავლო დაწესებულებების გასახსნელად. სწორედ ამის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ადრე არსებული მაღალი დონის სასწავლებლების დახურვით შექმნილი ვაკუუმის შესავსებად რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობიდან მეორე წელს თბილისში ქართველ თავადაზნაურთა შვილებისათვის ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი გაიხსნა, რომელშიც 45 მოსწავლე იქნა მიღებული. მაგრამ იმის გამო, რომ ამ სკოლაში სწავლება მოსახლეობისათვის გაუგებარ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, იგი მაღევე დაიხურა.

გ. თავზიშვილის შეფასებით, ხსენებული სასწავლებელი „არ იყო მშობლიური ენის სკოლა, უფრო მეტიც, მას აკისრებდნენ ქართველი ხალხის რუსიფიკის საქმის სამსახურს“ (თავზიშვილი, 1974: 199).

როგორც გ. თავზიშვილი მრავალი კონკრეტული არგუმენტის საფუძველზე ასაბუთებს, საქართველოში იმპერიული ხელისუფლების მიერ ჯერ აღნიშნული, შემდგომში კი სხვა ტიპის სასწავლებლების გახსნა ქართველი ხალხის სწავლა-განათლების სურვილით კი არ იყო განპირობებული, არამედ მისი დამპყრობლური გეგმების ეფექტურად განხორციელების რეალურ მცდელობას წარმოადგენდა.

კერძოდ, ხელისუფლების მესვეურებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მათ სამსახურში ჩამდგარი ადგილობრივი მოხელეების აღზრდის გარეშე, „ადგილობრივ არისტოკრატიულ წრეში განსაზღვრული ბიუროკრატიული კულტურისა და განათლების დანერგვის გარეშე, და ბოლოს, რუსული ბეჭდვითი სიტყვის, სკოლისა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათა სათანადო გამოყენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საქართველოში შექმნა მმართველობისა და ბატონობის მტკიცე საფუძველი“ (თავზიშვილი, 1974: 197).

პირველი სასწავლო დაწესებულების დაარსებიდან ორი წლის შემდეგ, 1804 წელს, ხელისუფლებამ თბილისში მასზე შედარებით მაღალი დონის სკოლა - კეთილშობილთა სასწავლებელი შექმნა. გ. თავზიშვილი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა ამ სკოლის სტრუქტურა და საფუძვლიანად გამოიკვლია იქაური სასწავლო გეგმები და პროგრამები. მან სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომლის ბაზაზეც 1829 წელს საქართველოში პირველი გიმნაზია ჩამოყალიბდა, შემდეგი საგნები ისწავლებოდა: საღვთო სჯული, რუსული ენა, გერმანული ენა, ლათინური ენა, ქართული ენა, თათრული (აზერბაიჯანული) ენა, არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, საველე ფორტიფიკაცია, სიტუაცია, გეოდეზია, სამოქალაქო არქიტექტურა, საყოველთაო, რუსეთის და საქართველოს ისტორია, საყოველთაო და რუსეთის გეოგრაფია, ხაზვა და ხატვა (თავზიშვილი, 1974: 207).

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და მის ბაზაზე შექმნილი გიმნაზია რუსული კოლონიური პოლიტიკით შებოჭილ სასწავლო დაწესებულებას წარმოადგენდა, გ. თავზიშვილის მართებული შეფასებით, ამ სასწავლებელმა „თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე მაინც შეძლო მნიშვნელოვანი როლის შესრულება XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში“ (თავზიშვილი, 1974: 208). ამგვარი შეფასების საფუძვლად მკვლევარი სავსებით მართებულად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ამ სასწავლებელში იმ პერიოდის არაერთმა დიდმა ქართველმა მამულიშვილმა მიიღო განათლება. მათი არასრული ჩამონათვალი ასეთია: ნ.

ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, მ. თუმანიშვილი, დ. ყიფიანი, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.

როგორც ცნობილია, რუსეთის მმართველობის პერიოდში საქართველოში გახსნილი მესამე სასწავლო დაწესებულება იყო 1817 წელს დაარსებული თბილისის სასულიერო სემინარია. გ. თავზიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ამ სასწავლებლის სტრუქტურაც, სასწავლო გეგმებიც, პროგრამებიც, მოსწავლეთა რაოდენობაც, პედაგოგიური კადრების შემადგენლობაც და კონკრეტულად გაარკვია მისი ადგილსამყოფელიც. მკვლევრის შეფასებით, მიუხედავად იქ არსებული მკაცრი რეჟიმისა, „თბილისის სასულიერო სემინარია მაინც იზიდავდა მოსწავლეთა საკმაოდ დიდ კონტიგენტს. ეს გარემოება უნდა აიხსნეს იმით, რომ სემინარიაში მიღება არ იყო შეზღუდული სოციალური (წოდებრივი) წარმოშობით და, რაც მთავარია, ის უფრო სოლიდურ ცოდნას იძლეოდა, ვიდრე გიმნაზია“ (თავზიშვილი, 1974: 216).

ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორიაში თბილისის სასულიერო სასწავლებლის როლისთვის ასეთი შეფასების მიცემის დროს გ. თავზიშვილს ერთ-ერთ მთავარ არგუმენტად ის ფაქტიც მოჰყავს, რომ თავისი არსებობის ასი წლის განმავლობაში ამ სემინარიაში მრავალ ცნობილ ქართველ მამულიშვილს ჰქონდა განათლება მიღებული. მათ შორის იყვნენ: ფილოსოფოსი და პედაგოგი სოლომონ დოდაშვილი, ისტორიკოსები: პლატონ იოსელიანი, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი და დიმიტრი ბაქრაძე, დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, მწერლები: დანიელ ჭონქაძე, ლავრენტი არდაზიანი, ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი, სახელგანთქმული სასულიერო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი და სხვ.

გარდა დასახელებული სასწავლო დაწესებულებებისა, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში ასევე საფუძვლიანადაა შესწავლილი XIX საუკუნის საქართველოში არსებული ფაქტობრივად ყველა დონისა და პროფილის სასწავლებლების ისტორიაც, რითაც ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმდროინდელი განათლების მთლიან სისტემაზე. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგექმნეს მკვლევრის მიერ

შესწავლის საგნად ქცეული პერიოდის (1801-1870 წწ.) საქართველოში არსებული სასწავლო ქსელის სტრუქტურაზე, აქ ნომინალურადაც დავისახელებთ იმხანად გახსნილ და სხვადასხვა დროის განმავლობაში ფუნქციონირებად ამ სასწავლებლებს: თბილისში, გორში, თელავში სიღნაღში, ქუთაისსა და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებში დაფუძნებული სასულიერო და სამრევლო სასწავლებლები; თბილისში, გორსა და ქუთაისში მოქმედი კათოლიკური და თბილისში არსებული სომხური სკოლები, ფაქტობრივად საქართველოს ყველა კუთხეში არსებული საეკლესიო-სამონასტრო და საშინაო სკოლები არა მარტო ვაჟებისთვის, არამედ ქალებისთვისაც, სადაც წერა-კითხვასთან, ლოცვებთან და გალობასთან ერთად პრაქტიკული საქმეებიც ისწავლებოდა, ეროვნულ უმცირესობებისთვის გახსნილი სკოლები...

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში ყველა ამ სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო სტრუქტურაა ნათელყოფილი და გაშიფრული, მკვლევრის განსაკუთრებული განხილვისა და ანალიზის საგნად პირველ ყოვლისა მაინც თბილისის გიმნაზიის სასწავლო სისტემა განხილული და პედაგოგიური კუთხით სათანადოდ შეფასებული. კერძოდ, მკვლევარი კონკრეტულად, კლასების მიხედვით, ასახელებს ყველა იმ საგანს, რომელიც გიმნაზიაში ისწავლებოდა როგორც ძირითადი დისციპლინების რანგში, ისე ნებაყოფლობით.

აღნიშნული საკითხების კვლევას მკვლევარმა დამაჯერებლობა და მყარი არგუმენტაცია იმით შესძინა, რომ მათი გაანალიზების დროს უხვად აქვს გამოყენებული და საფუძვლიანად შესწავლილი არა მარტო კვლევის ობიექტებად ქცეულ სასწავლო დაწესებულებებთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეული წერილობითი მასალები, არამედ მათი სტრუქტურაც, სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ეროვნული და სოციალური შემადგენლობა და ა. შ.

რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხსენებულ სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესწავლის დროს გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის აქცევს ეროვნული თვალსაზრისით იქ არსებულ მდგომარეობას და

კონკრეტული ფაქტების გამოააშკარავებით აკრიტიკებს იმ ანტიქართულ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთის კოლონიური ხელისუფლება ატარებდა მიზანმიმართულად იმ პერიოდის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქართული ენის სწავლებას იმხანად არსებულ ყველა ტიპის სასწავლებელში რუსულ ენასთან შედარებით მეტად მცირე დორო ჰქონდა დათმობილი და მოსწავლეთა მხრიდან ხშირ შემთხვევაში ნებაყოფლობითი ხასიათი ჰქონდა.

მაგალითად, თბილისის გიმნაზიაში თუ რუსული ენის სწავლებისთვის კვირაში 31,5 საათი იყო განსაზღვრული, ქართულ ენას მასთან შედარებით ბევრად უფრო მცირე - 18 საათი ეთმობოდა და მხოლოდ ორი საათით აღემატებოდა გერმანული და ფრანგული ენების სწავლებისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობას (თავზიშვილი, 1974: 233).

მიუხედავად ამგვარი ანტიქართული პოლიტიკის არსებობისა და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მკაცრი სადამსჯელო ღონისძიებების პერმანენტულად გატარებისა, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში ის დიდმნიშვნელოვანი დამსახურებაცაა დამაჯერებლად წარმოჩენილი, რომელიც ამ სასწავლებლების პედაგოგთა და მოსწავლეთა გარკვეულ ნაწილს მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გ. თავზიშვილის მონოგრაფია პირველი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევა იყო, რომლის ავტორიც საფუძვლიანად აშუქებდა და მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით აანალიზებდა შესასწავლი პერიოდის საქართველოში ქალთა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერსოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც მკვლევარი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ამ მიმართულებით განხორციელებულ პოზიტიურ ძვრებზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მის მიერ მოწოდებული ცნობები თბილისა და ქუთაისში დაარსებული ქალთა სასწავლებლების შესახებ.

გ. თავზიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ამ სასწავლო დაწესებულებათა ისტორია მათი შექმნის პირველივე წლებიდან დაწყებული და ნათლად დაგვანახა ის პოზიტიური და რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად დაღდასმული როლი, რომელსაც ეს სასწავლებლები ასრულებდნენ შესაბამისი პერიოდის საქართველოში ქალთა განათლების მიმართულებით.

კერძოდ, მათი ისტორიის მოთხრობის დროს გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ საქართველოში იმხანად არსებული ყველა სასწავლო დაწესებულების მსგავსად, ისინიც ხელისუფლების რუსიფიკატორული პოლიტიკის ჩარჩოებში იყვნენ მოქცეულნი. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას მათში მოქმედი სასწავლო გეგმებიცა და პროგრამებიც ნათლად ადასტურებს. მაგალითად, თბილისში ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის სახელწოდებით 1840 წელს შექმნილ ამ სასწავლებელში, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და გარდა რუსული ენისა და ლიტერატურისა, სავალდებულო წესით ფრანგული ენაცა და ლიტერატურაც ისწავლებოდა, ქართული და სომხური ენების სწავლება მხოლოდ მსურველთათვის იყო ნებადართული. ანალოგიური ვითარება იყო ქუთაისში 1847 წელს დაარსებულ წმიდა ნონის სახელობის ქალთა სასწავლებელშიც, რომლის შექმნის უმთავრეს მიზნადაც მისი წესდება „კეთილი ცოლებისა და ოჯახის კარგი დედების მომზადებას“ მიიჩნევდა.

აქედან გამომდინარე, სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული ხატვის, ხელსაქმის, მუსიკისა და ცეკვების სწავლებას, რაც იმდროინდელი საზოგადოების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილებას იწვევდა. მაგალითად, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანი ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისადმი გაგზავნილ წერილში: „მიებარნენ პანსიონში, სადაც ისწავლეს რამდენიმე ფრანგული სიტყვა და შესცვალეს რა ქოშები „ბაშმაკებით,“ ჰგონიათ, რომ დაამთავრეს აღზრდის კურსი. ნახევრად რუსები, ნახევრად ფრანგები, ნახევრად ქართველები - ნუთუ მათ შეუძლიათ იყვნენ კეთილი ცოლები“ (ორბელიანი, 1936: 34).

როგორც გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში სავსებით მართებულად ესმება ხაზი, საქართველოსა და საერთოდ, მთელი კავკასიის რეგიონში კოლონიური

ხელისუფლების მიერ გატარებულმა რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა რუსეთის იმპერატორის - ნიკოლოზ პირველის მმართველობის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ მისი იმპერატორობის დროს, 1844 წელს, კავკასიის მეფისნაცვლად დანიშნულმა მიხეილ ვორონცოვმა საქართველოში ბევრი რამ შეცვალა და არაერთ ისეთ მნიშვნელოვან საქმეს ჩაუყარა საფუძველი, როგორებიც იყო 1848 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის შექმნა, 1850 წელს პროფესიული ქართული თეატრის დაფუძნება, 1852 წელს ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემა და სხვა, ამით რუსული კოლონიური პოლიტიკის არსი არა თუ არ შეცვლილა, არამედ კიდევ უფრო მეტად დაიხვეწა და უფრო მასშტაბურ მოვლენად იქცა. გ. თავზიშვილის შეფასებით, ვორონცოვის „ლიბერალიზმი და ლოიალობა“ უპირველეს ყოვლისა ხელისუფლების ინტერესებით იყო განპირობებული. კერძოდ, „კავკასიის მართვა-გამგეობის სამეურნეო-ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და სასამართლო აპარატის გაფართოება და განმტკიცება მოითხოვდა ადგილობრივ მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი, საიმედო კადრების მომზადებასა და გამოყენებას“ (თავზიშვილი, 1974: 287).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში მ. ვორონცოვის მოღვაწეობა გარკვეულწილად მაინც უნდა მივიჩნიოთ რამდენადმე პროგრესულ მოვლენად. ამის ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ კავკასიის სასწავლო ოლქის შექმნა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მ. ვორონცოვის ინიციატივით 1848 წელს მიღებული სახალხო განათლების დებულებით დამტკიცებული გიმნაზიების სასწავლო გეგმა, მართალია, შეზღუდულად, მაგრამ მაინც, შესაძლებლობას იძლეოდა თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში ქართული ენის სწავლებაც ყოფილიყო ნებადართული. კერძოდ, აი, რა განმარტებას აკეთებს ამ გიმნაზიების სასწავლო გეგმების კონკრეტული განსაზღვრის ბოლოს გ. თავზიშვილია მასთან დაკავშირებით: „ქართული ენა, როგორც უმრავლესობის ენა, ითვლებოდა სავალდებულოდ საქართველოს გიმნაზიების ყველა მოსწავლისათვის, სომხურ და თათრულ ენებს სწავლობდნენ მხოლოდ მსურველები“ (თავზიშვილი, 1974: 285).

მ. ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებული საგანმანათლებლო რეფორმის პოზიტიურ მხარეთა წარმოჩენის დროს გ. თავზიშვილი იმ გარემოებასაც მიაპყრობს ყურადღებას, რომ სხვადასხვა დონის სასწავლო დაწესებულებები იმხანად ჩვენი ქვეყნის განაპირა რეგიონებშიც შეიქმნა. მაგალითად, 1846 წელს „აფხაზი ბავშვების გასანათლებლად“ სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა ბიჭვინთაში. პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა მუსლიმანი მოსახლეობის საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლადაც. კერძოდ, 1847-1848 წლებში თბილისში მათი ბავშვებისათვის გაიხსნა ორი მუსლიმანური სკოლა. 1850 წელს კი კავკასიის მასშტაბით ამ ტიპის სასწავლებელთა რაოდენობა რვამდე გაიზარდა (თავზიშვილი, 1974: 292).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გ. თავზიშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ 1854 წელს კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობიდან ვორონცოვის წასვლის შემდეგ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოში განათლების ქსელის შემდგომ გაფართოებაზე.

როგორც ზემოთ უკვე უკვე ითქვა, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში გამოთქმული ამგვარი მოსაზრებანი და XIX საუკუნის საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათება მკვლევრის მიერ მოძიებულ პირველწყაროებსა და დოკუმენტურ მასალებს ეფუძნება, რითაც მისეული დასკვნები ღრმად დამაჯერებელია და მყარად არგუმენტირებული.

გ. თავზიშვილი ხელისუფლების მიერ ტოტალურად გატარებული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდა იმ ფაქტსაც, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებამდე საქართველოში შედარებით მაღალი დონის არც ერთი სახის სამხედრო სასწავლებელი არ ყოფილა დაარსებული. აი, როგორ ხსნის და განმარტავდა მკვლევარი ხელისუფლების ამგვარი ქმედების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს: „მიზეზი იყო არა იმდენად ის, რომ თავიდან აეცილებინათ მათი (ამგვარი სასწავლებლების - თ. კ.) შენახვის ხარჯები, რამდენადაც - ხელისუფლების პოლიტიკა: მომავალი ქართველი სამხედრო მოღვაწეები ჭაბუკობაშივე მოეცილებინათ სამშობლოსა და ყოველივე ეროვნულს, რათა აღზრდილიყვნენ ისინი ცენტრალურ რუსეთში თვითმპყრობელური

სულისკვეთებით. მეფის მთავრობა უმეტეს შემთხვევაში მართლაც ქმნიდა მათგან რუსეთის ტახტისადმი ერთგულ სამხედრო მოხელეებს“ (თავზიშვილი, 1974: 269).

რაც შეეხებოდა იმას, რომ 1836 წლიდან მოყოლებული საქართველოში არსებულ რუსულ სამხედრო ნაწილებთან დაიწყეს დაბალი საფეხურის სამხედრო სკოლების შექმნა, ამ გადაწყვეტილების უმთავრესი მიზანი რომ კავკასიის მხარის გარუსება რომ იყო, ამის შესახებ თავად კავკასიის სამხედრო ძალაუფლების უმაღლესი წარმომადგენლებიც წერდნენ ყოველგვარი შენიდბვის გარეშე.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის მეცნიერული ღირებულების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც გვინდა მივაქციოთ, რომ მისი მეშვეობით მდიდარ სტატისტიკურ და ფაქტობრივ მონაცემებზე ნათლადაა ნაჩვენები სრული და ყოველმხრივი სურათი საქართველოში არსებული სასწავლო სისტემისა მოყოლებული XIX საუკუნის პირველივე წლებიდან 1870-იან წლებამდე. ასე რომ გ. თავზიშვილის ეს ნაშრომი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს დღესაც უაღრესად ფასეულ იმ გამოკვლევად, რომელიც ენციკლოპედიური სრულყოფილებით ასახავს საგანმანათლებლო მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას.

ნაშრომის შემეცნებით მხარეს მკვლევარი მეტ სიცხადეს იმ ცხრილებითაც სძენს, რომელთა მეშვეობითაც იგი განზოგადებული და შეჯამებული სახით წარმოგვიდგენს სტატისტიკურ მონაცემებს შესასწავლი პერიოდის საქართველოში რეგიონების მიხედვით განთავსებული სასწავლებლების რაოდენობას, სახეობებს, მასწავლებლების რაოდენობასა და ხარისხობრივ შემადგენლობასა და მათ ხელფასებს, სასწავლო პროგრამებსა და გეგმებს, მოსწავლეთა რაოდენობასა და ეთნიკურ შემადგენლობას და ა. შ.

გ. თავზიშვილი პირველი მკვლევარი იყო, ვინც ეს ყველაფერი ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა და დასახული მიზნის მისაღწევად უაღრესად შრომატევადი სამუშაო შეასრულა. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ რამდენიმე მნიშვნელოვან მონაცემს 1860 წლისთვის საქართველოში სახალხო განათლების

კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. აი, რა მონაცემებს გვაწვდის მკვლევარი ხსენებული დროისათვის ჩვენს ქვეყანაში სასწავლო განათლებასთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით:

საქართველოში იმხანად მოქმედი ვაჟთა ორი გიმნაზიიდან ერთი მოთავსებული იყო თბილისში, მეორე - ქუთაისში; პირველში სწავლობდა 420 მოწაფე, მეორეში - 380. თბილისის გუბერნიაში არსებული სამაზრო სასწავლებლების რაოდენობა 6-ს შეადგინდა 624 მოსწავლით, ქუთაისისაში კი შესაბამისად 3-სა და 412-ს. სასულიერი სასწავლებლების ოდენობა თბილისის გუბერნიაში 7 იყო, ქუთაისისაში კი 8 და ა. შ. გარდა ხსენებული სასწავლებლებისა, იმდროინდელ საქართველოში ასევე ფუნქციონირებდა შემდეგი სახის სასწავლო დაწესებულებანი: კომერციული, სასულიერო სემინარიები, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი, წმ. ნინოს სასწავლებელი, სამიჯნო სკოლა, საბაღოსნო სასწავლებელი, დაწყებითი სკოლები პოლკებთან, ეკლესია-მონასტრებთან და მეჩეთებთან შექმნილი და კერძო სკოლები.

სულ, შეჯამებული სახით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში არსებული სასწავლო დაწესებულებების საერთო რაოდენობა ასეთ სურათს ქმნიდა: თბილისის გუბერნიაში ფუნქციონირებდა 89 სასწავლებელი 4399 მოსწავლით, ქუთაისისაში კი 56 – 3451-ით.

გ. თავზიშვილის დამაჯერებელი დასკვნით, საქართველოში იმხანად არსებული სასწავლებლების ეს რაოდენობა, განსაკუთრებით სახელმწიფო სკოლებისა, ძალიან ცოტა იყო და მხოლოდ 50% აკმაყოფილებდა იქ სწავლის მსურველთა მოთხოვნას.

ვფიქრობთ, დამოწმებული სტატისტიკური მონაცემებიც სავსებით საკმარისი იქნება იმ დიდი და შრომატევადი სამუშაოს შესრულებაზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, რომელიც გ. თავზიშვილს აქვს შესრულებული ამ დოკუმენტური მასალების მოსამიებლად, დასამუშავებლად და ამის საფუძველზე ასეთი განზოგადებული შეფასებების გასაკეთებლად.

გ. თავზიშვილი პირველი მკვლევარი იყო, ვინც ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორიის შესწავლის დროს მასწავლებელთა ხარისხობრივი

შემადგენლობაცა და მათი პედაგოგიური საქმიანობაც შეისწავლა საფუძვლიანად. ამ კუთხით შესრულებული შრომატევადი სამუშაოს შესრულების შედეგად მის მიერ გაკეთებული დასკვნები მოკლედ ასეთი იყო: XIX საუკუნის სამოციან წლებამდე საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებები პედაგოგიური პერსონალით დამაკმაყოფილებლად არ იყო უზრუნველყოფილი, რაც არსებითად იყო განპირობებული იმით, რომ აქ არც ერთი პედაგოგიური პროფილის სასწავლებელი არ ფუნქციონირებდა. მკვლევრის განმარტებით, პროფესიონალ მასწავლებელთა მკვეთრი ნაკლებობის არსებობით შექმნილი ამ ვაკუუმის შევსება ხდებოდა სხვადასხვა პროფესიის მოხალისეთა ჩანაცვლებით.

რაც შეეხებათ პროფესიონალ მასწავლებლებს, ისინი მხოლოდ რუსეთიდან იგზავნებოდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ მათი რაოდენობა იქაურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებდა, საქართველოში პროფესიონალ მასწავლებელთა მკვეთრი დეფიციტი არსებობდა. საქმეს ვერ შველოდა ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთავარმართებელ ა. ერმოლოვის თხოვნით, ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ წამომსვლელ მასწავლებლებს გარკვეული ფინანსური სარგოებიც დაუწესეს. ამისდა მიუხედავად აქ სამუშაოდ წამოსვლაზე ბევრი მაინც იკავებდა თავს, რადგანაც სამუშაო ადგილები რუსეთშიც არ იყო საძებარი (თავზიშვილი, 1974: 331).

როგორც გ. თავზიშვილმა არგუმენტირებულად გვიჩვენა, მასწავლებელთა ნაკლებობით განპირობებული პრობლემის გადაჭრა ხშირ შემთხვევაში იმითაც ხდებოდა, რომ გიმნაზიების უფროსი კლასების მოსწავლეებს უფლებას აძლევდნენ, იმავე სასწავლებლების უმცროს კლასებში რომ ემუშავათ მასწავლებლად.

პროფესიონალი მასწავლებლების ნაკლებობა კი, პირდაპირ აისახებოდა მოსწავლეთა განათლების ხარისხზე. თანამედროვე თვალთახედვით აღქმული ეს პრობლემა, შეიძლება ითქვას, რომ სრულად არ გამქრალა, ვინაიდან, 2005 წლიდან მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს არცერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, თავიანთ კურსდამთავრებულებს აღარ ანიჭებს საბაზო და საშუალო საფეხურების მასწავლებლის კვალიფიკაციას, საჭირო გახდა დამატებითი ეტაპის

შემოღება. პრობლემის მოგვარების ძიების პროცესში ეფექტურ გამოსავლად შეიძლება მივიჩნიოთ დღეისათვის უკვე არსებული მასწავლებლის მომზადების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხის მქონე პირს შესძინოს ცოდნა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების კანონზომიერებების შესახებ, რათა ეფექტურად შეძლოს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაზო და საშუალო საფეხურებზე უფროსი მასწავლებლის სტატუსით.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისტორიის კვლევის დროს გ. თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესების შესწავლასაც მიაქცია და ამ წესების არსი საფუძვლიანად განმარტა ქართველ მწერალთა და პედაგოგთა დოკუმენტური ნაწერებიდან და სხვადსახვა სახის წერილობითი მასალებიდან უხვად მოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით. მხედველობაში გვაქვს მკვლევრის მიერ წმინდა პედაგოგიური კუთხით პროფესიულად დახასიათებული და შეფასებული ხალხური სწავლა-აღზრდის ისეთი ფორმები, როგორებიც იყო: გაბარება-გაძიძავება, დაწინდვის წესი და სხვ.

პედაგოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. თავზიშვილის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზე ინტერპრეტირებული სწავლების ის მეთოდები და ფორმები, რომლებიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში იყო ფართოდ დამკვიდრებული. როგორც მკვლევარი მათი საფუძვლიანად შესწავლის შედეგად დაასკვნის, იმდროინდელი „პედაგოგიური კულტურის დაბალმა დონემ ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება სწავლების მეთოდებსა და ფორმებში ჰპოვა. ზოგადი დიდაქტიკისა და კერძო მეთოდიკების სიღარიბე, პირველ ყოვლისა, ემჩნევა სწავლების ხერხებსა და სახელმძღვანელოებს“ (თავზიშვილი, 1974: 373).

სწორედ ამგვარი შეფასების საფუძველი გახდა ის ღრმა მეცნიერული ანალიზი, რომელიც მკვლევარმა ხსენებული პერიოდის ქართულ სასწავლებლებში ფართოდ დამკვიდრებულ ისეთ სასწავლო მეთოდებს ჩაუტარა, როგორებიც იყო ანბანისა და

კითხვის შესასწავლად იმხანად ფართოდ გავრცელებული და დღეს უკვე მთლიანად უარყოფილი სწავლების შემდეგი ფორმები: ანბანის გაცნობა, ანბანთქებანი, დამარცვლა და ამოსაღები.

გ. თავზიშვილს სწავლების ამ ფორმათა სრული უსაფუძვლობისა და არაპედაგოგიური მიზანშეწონილობის ნათელსაყოფად მრავალი კონკრეტული მასალაც მოაქვს აკაკი წერეთლის, ლადო ბზვანელისა და სხვა ქართველ მწერალთა და პედაგოგთა ნაწერებიდან.

XIX სუკუნის საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის შესწავლა გ. თავზიშვილმა თავისი მონოგრაფიის ბოლოს იმჟამინდელ სასწავლო პროცესში გამოყენებული სახელმძღვანელოების საფუძვლიანი ანალიზითაც სრულყო. კერძოდ, მან სპეციალურად მოიძია ფაქტობრივად ყველა ის წიგნი - ბეჭდური წესით გამოცემულიცა და ხელნაწერიც, რომელთაც სასწავლო დანიშნულებით იყენებდნენ იმხანად არსებულ ყველა ტიპის სკოლაში. გ. თავზიშვილმა ეს სახელმძღვანელოები არა მარტო წმინდა პედაგოგიკური კუთხით გაანალიზა მაღალ პროფესიულ დონეზე, არამედ შინაარსობრივადაც, რუსეთის სასწავლო დაწესებულებებში იმხანად მოქმედ სახელმძღვანელოებთან მიმართებით და დამაჯერებლად წარმოაჩინა მათი როგორც პოზიტიური მხარეები, ისე დღესდღეობით მიუღებელი მეთოდური და შემეცნებითი განზომილებანი.

მთავარი დასკვნა, რომელიც მკვლევარს აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული შრომატევადი სამუშაოს შესრულების შედეგად გამოაქვს, ასეთი იყო: „როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის მთელ მანძილზე... სკოლა და მოსწავლე თაობა ყოველთვის მწვავედ განიცდიდა სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნების ნაკლებობას. ამიტომ იყო, რომ ხშირად ოფიციალურ უწყებათა მიერ სახელმძღვანელოდ დაშვებული წიგნები თავისი შინაარსით და აღნაგობით ძალიან შორს იყვნენ იმ მეცნიერებათაგან, რომლის სწავლებისა თუ შესწავლის მიზნითაც ხდებოდა მათი გამოყენება. ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ხსენებულ პერიოდში სასწავლო მუშაობის პროცესში ფართოდ იყო გავრცელებული

კარნახისა და კონსპექტების ყოვლად უმსგავსო და საზიანო პრაქტიკა“ (თავზიშვილი, 1974: 399).

გ. თავზიშვილი დასკვნის სახით ჩამოყალიბებული ამ მოსაზრების დასტურად საფუძვლიანად განიხილავს იმდროინდელ სკოლებში გამოყენებულ ფაქტობრივად ყველა საგნის სახელმძღვანელოებს - როგორც იმხანად შექმნილებს, ისე წინა საუკუნეებში დაწერილებსაც და მაშინდელ სკოლებში სასწავლო დანიშნულებით გამოყენებულებსაც. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებიდან მკვლევრის მიერ გაანალიზებულ სახელმძღვანელოთა არასრული ჩამონათვალი ასეთია: სულხან-საბა ორბელიანის „ანბანი პირველად სასწავლო ყრმათათვის;“ გაიოზის „ანბანი, ლოცვანი, მოკლე საქრისტიანო სწავლა,“ დაბეჭდილი ქ. მოზდოვკში 1797 წელს; თეოფანე პროკოპოვიჩის „პირველი სასწავლო ყრმათა, რომელსა შინა არის ანბანი და დაწყობა ასოთა“ (ქართული ანბანის ჩართვით). თარგმანი რუსულიდან გაბრიელ ჩხეიძისა, გასწორებული და რედაქტირებული არქიმანდრიტ გერმანეს მიერ და დაბეჭდილი მოსკოვს 1739 წელს, ხოლო ახლად გადაწერილი დიმ. ოქროაშვილის მიერ 1820 წელს, ტარასი ალექსიშვილის „ქართული ანბანი სასწავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა წერილისა;“ პლატონ იოსელიანის „ანბანი ქართული, სასარგებლოდ ქართველთა ახალ მოსწავლეთა ყრმათა,“ ივანე კერესელიძის „ანბანი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“ და სხვ. (თავზიშვილი, 1974: 400).

გარდა ქართული ენის სახელმძღვანელოებისა, მონოგრაფიის აღნიშნულ ნაწილში ასევე განხილულია რუსული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზიკა-მათემატიკის, ფილოსოფიური საგნებისა და უცხოური ენების სახელმძღვანელოებიც. ამ წიგნების ჯერ მოძიება, შემდეგ კი მათი საფუძვლიანი ანალიზი მკვლევრისაგან უაღრესად დიდი და შრომატევადი სამუშაოს შესრულებას მოითხოვდა, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი.

ასე რომ, მონოგრაფიის ეს თავი სრულყოფილ სურათს გვიქმნის XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში არსებულ ყველა ტიპის სკოლაში გამოყენებული

არა მარტო ორიგინალური, არამედ ნათარგმნი და გადმოკეთებული სახელმძღვანელოების შინაარსობრივ მხარეზეც და წმინდა პედაგოგიკურ მიზანშეწონილობაზეც.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხსენებული პერიოდის საქართველოში მოქმედი ყველა ტიპის სკოლა მასწავლებლების მკვეთრ ნაკლებობას განიცდიდა, რაც იმ ფაქტორით იყო განპირობებული, რომ დიდ მცდელობათა მიუხედავად, მაშინდელმა ჩვენმა მოღვაწეებმა ვერაფრით მოახერხეს მასწავლებელთა მოსამზადებელი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება.

ამისდა მიუხედავად, ქართველ მამულიშვილთა დიდი ნაწილი მეტ-ნაკლები აქტიურობით კვლავაც აგრძელებდა ბრძოლას ამ იდეის ხორცშესახმელად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული გააქტიურება გამოვლინდა XIX საუკუნის 50-იან წლებში, კავკასიაში ბარიატინსკის მეფისნაცვლობის დროს. როგორც ცნობილია, მათი აქტიური მოთხოვნის გათვალისწინებით, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ბარონ ა. ნიკოლაის ბარიატინსკიმ 1857 წელს დაავალა შეედგინა ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლის დებულებისა და შტატის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხედვით ხსენებული სასწავლებელი იქნებოდა არა უნივერსიტეტი, არამედ ლიცეუმი. ასეთი გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ნიკოლაის განმარტებით, კავკასია რუსეთს „განათლების მხრივ სულ მცირე 50 წლით ჩამორჩებოდა“ და აღნიშნავდა, რომ ლიცეუმის გახსნა ჩამორჩენის ამ დროს მნიშვნელოვნად შეამცირებდა.

სამწუხაროდ, ბარიატინსკისა და ნიკოლაის მიერ შედგენილი ეს პროექტი, რომელიც 1857 წელს დასამტკიცებლად გაიგზავნა პეტერბურგში, მეფის ხელისუფლებამ არ დაამტკიცა, რადგანაც „ჯერ კიდევ ნაადრევად იქნა მიჩნეული საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსება“ (თავზიშვილი, 1974: 452).

უმთავრესი დასკვნა, რომლითაც გ. თავზიშვილი საბოლოოდ აჯამებს XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის ყოველმხრივ და საფუძვლიან ანალიზს, ასეთია: იმ პერიოდის „ქართული

პედაგოგიკური აზროვნება არ ამაღლებულა მეცნიერული პედაგოგიკის სისტემის დონემდე. ის შემოიფარგლა აღზრდა-განათლების და სწავლების ცალკე საკითხებით, რომელთა შორის უმთავრესს წარმოადგენდა: აღზრდა-განათლების მიზანი, გონიერების და ფიზიკური აღზრდა, განათლების შინაარსი, სკოლა, სწავლების ორგანიზაცია, სახელმძღვანელოები. ამ საკითხების დასმასა და გადაჭრაში XIX საუკუნის ქართული პედაგოგიკა არ ჩამორჩებოდა მისი დროის მოწინავე პედაგოგიკურ აზროვნებას, მაგრამ მრავალი პრობლემა აღზრდის თეორიიდან და დიდაქტიკიდან ან სრულებით არ იდგა აღნიშნული პერიოდის ქართული პედაგოგიკის წინაშე, ან ვერ მიიღო ჯეროვანი გადაჭრა“ (თავზიშვილი, 1974: 486).

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი თავზიშვილის მონოგრაფია - „სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში,“ როგორც აღნიშნული საკითხების შესასწავლად შექმნილი პირველი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევა, ის ნაშრომია, რომელიც ყოველმხრივ და საფუძვლიანადაა შესწავლილი და გამოკვლეული ხსენებული პერიოდის საგანმანათლებლო სისტემის პოზიტიური მხარეებიცა და ნაკლოვანებანიც. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პერიოდის საქართველოში არსებული სასწავლო დაწესებულებების ისტორიასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები და იმხანად მოღვაწე დიდ ქართველ მამულიშვილთა პედაგოგიკური იდეები შემდგომშიც არაერთხელ იქცა მკვლევართა კვლევის ობიექტად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი თავზიშვილის მონოგრაფია მისი შექმნიდან საკმაოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ კვლავაც რჩება უაღრესად ფასეულ ნაშრომად როგორც მასში წარმოდგენილი დოკუმენტური მასალების სიუხვით, ისე მათი მაღალ მეცნიერულ დონეზე გაანალიზებით.

მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით გაწეული კოლოსალური შრომის შედეგი ის მყარი საფუძველი გახდა, რომელმაც არსებითად გაუიოლა აღნიშნული საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს.

გ) ქართული სასწავლო დაწესებულებანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. პირველი საკითხი, რომლის საფუძვლიანი გაანალიზებითაც გ. თავზიშვილმა შესწავლის საგნად ქცეული პრობლემის გამოკვლევა დაიწყო, იყო ზოგადი და პროფტექნიკური განათლება XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში. მკვლევრის ხაზგასმით, პროფტექნიკური სასწავლებლების, როგორც კვალიფიციური კადრების მომზადების ეფექტური საშუალების, შექმნის მცდელობას მანამდეც ჰქონდა ადგილი. კერძოდ, ამ ტიპის პირველი სასწავლო დაწესებულება იყო „კავკასიის სამიჯნო სკოლა“, რომელიც 1846 წელს გაიხსნა თბილისში. 50 მოსწავლეზე გათვალისწინებული ეს სასწავლებელი ამზადებდა მომიჯნებსა და მიწისმზომელთა თანაშემწებს 50 კაცის ოდენობით (თავზიშვილი, 1974: 274).

პროფტექნიკური სასწავლებლების შექმნის პროცესი რამდენადმე გააქტიურად 50-იან წლებში. თბილისა და ქუთაისში სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მებაღეობის მიმართულებით მომხდარი პოზიტიური ძვრების შედეგად ამ დარგის სპეციალისტებზე მოთხოვნის გაზრდამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ 1855 წელს ამ ქალაქებში საბაღოსნო სასწავლებლები გაიხსნა.

როგორც გ. თავზიშვილმა მის მიერ მოხმობილი მდიდარი ფაქტობრივი მასალებით გაარკვია, პროფტექნიკური სასწავლებლების გახსნისადმი ქართველ მოღვაწეთა ინტერესმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. მათი პედაგოგიკური იდეებისა და ქართული საგანმანათლებლო სფეროს განსავითარებლად გაწეული აქტიური საქმიანობის შესწავლამ მკვლევარი ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისეული პროგრესის რეალურად მისაღწევად, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ისინი პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართოდ დანერგვასაც მიიჩნევდნენ უაღრესად სასარგებლო საქმედ.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, „საქართველოს სამოციანელ საზოგადო მოღვაწეთა მესვეურები... სპეციალური, პროფტექნიკური განათლების შინაარსის განსაზღვრისას გამოდიოდნენ იმ ფაქტიდან, რომ „საქართველო სასოფლო–სამეურნეო ქვეყანაა“ და

„ერთადერთი წყარო აქაური ერის ეკონომიკურის არსებობისა საადგილ–მამულო მრეწველობაა;“ ამასთან, მხედველობაში იღებდნენ საქალაქო წარმოების განვითარებას, ტექნიკის პროგრესულ როლს სახალხო მეურნეობაში და ამის მიხედვით წყვეტდნენ სპეცტექნიკური განათლების შინაარსისა და სკოლის სასწავლო გეგმების საკითხს“ (თავზიშვილი, 1977: 4).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გ. თავზიშვილი სავსებით გამართლებულად და ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა იმ აქტიურობას, რომელსაც ქართველი „სამოციანელები“ საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაქმნელად იჩენდნენ. ამ მხარდაჭერის ნათელსაყოფად მას მრავალი ციტატა აქვს დამოწმებული მათი პედაგოგიური ნააზრევიდან.

იმის გამო, რომ საქართველო იმხანად რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანას წარმოადგენდა, მას საკუთარი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა არ გააჩნდა. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ერის დიდი შვილები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, არსებული კოლონიური რეჟიმის დისკრიმინაციულ კანონებს რომ არ დამორჩილებოდნენ და მაქსიმალურად ეცადათ რუსულ კანონმდებლობის საფუძველზეც მოეხერხებინათ ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის სასიკეთო საქმეების გაკეთება.

ამ თვალსაზრისით მათ მართლაც შეძლეს ბევრი რამის მიღწევა, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროშიც. მათი მართებული მოსაზრებით, ქართული საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად პროფესიული სასწავლებლების დაარსება მეტად მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „სახელოსნო და სასპეციალო სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წარსულის საქმის ხელახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონე-მილეულ ქვეყნის

გაღონიერებისათვის. დროა, ამაზე ვიფიქროთ, დროა, ამ საქმეს ჩავჭიდოთ ხელი“ (ჭავჭავაძე, 1955: 390).

სერგეი მესხი კი წერდა: „ჩვენს სოფლის ხალხს ისეთი ცოდნა სჭირია, რომლის შემწეობითაც იმას შეეძლოს ბუნების გამოყენება და აქედან ცხოვრების გაუმჯობესება. ამ ხერხს ასწავლის ადამიანს ბუნების მეცნიერება, მეურნეობა და ხელოსნობის სწავლება“ („დროება“, 1871 წ. #17).

საქართველოში პროფესიული განათლების ფართოდ განვითარებას და ამ ტიპის სასწავლებლების მრავლად დაარსებას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში იაკობ გოგებაშვილი საქართველოს გადარჩენისა და ეკონომიკურად მძლავრ ქვეყანდ გადაქცევის უმთავრეს პირობად მიიჩნევდა. აი, როგორ ასაბუთებდა იგი თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში მის ამ თვალსაზრისს: „ჩვენი ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ჩვენ კი ძლიერ ღარიბნი ვართ. რადა? იმიტომ, რომ მოვლა არ ვიცით ბუნებისაა... თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალსა, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება“ (გოგებაშვილი, 1954: 293).

ქართველ მოღვაწეთა ნააზრევსა და პრაქტიკულ საქმიანობაზე დაყრდნობით, გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აღნიშნული პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტის ერთადერთ გონივრულ გზად ჩვენი დიდი მამულიშვილები პირველ ყოვლისა განათლებასა და შესაბამისი დარგის სპეციალისტთა მომზადებას მიიჩნევდნენ. მაგალითად: „რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების წინაშე ილიას არაერთხელ დაუყენებია საკითხი უმაღლესი ტექნიკურ-მეცნიერული ცოდნით შეიარაღების შესახებ, მაგრამ რადგან ის გამოდიოდა იმ მოსაზრებიდან, რომ საქართველო და საერთოდ, ამიერკავკასია აგრარული ქვეყანაა, ამიტომ უფრო მეტი ყურადღებითა და ენერგიით ეკიდებოდა აგროტექნიკური განათლების გავრცელებას“ (თავზიშვილი, 1977: 164).

გ. თავზიშვილის, როგორც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მკვლევრის, დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური ღვაწლის გაანალიზებისა და შეფასების დროს იგი სწორედ მათი

ნააზრევის ამგვარ პოზიტიურ მხარეებს წამოსწევს წინა პლანზე და მათ იმდროინდელ მოთხოვნათა გათვალისწინებით აფასებს.

სწორედ ერთ–ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენდა იმ პოლემიკის გაანალიზება, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაიმართა კლასიკური და რეალური განათლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის. ფაქტობრივად, იმხანად მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით მიმდინარე ამ პოლემიკაში მაშინ ქართველი მოღვაწენიც ჩაერთვნენ აქტიურად.

დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავდა: „მე ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები მომხრე რეალური სისტემისა. იგი მიმაჩნია ყველა ერისათვის უფრო ნაყოფიერ სისტემად, მეტადრე ქართველებისათვის“ (გოგებაშვილი, 1955: 248).

რეალური და კლასიკური განათლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო მეტად გამწვავდა XIX საუკუნის 90-იან წლებში. იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრი მაშინ ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ ბანაკად გაიყო -- კლასიკური განათლების მომხრეებად და რეალური განათლების მხარდამჭერებად. ამ დაპირისპირების დროს გაზეთი „კვალი“ კლასიკურ გიმნაზიებსა და ლიცეუმებს უჭირდა მხარს იმ მოტივით, რომ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს უპირატესობა ეძლეოდათ...

გაზეთი „ივერია“ კი თანმიმდევრულად იცავდა რეალური განათლების სისტემას, თვლიდა მას ხალხისათვის უფრო სასარგებლოდ და საჭიროდ.

კლასიკური და რეალური განათლების ურთიერთშეთანხმების, ორივე სისტემის თანაბრად განვითარების მომხრედ გამოდიოდა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (პედაგოგიკის ისტორია, 1988: 375).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იმდროინდელ ქართველ პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის მიმდინარე ესოდენ მწვავე პოლემიკა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს რეალური განათლების აქტიურად მხარდამჭერნი კლასიკური

განათლების წინააღმდეგნი იყვნენ. ეს ასე ვერავითარ შემთხვევაში თუნდაც იმიტომაც ვერ მოხდებოდა, რომ კლასიკური განათლების მიღება იმ დროისათვის ფაქტობრივად ერთადერთი რეალური გზა იყო უმაღლესი განათლების მისაღებად.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ 1864 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებული გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების წესდების საფუძველზე დაარსდა ორი ტიპის გიმნაზია – კლასიკური და რეალური. კლასიკურ გიმნაზიაში კლასიკური ენები: ლათინური და ძველი ბერძნული ისტავლებოდა, რეალურ გიმნაზიაში სწავლების უმთავრეს მიმართულებას საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა უდიდესი ნაწილი სავსებით მართებულად ფიქრობდა, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთადერთ სწორ გზას განათლების ორივე ფორმის ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებობა იქნებოდა.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, ზემოთ აღნიშნულ დავაში „კლასიკური განათლების პრინციპს უმთავრესად იცავდნენ განათლების უწყების წარმომადგენელნი, რომლებიც გიმნაზიის მიზნად აღიარებდნენ საერთო განათლებასა და უნივერსიტეტისათვის ახალგაზრდობის მომზადებას. რეალური განათლების პრინციპს კი იცავდნენ მოწინავე პედაგოგები, მწერლები და, საერთოდ, საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც გიმნაზიის მიზნად მიიჩნევდნენ როგორც ზოგად განათლებას და უმაღლესი სასწავლებლისათვის მოსწავლეთა მომზადებას, ისე მათ აღჭურვას პრაქტიკული მუშაობისათვის გამოსადეგი ცოდნა–ჩვევებით. ეს უკანასკნელი მომენტი, ერთის მხრივ, უპასუხებდა გიმნაზიის კურსდამთავრებულთა იმ დიდი უმრავლესობის ინტერესებს, რომელსაც არ ჰქონდა უნივერსიტეტში შესვლის საშუალება და, მაშასადამე, პრაქტიკული შრომა უნდა დაეწყო... ამდენად, რეალური განათლების პრინციპი იყო უფრო პროგრესული და მომენტისათვის უფრო შესაფერისი“ (თავზიშვილი, 1977: 9).

გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად ეხებოდა ამ პოლემიკას, არამედ რეალური განათლების იმდროინდელ მომხრეთა მიმართ თავის მხარდამჭერ დამოკიდებულებას

რეალური და კლასიკური სასწავლებლების სასწავლო გეგმათა ერთმანთთან შედარებითაც გამოხატავდა და ამ გზითაც აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ იმ პერიოდის ქართული ყოფისათვის პრიორიტეტული როლის შესრულება რეალურ განათლებას მართლაც უფრო მეტად შეეძლო.

იმის ნათელსაყოფად, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მოღვაწენი აღნიშნულ საკითხს პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალთახედვით რომ უდგებოდნენ და აფასებდნენ, გ. თავზიშვილს შესაბამისი არგუმენტებიც მრავლად მოჰყავს მათი ნაწერებიდანაც და პრაქტიკული საქმიანობიდანაც.

ნიკო ნიკოლაძის მტკიცებით, „სპეციალური სასწავლებლები იმდენი უნდა იყოს სახელმწიფოში, რამდენიც სხვადასხვა ნაწილი აქვს ხალხის მოქმედებას და მეცნიერებას. მეურნეობა, ექიმობა, ენების მეცნიერება, მექარხნეობა, გზის საქმე, შენობების კეთება, ხატვა და სხვა. თითოეულს ამათგანს ცალკე სასწავლებელი სჭირია“ (ნიკოლაძე, 1960: 505).

ცნობილმა პედაგოგმა ნიკო ცხვედაძემ (1842–1911 წწ.) 1892 წელს ცალკე წიგნიც კი გამოსცა სახელწოდებით: „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა,“ რომელშიც კონკრეტულად იყო მსჯელობა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართ საკითხებზე.

აღნიშნული საკითხების მეცნიერულ შესწავლას გ. თავზიშვილმა მეტი მასშტაბები იმითაც შესძინა, რომ იმდროინდელ მოღვაწეთა მიერ მათთან დაკავშირებით გამოთქმული თეორიული მოსაზრებანი მაშინდელ რეალურ ვითარებასთან მიმართებითაც გააანალიზა.

გ. თავზიშვილის ხაზგასმით, იმის გამო, რომ ხსენებული პერიოდის საქართველოში პროფესიულ განათლებას სახელმწიფოებრივ დონეზე სათანადო ყურადღება არ ჰქონდა მიქცეული, ამ მიმართულებით განათლების მიღება შეგირდობის წესით ხდებოდა. აი, როგორ აფასებდა იგი საქართველოში ამ თვალსაზრისით ძველად არსებულ მდგომარეობას: „ხელოსნური განათლება საქართველოში იმხანად ვრცელდებოდა შეგირდობის წესით... ასწავლიდნენ ხელოსნები ინდივიდუალურად

და პრაქტიკულად. თეორიულ-პრაქტიკული განათლება არ ჰქონდათ არც მასწავლებლებს, ე. ი. ხელოსნებს (რომელნიც ზოგჯერ სრულიად უწიგნურებიც კი იყვნენ) და არც შეგირდებს. ამასთან, ეს ხელოსნობა მეტად ვიწრო და კასტურ ხასიათს ატარებდა“ (თავზიშვილი, 1977: 19).

როგორც გ. თავზიშვილის მიერ აღნიშნული საკითხის გაანალიზების დროს დამოწმებული ტექსტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა მრავალი წარმომადგენელი აქტიურად ცდილობდა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის ამ ნაკლოვანი მხარის რეალურად გამოსწორებას. ერთ-ერთი მათგანი იყო კონსტანტინე მამაცაშვილი, რომელიც 1862 წელს გაზეთ „კავკაზის“ მე-9 და 27-ე ნომრებში გამოქვეყნებულ წერილებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელი იყო, „თითოეულ მაზრაში 3–4 სასოფლო–სამეურნეო სკოლის დაარსება. ამ სკოლების დანიშნულება, მისი აზრით, მდგომარეობდა განვითარებული სასოფლო–სამეურნეო იარაღების გამოყენებისა და მათი შეკეთების უნარის მქონე ახალგაზრდა ხელოსნების მომზადებაში. სპეცტექნიკური საგნებიდან აღნიშნულ სკოლებში უნდა ესწავლებინათ სადურგლო, სახარატო, საკასრო, საბორბლე, სამჭედლო, საზეინკლო და საუნაგირო საქმე“ (თავზიშვილი, 1977: 19).

გ. თავზიშვილის ინფორმაციით, კ. მამაცაშვილს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად პროექტიც შეუდგენია და სათანადო ხარჯთაღრიცხვის თანდართვით ხელისუფლებისთვისაც წარუდგენია. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი მოუწონებია დიდ ქართველ პოეტს – გრიგოლ ორბელიანს, რომელიც მაშინ კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილედ მუშაობდა, მეფისნაცვალს ამ საქმისთვის მსვლელობა არ მიუცია.

გ. თავზიშვილის მართებული მტკიცებით, ყოველივე ამის მიზეზი კ. მამაცაშვილის მიერ წარდგენილი პროექტის უვარგისობა კი არ იყო, არამედ ის ფაქტი, რომ „მეფის მთავრობის აგენტებს საქართველოში არ უნდოდათ გაეგოთ, რომ მამაცაშვილის პროექტით განზრახული სკოლები, ერთი მხრით, სწორედ მეურნეობის სათანადო

განვითარების შედეგი იყო, ხოლო, მეორე მხრით, ეს სკოლები მისი შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. ამასთან, მეფის მთავრობა არც ისე იყო დაინტერესებული საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებით და გლეხობის კეთილმდგომარეობით, რომ მამაცაშვილის პროექტი მიეღო“ (თავზიშვილი, 1977: 20).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გ. თავზიშვილი სათანადო დოკუმენტური მასალების უხვად დამოწმების საფუძველზე იმასაც ნათელყოფს, რომ ქართველ მოღვაწეთა აქტიური მცდელობის შედეგად მაშინდელ საქართველოში მაინც მოხერხდა რამდენიმე პროფესიული სასწავლებლის დაარსება. ერთ-ერთი მათგანი იყო 1869 წელს თბილისის დაწყებით სკოლასთან, ავლაბარში, დაარსებული სახელოსნო განყოფილება, სადაც ასწავლიდნენ დურგლობას, ხარატობას, მეკასრეობას, მჭედლობას, ზეინკლობასა და მსგავს ხელობებს. 1869 წელს თბილისში „ქალთა სახელოსნო სკოლაც“ დაარსდა, 1870 წელს კი მსგავსი ტიპის სახელოსნო სკოლები პატარძეულის, მარტყოფისა და დუშეთის დაწყებით სკოლებთანაც დაუარსებიათ.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გ. თავზიშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ განსახილველი პერიოდის საქართველოში პროფესიული სასწავლებლების დასაარსებლად მაშინდელი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებანი უპირველეს ყოვლისა იმხანად მოღვაწე დიდ ქართველ მამულიშვილთა აქტიურობის ნაყოფს წარმოადგენდა. მართალია, მათი ამგვარი აქტიურობის შედეგად საქართველოში იმხანად რამდენიმე ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი კი დაარსდა, მაგრამ ამ სასწავლებელთა რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ იქ მომზადებულ სპეციალისტებს შესაბამის სფეროებში ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება არ შეეძლოთ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც გიორგი თავზიშვილმა ქართველ „სამოციანელთა“ პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს მიაქცია

განსაკუთრებული ყურადღება, ქალთა განათლება იყო. მიუხედავად იმ დიდი პატივისცემისა და უფლებრივი თვალსაზრისით არადისკრიმინაციული დამოკიდებულებისა, რომელსაც ქართველი საზოგადოება ოდითგანვე იჩენდა ქალის მიმართ, XIX საუკუნის საქართველოში არსებული მდგომარეობა ამ მხრივ ბოლომდე დამაკმაყოფილებელი მაინც არ ყოფილა და ქალი, სხვა უფლებრივ შეზღუდვებთან ერთად, სწავლა—განათლების მხრივაც იმყოფებოდა დისკრიმინაციულ პირობებში.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ საქართველოში სახელმწიფოს დაფინანსებით გახსნილი პირველი ქალთა სასწავლებელი მხოლოდ 1830 წელს შეიქმნა თბილისში. თავდაპირველად იგი „კეთილშობილ ქალთა პანსიონის“ სახელწოდებით გაიხსნა. 1838 წელს კი ხსენებულ სასწავლებელთან ერთად ქალთა პანსიონიც დაარსდა და აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას „კავკასიის აქეთა მხარის საქალებო ინსტიტუტი“ ეწოდა (თელია, 1987: 70).

ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული იმ შემზღუდველი დამოკიდებულებით, რომელსაც ქალთა მიმართ იჩენდა იმჟამინდელი რუსეთის იმპერიის ხელისუფლება. იმის გამო, რომ საქართველო მაშინ რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანას წარმოადგენდა და მისი საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად იყო დამორჩილებული რუსეთში იმხანად არსებულ სასწავლო პოლიტიკას, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ ქალებსაც ამგვარ დისკრიმინაციულ გარემოში უხდებოდათ ცხოვრება.

გ. თავზიშვილი ქართველ მკვლევართაგან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სიღრმისეულად შეისწავლა ქალთა განათლებასთან იმდროინდელ საქართველოში არსებული მდგომარეობა და გარდა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევისა, ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ პიროვნებათა პედაგოგიკური ნააზრევიდანაც მრავლად მოიშველია იმის მაგალითები, როგორ პროგრესულად აზროვნებდნენ ისინი და აქტიურად იღვწიოდნენ ქალთა განათლების დონის

ასამაღლებლად და ამ თვალსაზრისით არსებული დისკრიმინაციული პირობების გასაუქმებლად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ქალთა განათლებისადმი, რაც გ. თავზიშვილმა ცალკე ქვეთავადაც გამოყო ილიას პედაგოგიკური იდეების გასაანალიზებლად დაწერილ თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში. აღნიშნული საკითხის განხილვის დროს გ. თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქალთა განათლებასთან დაკავშირებული თავისი პროგრესული იდეებით ილია პრინციპულად დაუპირისპირდა იმდროინდელი საზოგადოების უდიდესი ნაწილის რეაქციულ შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი თავისი ინტელექტუალური განვითარების დონით მამაკაცს აშკარად ჩამორჩებოდა და მის უმთავრეს მოვალეობას მხოლოდ ოჯახური საქმიანობა წარმოადგენდა და არა საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ილიასათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ქალთა ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და მათი მოქალაქეობრივი როლის ამგვარი შეფასება. როგორც გ. თავზიშვილმა დიდი მოაზროვნის ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან მოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით გვიჩვენა, ილია უკომპრომისოდ დაუპირისპირდა ასეთი რეაქციული შეხედულებების მქონე პიროვნებებს და მთელი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდა ქალთა უფლებების დასაცავად. კერძოდ, ამ ბრძოლის უმთავრეს გამოვლინებად იქცა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესში ქალთა შეუზღუდველი ჩართვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მათი გააქტიურების მოთხოვნა.

აღნიშნულ საკითხთა საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად გ. თავზიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებთ ფრაგმენტს ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკური იდეების შესასწავლად დაწერილი მისი ფუნდამენტური ნაშრომიდან: „ქალთა განათლების საკითხს ილია ჭავჭავაძე არასოდეს არ თიშავდა სახალხო განათლების საერთო საკითხებიდან. ყოველივე ის, რასაც ილია წერდა და ლაპარაკობდა ბავშვთა და მოზარდთა აღზრდა-განათლების შესახებ, ეხება

როგორც ვაჟს, ისე ქალს. ხალხის მომავლის შემქმნელ კარგად აღზრდილ ახალ თაობაში ილია ვაჟთან ერთად გულისხმობდა ქალსაც და უკანასკნელის აღზრდა-განათლებას ზოგადი მიზნებისა და ორგანიზაციის მხრივ არ ასხვავებდა ვაჟის აღზრდის ზოგადი მიზნებისა და აღზრდის პროცესის მიზნებისაგან“ (თავზიშვილი, 1977: 237).

ქალისა და კაცის სწავლა-განათლებასთან და საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში ქალთა შეუზღუდველ მონაწილეობასთან დაკავშირებით ილიას მიერ გამოთქმული მოსაზრებათა შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დიდი მწერლის თანამედროვეთა უდიდესი ნაწილი სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა და ქალის ერთადერთ მოვალეობად ოჯახურ საქმიანობას მიიჩნევდა.

ქალთა სწავლა-განათლებასთან და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე გააქტიურებასთან დაკავშირებულ საკითხთა განხილვის დროს გ. თავზიშვილი არა მარტო შესაბამისი პერიოდის დიდ ქართველ მამულიშვილთა მოსაზრებებს აანალიზებდა, არამედ დღესდღეობით ნაკლებად ცნობილ პიროვნებათა ნააზრევსაც. მაგალითად, მან პირველად მიაქცია ყურადღება XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სრულიად უცნობ პიროვნებას, ქუთაისელ პეტრე ჩარექიშვილს და ჟურნალ „ცისკრის“ 1862 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებული მისი ვრცელი წერილის გაანალიზების საფუძველზე ნათლად წარმოაჩინა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების პროგრესული ნაწილის აქტიური მცდელობა ქალთა განათლების გზაზე არსებულ შეზღუდვათა დასაძლევად.

გ. თავზიშვილის აზრით, პ. ჩარექიშვილის წერილის ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მისმა ავტორმა სწორად განსაზღვრა ის გზა, რითაც უნდა მომხდარიყო ქალთა საგანმანათლებლო დონის სრულყოფა და სასურველ დონეზე აყვანა. კერძოდ, პ. ჩერქეზიშვილის მართებული მოსაზრებით, ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ეს პროცესი სამი უმთავრესი პრინციპის დაცვით იქნებოდა განხორციელებული – „ფიზიკურთა, ზნეობითთა და გონებითთა ძალთა მისთა“ ჰარმონიული შერწყმით ერთმანეთთან (ჟურნ. „ცისკრი“, 1862: 303).

პ. ჩარექიშვილისა და იმხანად მოღვაწე სხვა ქართველ მოღვაწეთა მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული ამგვარი მოსაზრებებისა და რეალურად არსებული ვითარების ერთმანეთთან შეპირისპირებამ გ. თავზიშვილი კიდევ ერთხელ დაარწმუნა იმაში, რომ იმდროინდელი სასწავლო დაწესებულებანი „სრულებით ვერ ასრულებდნენ ქალთა რაციონალური აღზრდის საქმეს ვერც ფიზიკური, ვერც ზნეობრივი და ვერც გონებრივი აღზრდა—განათლების მხრივ“ (თავზიშვილი, 1977: 30).

იმჟამინდელი ჩვენი მოღვაწეების უდიდეს ნაწილს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის ეს ნაკლოვანება კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და როგორც გ. თავზიშვილის გამოკვლევის ამ ნაწილში დამოწმებული პუბლიკაციებით ვრწმუნდებით, ისინი ყველაფერს აკეთებდნენ მის დასაძლევად. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, ქალთა და ვაჟთა განათლება თანასწორობის პრინციპის საფუძველზე რომ უნდა მომხდარიყო და ამ მიმართულებით მათ შორის არანაირი შეზღუდვა არ უნდა არსებულიყო. გ. თავზიშვილის მტკიცებით, სხვა დიდმნიშვნელოვან საქმეებთან ერთად, ამ იდეის „პრაქტიკული განხორციელებისთვის აქტიურ ბრძოლას“ საქართველოში სწორედ XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა სწორედ ასეთი აქტიურობის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული სხვადასხვა ტიპის ქალთა სკოლები არა მარტო თბილისში დაარსდა, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. კერძოდ, 1860 წელს – პირველი ქალთა სკოლა თბილისში, 1865 წელს – ქალთა ელემენტარული სკოლა ქუთაისში, 1865 წელს – ქალთა პირველი თანრიგის ღია სახელმწიფო სასწავლებელი თბილისში, 1867 წელს – ე. წ. „ნასადილევის კლასები“ ქალთათვის გორის სამაზრო სასწავლებელთან.

როგორც ჩვენი ქვეყნის სიძველეთა საცავებში დაცული საარქივო დოკუმენტებითაც თვალწათლივ ჩანს, იმდროინდელი ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი აქტიურად ცდილობდა ქართული საგანმანათლებლო სისტემის ამ მხარისთვის მყარი საფუძვლის შექმნასა და თვისებრივად მაღალ დონეზე აყვანას. მაგალითად, აი, რა

ინფორმაციას ვხვდებით ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებში ამასთან დაკავშირებით: ქალთა კეთილდღეობის საზოგადოების ქუთაისის გამგეობის მაშინდელი თავმჯდომარის - პ. წერეთლის, ქალაქის თავის - დ. აბაშიძის, ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორის - ლევანდისა და გუბერნიის თავადაზნაურთა წინამდღოლის - ნ. წერეთლის გადაწყვეტილებით, ხელისუფლების წინაშე დაისვა საკითხი, ქუთაისში არსებულ ქალთა სასწავლებლის ბაზაზე საქალებო გიმნაზია გახსნილიყო (ქცსა, ფონდი 15, საქმე 96, ფურცელი 2).

საბედნიეროდ, მათი ეს მოთხოვნა რეალობად იქცა და 1878 წლის 8 სექტემბერს ქუთაისში მართლაც გაიხსნა ქალთა საქალებო გიმნაზია, სადაც 1879 წლის 1 იანვრისთვის ქალ მოსწავლეთა რაოდენობამ 160-ს მიაღწია (ქცსა, ფონდი 15, საქმე 96, ფურცელი 2).

გარდა დასახელებული სასწავლებლებისა, ხსენებული პერიოდის საქართველოში ქალთა რამდენიმე სახელოსნო სკოლაც დაარსდა. ერთ-ერთი მათგანი იყო თბილისში, ნიკოლოზის სახელობის სასწავლებელთან, 1868 წელს გახსნილი ქალთა სახელოსნო განყოფილება 50 მოსწავლისათვის, სადაც ელემენტარული განათლების მიღებასთან ერთად მოსწავლეები ასევე ეუფლებოდნენ ტანსაცმლის, თეთრეულის, ქოშებისა და ხელთათმანების კერვასა და სხვა წვრილმან ხელობას.

მიუხედავად ქალთა საგანმანათლებლო დაწესებულებათა დასაარსებლად მიღწეული ამგვარი წარმატებებისა, გ. თავზიშვილი საბოლოოდ სავსებით მართებულად მიიჩნევდა, რომ საქართველოში იმხანად დაფუძნებული ქალთა სასწავლებლები „ჯერ კიდევ ძალიან სუსტი და უმწეონი იყვნენ როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით“ (თავზიშვილი, 1977: 36).

გარდა იმისა, რომ ქალთა იმჟამინდელ სასწავლებლებში არსებულ საგანმანათლებლო და აღმზრდელობით დონეს გ. თავზიშვილი ასეთი შეფასებას მათში მიმდინარე სასწავლო პროცესთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტური მასალებისა და სასწავლო პროგრამების გაანალიზების შედეგად აძლევდა, ამ

შემთხვევაში იგი მაშინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ პუბლიკაციებსაც ემყარებოდა.

მაგალითად, გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ „ეს სასწავლებლები დიდი ხანია არსებობდნენ, მათ არ უჩუქებიათ საზოგადოებისათვის: არც ერთი დედა, გამოჩენილი, გონიერი აღმზრდელი, არც ერთი მასწავლებელი, შესამჩნევი მხნეობითა, სიმარჯვითა და კეთილნაყოფიერი მოქმედებით, არც ერთი მოღვაწე ჩვენი მწერლობისა და ლიტერატურისა“ („დროება“, 1881, # 85).

ანალოგიურად მკაცრ შეფასებას აძლევდა აღნიშნულ სასწავლებლებს გაზეთი „ივერიაც“ (1891 წ. # 117). გაზეთის შემოქმედებითი კოლექტივის შეფასებით, საქართველოში იმხანად არსებულ ქალთა სასწავლებლებთან დაკავშირებული მოლოდინი იმისა, რომ ამ სასწავლო დაწესებულებათა საშუალებით „აღიზრდებოდნენ ნამდვილი განათლებული ქართველი ქალები დემოკრატიული მიმართულებისანი,“ „ფუჭად დარჩა. არც ერთი იმედი საზოგადოებისა არ იქნა შესრულებული. ეს სასწავლებლები ზრდიდნენ ნამდვილ გონიერ ქართველ დედებს კი არა, რაღაც დამახინჯებულ რუსინკებსა, რომელთაც არც ქართული იცოდნენ ხეირიანად და არც რუსულში იყვნენ დახელოვნებულნი, რომელთაც სამშობლო თითქმის სძულთ და კაცობრიობა, რასაკვირველია, არაფრად ეპიტნავებათ.“

სსენებული პერიოდული ორგანოების მესვეურთა მიერ იმჟამინდელი ქალთა სკოლებისადმი ამგვარი სიმკაცრითა და პირუთვნელობით გამოხატულ ნეგატიურ დამოკიდებულებას განსაკუთრებულ სიმწვავეს სძენდა ის ფაქტი, რომ ამ მოსაზრებათა უკან აღნიშნულ გაზეთთა ისეთი მესვეურები იდგნენ, როგორებიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი და სხვები.

განსახილველი ნაშრომის ერთ-ერთ თავში გიორგი თავზიშვილმა მდიდარ საარქივო და წყაროებზე დაყრდნობით კონკრეტული მონაცემებიც მოგვაწოდა XIX საუკუნის 60–იან წლებში არსებული ყველა ტიპის სასწავლებლების შესახებ. როგორც მათი მეშვეობით ირკვევა, იმდროინდელ საქართველოში აშკარად გამოიკვეთა კერძო

სკოლებისა და პანსიონების ზრდის ტენდენცია. ეს გარემოება იმით იყო განპირობებული, რომ „სახელმწიფო და ოფიციალური სკოლების სიმცირე განათლებაზე ხალხის მზარდ მოთხოვნილებებს“ უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა.

სხვადასხვა ტიპის სკოლები და პანსიონები ხსენებულ პერიოდში არა მარტო თბილისში გახსნილა საკმაო რაოდენობით, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა დასახლებულ პუნქტებშიც. კერძოდ, გ. თავზიშვილის ინფორმაციით, „ცალკე პანსიონები და კერძო სკოლები 60–იან წლებში, გარდა თბილისისა, დაარსდა აგრეთვე ქუთაისში, გორში, სოხუმში და სხვაგან.“

გ. თავზიშვილმა იმ გარემოებასაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, რომ XIX საუკუნის 60–იან წლებში ორი ფრანგულენოვანი სკოლა-პანსიონიც დაუარსებიათ თბილისში. როგორც მკვლევარმა საგანგებოდ მოძიებული მათი სასწავლო გეგმების საფუძველზე გაარკვია, ხსენებულ სკოლებში გარდა ფრანგული ენისა, გერმანული და ინგლისური ენებიც ისწავლებოდა საკმაოდ მაღალ დონეზე. ამ სკოლების დამაარსებლები ყოფილან იმხანად თბილისში მცხოვრები უცხოელი მოქალაქეები: შარლე და ფულკი.

მიუხედავად უაღრესად მკაცრი იმ ცენზურული კონტროლისა და მკვეთრად გამოხატული პრორუსული იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა პერიოდის საქართველოში არსებობდა, გიორგი თავზიშვილი თავის ხსენებულ ნაშრომში და მთელს მის მეცნიერულ მემკვიდრეობაშიც მკაცრად აკრიტიკებდა მაშინდელი ხელისუფლების დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ქართული ენისა და ჩვენი ეროვნული ინტერესებისადმი.

როგორც მკვლევარმა მის მიერ მოძიებულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენა, ხსენებულ პერიოდში მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა და პედაგოგთა აქტიური მცდელობის მიუხედავად, მაშინდელ სკოლებში ქართული ენა, ისტორია და ლიტერატურა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ამ სასწავლებელთა უდიდესი ნაწილის სასწავლო გეგმების შესაბამისად, არათუ ხსენებული საგნების

სწავლება არ იყო გათვალისწინებული, არამედ საერთოდ, მშობლიურ ენაზე სწავლის უფლებაც კი იყო აკრძალული.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, იმდროინდელი ქართველი მამულიშვილები აქტიურად იბრძოდნენ ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ და პრინციპულად მოითხოვდნენ ქართულ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვას (ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, საქმე #553, ფონდი 9-10).

გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად ამხელდა ხსენებული პერიოდის რუსული საგანმანათლებლო სისტემის ამ მომაკვდინებელ მანკიერებას, არამედ მრავალი კონკრეტული დოკუმენტიც მოჰქმნდა ამის ნათელსაყოფად. მაგალითად, „1867 წლის ანგარიშში კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოადგილე ილიაშენკო მწუხარებით აღნიშნავდა, რომ „თბილისშიაც კი, რომელმაც ამიერკავკასიის ქალაქებიდან ყველაზე უფრო მეტად შეითვისა რუსული ცივილიზაცია, ბავშვებმა ძალიან ცუდად იცოდნენ რუსული ენა, ხოლო ადგილობრივი ენები თავისუფლად.“ აქედან გამომდინარე, იგი აუცილებლად თვლიდა, პანსიონების დაარსება, სადაც თავიანთ ოჯახებს მოწყვეტილ ბავშვებს ქართულ (ისევე როგორც სხვა ადგილობრივ) ენაზე საუბრის შესაძლებლობა უკვე აღარ ექნებოდა და ამ გზით ისინი უკეთ შეისწავლიდნენ რუსულს“ (თავზიშვილი, 1977: 41).

იმხანად ფართოდ დამკვიდრებული ამგვარი რუსიფიკატორული პოლიტიკის ერთ-ერთ განსაკუთრებით საშიშ გამოვლინებად გ. თავზიშვილი იმასაც მიიჩნევდა, რომ იმდროინდელ ქალთა პანსიონებში ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა მოსწავლეებს საერთოდ დავიწყებოდათ მშობლიური ენა. მკვლევრის ხაზგასმით, „შორსმჭვრეტელი კოლონიზატორები“ ასე პირველ ყოვლისა იმიტომ იქცეოდნენ, რომ „თუ მომავალ ქართველ (და საერთოდ ყველა არარუს) დედას მშობლიური ენა არ ეცოდინებოდა, მისი შვილებიც ვეღარ ისწავლიდნენ მას ოჯახში და სკოლაც უკვე „გარუსებულ“ ბავშვებს მიიღებდა... სწორედ ეს იყო მთავარი და არსებითი მეფის

ტახტიშვილის „ერთგული ბიუროკრატიისათვის“ XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში.

გ. თავზიშვილის სამეცნიერო ნაშრომის ღირსება ისიც არის, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უმკაცრესი ფორმით გამტარებელ შავრაზმელ ხელისუფალთა გვერდით იგი იშვიათად არსებულ იმ რუს პედაგოგებსაც ასახელებდა, რომლებიც ამ პოლიტიკის პრინციპულ მოწინააღმდეგებს წარმოადგენდნენ და მშობლიურ ენათა დამცველის როლში გამოდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო დიდი რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი, რომლის მოსაზრებასაც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გ. თავზიშვილი ასეთ შეფასებას აძლევს:

„მშობლიური ენის მნიშვნელობა ბავშვთა აღზრდის პროცესში კ. დ. უშინსკიმ დაასაბუთა ისე, როგორც არავინ მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიაში. ბავშვის ყოველმხრივ შესწავლა, როგორც პედაგოგიკის საგანი, მისი ფსიქიკის შესწავლით უნდა დაიწყოს. ხოლო ამ ფსიქიკის „გასაღები“ ბავშვის დედაენაა. უშინსკის თქმით, „ბავშვისათვის მშობლიური ენა არის მის ირგვლივ არსებული ბუნებისა და ცხოვრების საუკეთესო განმმარტებელი“ და ცოდნის შეძენის ყველაზე უკეთესი საშუალება. ამიტომ მეცნიერული დისციპლინების შესწავლა დედაენაზე და, საერთოდ, ბავშვის განვითარება მშობლიური ენის საშუალებით – უშინსკის პედაგოგიკის უმთავრესი მიზანია“ (თავზიშვილი, 1977: 100).

ყოველი დიდი პედაგოგისათვის უდაოდ მისაღებ კ. უშინსკის ამ მოსაზრებას გ. თავზიშვილი ორი უმთავრესი გარემოების გამო აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას: პირველი, იმიტომ, რომ რუსული კოლონიალიზმის მძვინვარების პერიოდში ხელისუფლება პრინციპულად და მიზანმიმართულად არ იცავდა ამ ფუძემდებლურ საგანმანათლებლო პრინციპს საქართველოში და სასწავლო პროცესს მხოლოდ რუსულ ენაზე წარმართავდა, რათა ამ გზით მოსახლეობის ტოტალური რუსიფიკაციისთვის კიდევ უფრო დიდი მასშტაბები მიეცა. და მეორე, ჩვენს ქვეყანაში სამუშაოდ წარმოგზავნილ რუს ხელისუფალთა და პედაგოგთა შორის ისეთები, რომლებიც უშინსკის ამ შეხედულების თანამოაზრენი იქნებოდნენ და ქართველი

ერისა და მისი მშობლიური ენისადმი პატივისმცემლური დამოკიდებულებით იქნებოდნენ განმსჭვალულნი, სანთლით იყვნენ საძებარნი.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ცნობილი მკვლევრის – ვ. გაგუას მტკიცებით, ერთ-ერთი მათგანი იყო ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი XIX საუკუნის 70-იან წლებში ა. სტოიანოვი, „რომელიც თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში ხელმძღვანელობდა საღი პედაგოგიური მოსაზრებით და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მისდამი დაქვემდებარებულ გიმნაზიაში ქართული ენის სწავლებას. სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ის წერს: „პირველდაწყებითი განათლების საკითხთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქუთაისის გიმნაზიაში ქართული ენის სწავლება... ეჭვს არ იწვევს ის, რომ პირველდაწყებითი განათლება ბავშვებისა, რომლებსაც არც ერთი სიტყვა არ ესმით რუსულად, უნდა წარიმართოს მშობლიურ ენაზე... საკითხის სხვაგვარად დაყენება აბსურდი იქნება... მე უფრო შორსაც მივდივარ: ძველი ქართული დამწერლობისა და თხზულებათა ნიმუშების შესწავლას უნდა მიეჩინოს ადგილი გიმნაზიის უფროს კლასებში და მისი სწავლება უნდა მიენდოს უმაღლესი განათლების მქონე ადგილობრივ პირს“ (გაგუა, 1974: 183).

ის გარემოება, რომ სწავლების ეს ფუძემდებლური პრინციპი რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად და ტოტალურად იყო უარყოფილი, ბუნებრივია, ჩვენი საზოგადოების უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა და ქართველი მოღვაწენი და პედაგოგები უკომპრომისოდ იბრძოდნენ ამ მავნე პოლიტიკის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში ქართული ენის სწავლებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობიდან პირველივე წლებიდან დაიწყო, ამ სამწუხარო მოვლენამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები XIX საუკუნის 60-70-იან წლებიდან შეიძინა. კერძოდ, 1873 წელს გამოცემული კანონით იმპერიულმა ხელისუფლებამ ოფიციალურად აკრძალა სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლება და სწავლების

ერთადერთ ენად მხოლოდ რუსული იქნა დაკანონებული, რასაც იმხანად მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა მკაცრი პროტესტი მოჰყვა.

როგორც უკვე აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ, XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში სხვადასხვა ტიპის არაერთი სკოლა და პანსიონი დაარსდა, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, იმდროინდელი ქართველი მოღვაწეები გულისტკივილით აღნიშნავდნენ იმ გარემოებას, რომ სწავლების დონე მათში დაბალი იყო და სასურველ მოთხოვნებს ნაკლებად, ანდა საერთოდ არ შეესაბამებოდა.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნა XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში არსებულ სკოლებსა და მოსწავლეთა რაოდენობაზე, გ. თავზიშვილი საქართველოს ცენტრალურ სახელმწოფო არქივში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით 1865 წელს ჩვენ ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვითაც გვაწვდის კონკრეტულ მონაცემებს სკოლების რაოდენობის, სახეობებისა და მოსწავლეების შესახებ. როგორც ამ მონაცემებიდან ირკვევა, ხსენებული დროისათვის საქართველოში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 11 868 ყოფილა. მათგან თბილისში არსებულ ვაჟთა ორ გიმნაზიაში სწავლობდა 875 მოსწავლე, ქუთაისში არსებულ ვაჟთა ერთ გიმნაზიაში კი 587.

გ. თავზიშვილი ასეთივე კონკრეტული რიცხობრივი მონაცემებით ნათელყოფს იმ მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებიც იმხანად საქართველოში არსებულ სასულიერო, სამხედრო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, დაწყებით და სხვა ტიპის სასწავლებლებში იღებდნენ განათლებას.

XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათების დროს გ. თავზიშვილმა სკოლამდელი აღზრდის საკითხსაც მიაქცია ყურადღება და სათანადო წერილობით წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნათლად წარმოაჩინა ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა. როგორც მან, ერთ-ერთმა პირველმა ქართული პედაგოგიკის მკვლევართაგან, ხსენებული მასალების საფუძვლიანად შესწავლის შედეგად გაარკვია, სკოლამდელი აღზრდა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად ჩამორჩენილ საგანმანათლებლო

სფეროს წარმოადგენდა და მსგავსი ტიპის თუნდაც ელემენტარული სასწავლო დაწესებულება საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებამდე არ შექმნილა.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, ხსენებული დროისათვის ასეთი დაწესებულების შექმნის განმაპირობებელ ფაქტორად საფაბრიკო-საქარხნო წარმოების განვითარება იქცა, რამაც „ბუნებრივად მოითხოვა ქალის, როგორც იაფი მუშახელის, გამოყენება. იმისთვის, რომ მას შესაძლებლობა ჰქონოდა სახელოსნოებში და ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობა, აუცილებელი იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელის შექმნა, რომელსაც უნდა ეკისრა მშრომელ ქალთა მცირეწლოვანი შვილების მოვლა-პატრონობა მათ მშობელთა მუშაობის მთელი დროის განმავლობაში“ (თავზიშვილი, 1977: 55).

სწორედ ეს მდგომარეობა გახდა უმთავრესი საფუძველი იმისა, რომ ხსენებული დროიდან მოყოლებული, თბილისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში სკოლამდელ დაწესებულებათა შექმნის პროცესს ჩაეყარა საფუძველი. გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად მსჯელობს ამ საკითხზე, არამედ კონკრეტულადაც ასახელებს ამ ტიპის სასწავლებლებს და სათანადოდ განმარტავს და ახასიათებს იქ არსებულ აღმზრდელობით პრინციპებს.

მისი შეფასებით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა უმეტესობა იმხანად ფაქტობრივად ბავშვთა თავშესაფრებს წარმოადგენდა, სადაც მზრუნველობასა და მეთვალყურეობას უწევდნენ იმ ხალხის მცირეწლოვან შვილებს, რომლებიც მუშაობდნენ და მათზე ზრუნვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ასეთი თავშესაფრები და სკოლამდელი აღზრდის მსგავსი დაწესებულებანი თბილისში რამდენიმე იყო. პირველი მათგანი – მცირეწლოვან ბავშვთა თავშესაფარი – 1859 წელს გაიხსნა, მეორე – 1865 წელს; 1868 წელს დაარსდა ორი საბავშვო ბალი და ა. შ.

როგორც იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა ნაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, ისინი აქტიურ მხარდაჭერას გამოხატავდნენ ამგვარი სასწავლო დაწესებულებების გახსნასთან დაკავშირებით. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევდა ამ მოვლენას გიორგი წერეთელი: „ღმერთმან წარუმართოს ხელი იმ პირებსა, რომელთაც ჰსურთ

ტფილისში გახსნან საყმაწვილო ბაღი ჩვენის ახალგაზრდობის საკეთილდღეოდ“ (გაზ. „დროება,“ 1868 წ. #19).

შემდეგი საკითხი, რომელიც გ. თავზიშვილმა XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათების დროს ცალკე პარაგრაფად გამოჰყო, სკოლისგარეშე განათლება იყო. ამ საკითხის განხილვის დროს მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისეთ მოვლენას, როგორიც იყო ხსენებული პერიოდისათვის საკვირაო სკოლების გახსნა. როგორც გ. თავზიშვილმა სათანადო დოკუმენტური წყაროების შესწავლის შედეგად გაარკვია, ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაში 50-იანი წლების მიწურულიდან იწყება. როგორც მკვლევარმა სათანადო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია, საკვირაო სკოლებში ძირითადად მოზრდილები და სასკოლო ასაკს გადაცილებულები დადიოდნენ და ეუფლებოდნენ წერა-კითხვასა და ელემენტარულ მათემატიკას. ზოგიერთ მათგანში კი ასევე ასწავლიდნენ ისტორიას, გეოგრაფიასა და სხვა ზოგასაგანმანათლებლო საგნებსაც.

ამ მოვლენას, როგორც ჩვენი ხალხის საგანმანათლებლო დონის რამდენადმე მაინც ასამაღლებელ საშუალებას, საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდნენ ქართველი „სამოციანელები“. ამასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი წერდა: საკვირაო სკოლებში „სწავლა მხოლოდ კვირაობით და უქმე დღეებში იმართება. საკვირაო სკოლები იხსნება იმ მოზრდილ ყრმათათვის, რომელთაც სამუდამო სკოლა არ ღირსებიათ და დიდებისათვის, რომელნიც სწავლის წადილს მოკლებულნი არიან. ამ სკოლებში დაიარებიან როგორც მამრობითი სქესის პირნი, ისე მდედრობითისა. მოსწავლენი იკრიბებიან და სწავლა იმართება სამუდამო სკოლების კლასებში, რომელსაც ამ სკოლის მთავრობა დიდი სიამოვნებით უთმობს, რადგან კვირაობით საკლასო ოთახები ცარიელია... კურსი ამ სკოლებისა მარტივია. ასწავლიან მხოლოდ წერა-კითხვასა, პირველს – დაწყებითს ანგარიშსა, საღმრთო ისტორიასა“ (გოგებაშვილი, 1952: 272).

ნიკო ნიკოლაძე კი წერდა: „ორმოცდაათიანი წლების დამლევს ახალგაზრდებმა თითქმის ყველგან დაარსეს საკვირაო სკოლები, სადაც ხელოსნებისა და საერთოდ

მშრომელი ხალხისათვის წერა-კითხვა და მეცნიერების ელემენტარული ცნობები უნდა ესწავლებინათ. მთავრობის მიერ შევიწროებათა გამო საკვირაო სკოლები ფრიად სამწუხარო მდგომარეობაში ჩავარდნენ: მათ ათასგვარ მავნე განზრახვას აბრალებდნენ, ფეხდაფეხ დასდევდნენ, ზედამხედველებად უნიშნავდნენ გიმნაზიის დირექტორებს, ხუცებს და მსგავს უვიცებს, რომელთა მოვალეობა იყო, სადაც ჯერ არს, დაებეზღებინათ მუქთი მასწავლებელი, თუ იგი ვითომდა კანონის საწინააღმდეგო სიტყვას იტყოდა“ (ნიკოლაძე, 1931: 229).

როგორც გ. თავზიშვილმა გაარკვია, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან ამგვარი დევნა-შევიწროებისა, საკვირაო სკოლები ხსენებულ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ბევრ ქალაქში დაარსდა.

გარდა ზემოთ უკვე განხილული საკითხებისა, XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის სიღრმისეულად შესწავლის დროს გიორგი თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცია იმდროინდელი საგანმანათლებლო სისტემის წმინდა პედაგოგიკური მხარე.

როგორც ცნობილია, მაშინდელ საქართველოში არსებული სწავლა-აღზრდის სისტემა რუსეთიდან იმართებოდა და ამ საქმეს უმთავრესად ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების მიერ დანიშნული არაქართველები ედგნენ სათავეში. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო სისტემა იმპერიულ ინტერესებს იყო მორგებული და ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად იზღუდებოდა. ამის ერთ-ერთ უმთავრეს გამოვილინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ამ სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ქართული ენა კი ან მთლიანად იყო განდევნილი, ანდა მოსწავლეთა ნაწილს მისი, როგორც არჩევითი საგნის, ნებაყოფლობით შესწავლა თუ შეეძლო ცალკეულ შემთხვევებში.

ასეთივე დამოკიდებულება არსებობდა ყოველივე ეროვნულისადმი. ეს გარემოება იმდროინდელ ქართველ პედაგოგთა და მოღვაწეთა უდიდეს აღშფოთებას იწვევდა და ისინი აქტიურად იბრძოდნენ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გიორგი თავზიშვილის ნაშრომის დირსება ისიც არის, რომ მან აღნიშნული მიმართულებით არსებული ვითარების სიღრმისეულად წარმოსაჩენად ბევრი ახალი მასალა მოიძია როგორც ხსენებულ პიროვნებათა წერილობითი მეკვიდრეობიდან და არქივებიდან, ისე მაშინდელი სასწავლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებიცა და პროგრამებიც შეისწავლა და ამ გზით ნათლად გვიჩვენა, როგორ ტოტალურად დევნიდა ხელისუფლება ყოველივე ქართულს მაშინდელი სკოლებიდან. ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი კი მოზარდი თაობის არაქართული სულისკვეთებით აღზრდა და გარუსება წარმოადგენდა.

იქიდან გამომდინარე, რომ გ. თავზიშვილის ნაშრომი საბჭოთა ეპოქაში დაიწერა, სამწუხაროდ, მის ცალკეულ ეპიზოდებში, იშვიათად, მაგრამ მაინც, იგრძნობა იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეგავლენა. ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, როგორც ცნობილია, ღვთაებრივი რწმენის უარყოფა წარმოადგენდა და ცხოვრების ყველა სფეროდან, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემიდანაც, ხელაღებით იყო განდევნილი ყოველგვარი რელიგიური ელემენტი.

ამ გარემოებას იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის შესწავლის დროს გ. თავზიშვილი ნეგატიურ შეფასებას აძლევდა რელიგიური ფაქტორის როლს იმდროინდელ სწავლებაში და პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რელიგიასა და სწავლებას შორის ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობის არსებობას.

აქედან გამომდინარე, იგი კატეგორიულად უარყოფდა იმ ავტორთა შეხედულებებს, რომლებიც რელიგიასა და საგანმანათლებლო სისტემას შორის მჭიდრო კავშირის არსებობას მოითხოვდნენ. გ. თავზიშვილის მტკიცებით, მათი ეს მოთხოვნა ევროპული განათლების პროგრესულ თეორიებს ეწინააღმდეგებოდა და თავისი რეგრესულობის გამო მიუღებელი იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

სწორედ ამ მოსაზრების ნათელსაყოფად იმოწმებს გ. თავზიშვილი ჟურნალ „ცისკრის“ 1861 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულ ალექსანდრე სულხანოვის (სულხანიშვილის) წერილს, სადაც ავტორს ასეთი მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული:

„უპირველესი მიზეზი წეს-შეშლილობისა დასავლეთის ევროპაში არის უძველად ნაკლებობა სარწმუნოებისა, ამასთან ესეც, რომ მუნ აღიზრდების ყრმა ცრუ მცნობელობითა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენში განათლება არის მიწევნულ იმ სიმაღლესა, საიდანაც იგი განანათლებს ადამიანთა და არა თვალბნელ ყოფს. უფალმან ინებოს მტკიცება აწინდელის ჩვენი განათლებისა და დაგვამყაროს წესსა შინა ჩვენის სარწმუნოებისასა და თვითმპურობელობისასა.“

დამოწმებული ფრაგმენტისათვის გაკეთებულ კომენტარში გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ „ალ. სულხანიშვილისა და „ცისკრის“ ზოგიერთ სხვა თანამშრომელთა აზრი ჩვენში ევროპული განათლების შემოღების წინააღმდეგ და ახალთაობის აღზრდის საფუძვლად ქრისტიანული სარწმუნოების აღიარების შესახებ, უძველია, წარმოადგენდა ხანდაზმული ფეოდალური წრეებისა და რეაქციული სამღვდელოების სულისკვეთებას სახალხო განათლებისა და მეცნიერების დარგში“ (თავზიშვილი, 1977: 65).

XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის შეფასების დროს გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ამ სისტემისათვის ფართოდ დამახასიათებელი ნეგატიური ნიშან-თვისებები არსებითად იყო განპირობებული პედაგოგიური კადრების ნაკლები პროფესიონალიზმით. მისი მტკიცებით, მასწავლებელთა მომზადების საქმე იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ დაბალ დონეზე იდგა და მათი „დიდი უმრავლესობა არ შეეფერებოდა თავის საპატიო მოვალეობას“.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, ამას ემატებოდა ისიც, რომ იმდროინდელ საქართველოში არც მათი რაოდენობა იყო საკმარისი და მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობას ბევრი სკოლა განიცდიდა. ამ მოსაზრების დასტურად გ. თავზიშვილი საფუძვლიანად განიხილავდა და კრიტიკულად აანალიზებდა იმდროინდელ საქართველოში არსებული ყველა იმ სასწავლებლის სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, რომლებიც პადაგოგიურ კადრებს ამზადებდნენ. კერძოდ, ამ თვალსაზრისის ნათელსაყოფად მონოგრაფიაში კრიტიკულადაა გაანალიზებული

შემდეგ სასწავლებლებში არსებული სასწავლო სისტემა: თბილისის პირველი თანრიგის პედაგოგიური განხრის ქალთა სასწავლებელი (გაიხსნა 1865 წ.), რომელიც კურსის დასრულების შემდეგ მოსწავლეს ანიჭებდა „შინაური მასწავლებლის“ წოდებას; ხსენებულ სასწავლებელთან 1869 წელს დაარსებული ქალთა ერთწლიანი პედაგოგიური კურსები; თბილისის სამასწავლებლო სკოლა, რომელიც 1866 წელს დააარსა მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ.

იმის გამო, რომ ხსენებულ სასწავლებლებში მომზადებულ პედაგოგთა რაოდენობა მინიმალურ დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებდა მასწავლებლებზე იმხანად არსებულ მზარდ მოთხოვნილებას, გ. თავზიშვილის ხაზგასმით, იმდროინდელ საქართველოში „აღნიშნულ პედაგოგიურ სასწავლებელთა პარალელურად პედაგოგიური განათლების გავრცელებისა და მასწავლებელთა მომზადების საქმეს ხელს უწყობდა აგრეთვე ზოგადი განათლების სასწავლებლებთან არსებული პედაგოგიური კლასები ან კურსები და თბილისის პედაგოგიური კურსები და თათბირები, რომლებსაც სისტემური ხასიათი მიეცა“ (თავზიშვილი, 1977: 89).

გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად აღნიშნავდა ამის შესახებ, არამედ კონკრეტულადაც ასახელებდა ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებს და საფუძვლიანად განიხილადა მათ სასწავლო პროგრამებს. ესენი იყო: 1. წმ. ნინოს სახელობის თბილისის ქალთა სასწავლებლის პედაგოგიური კლასი (დაარსდა 1864 წ.), 2. თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებული პედაგოგიური კურსები (დაარსდა 1866 წ.), 3. პედაგოგიკური თათბირი (დაარსდა 1866 წ.), 4. საზაფხულო პედაგოგიური კურსები (დაარსდა 1867 წ.) და ქალთა პედაგოგიური კურსები (დაარსდა 1868 წ.).

მიუხედავად სამასწავლებლო კადრების მომზადების მიმართულებით არსებული ამდაგვარი აქტიურობისა, მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის დონე მაინც არ იყო დამაკმაყოფილებელი. გ. თავზიშვილი იმდროინდელი ქართული პედაგოგიკური კულტურისა და მასწავლებელთა პროფესიული დონის ჩამორჩენილობას იმით ხსნიდა, რომ „ამ პერიოდამდის ჩვენში არ იყო სპეციალური

პედაგოგიური განათლების სასწავლებლები. მართალია, თბილისის სასულიერო სემინარია, თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიები და წმინდა ნინოს სახელობის თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლები აღნიშნულ პერიოდში ამზადებდნენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებს სამაზრო, სასულიერო და საერო სასწავლებლებისა და სამრევლო სკოლებისათვის, მაგრამ მათ არ ჰქონდათ სპეციალური პედაგოგიური მომზადება და უმრავლეს შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ვერ ასრულებდნენ... ისინი არც რიცხობრივად იყვნენ საკმარისი საქართველოს დაწყებითი სკოლების მზარდი ქსელისათვის“ (თავზიშვილი, 1977: 76).

აღნიშნულ სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად გ. თავზიშვილი საფუძვლიანად აანალიზებს მათ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს და არგუმენტირებულად წარმოაჩენდა ამ გეგმების ნაკლოვან მხარეებს. მაგალითად, თბილისის სამასწავლებლო სკოლაში, რომლის დარსების უმთავრესი მიზანი იყო მასწავლებელთა მომზადება დაწყებითი სკოლებისათვის, პედაგოგიკის კურსის სწავლების დროს თითქმის სრულებით არ იყო გათვალისწინებული თეორიული პედაგოგიკისა და პედაგოგიკის ისტორიის საკითხები.

ამ გაარემოებას გ. თავზიშვილი იმით ხსნის, რომ „ერთი მხრით, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი ზოგადი პედაგოგიკის კურსის შინაარსი, ხოლო, მეორე მხრით – არ იყვნენ პედაგოგიკის კვალიფიციური სპეციალისტები, ლექტორ–მასწავლებლები“. ამას ემატებოდა ისიც, რომ სასწავლო პროგრამით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული კერძო მეთოდიკების სწავლება. ამ საქმის მოგვარება ევალებოდათ შესაბამისი საგნების მასწავლებლებს, რომელთაც მათი საგნის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხოლოდ ამ საგნის სწავლების დროს უნდა მიეწოდებინათ მოსწავლეებისთვის გარკვეული ინფორმაცია.

ხსენებული სასწავლებლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების განხილვის დროს გ. თავზიშვილი მწვავედ აკრიტიკებდა იმ ფაქტს, რომ მათში სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ქართული ენა მთლიანად იყო განდევნილი

სასწავლო პროცესიდან. ერთადერთი კომპრომისი, რომელიც ამ მიმართულებით იყო დაშვებული, მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ქართველ მოსწავლეებს ნებას რთავდნენ, სავალდებულო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, თუ სურვილი ექნებოდათ, ესწავლათ მშობლიური ენა.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ მიზანმიმართულად და ტოტალურად გატარებული ამგვარი რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიურად ილაშქრებდნენ ქართველი ერის ისეთი დიდი შვილები, როგორებიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები.

გ. თავზიშვილის მართებული ხაზგასმით, ასეთ ერთსულოვან და უკომპრომისო ბრძოლას აღნიშნული მოვლენის წინააღმდეგ უმთავრეს საფუძვლად ედო ჩვენი ეროვნული მეობის დაცვა და გადარჩენა. „ჩვენმა მოწინავე ინტელიგენციამ კარგად იცოდა, რომ თუ სახალხო სკოლებს ქართული ენის (დედაენის) მასწავლებლებს არ მოუმზადებდნენ, მომავალი თაობა მშობლიურ ენას დაივიწყებდა, ხალხი გადაგვარდებოდა. ამიტომ იყო, რომ დუმილი და ამ ფაქტისადმი შერიგება მიაჩნდათ მათ „დედ–მამის მკვლელობად“ (თავზიშვილი, 1977: 87).

მეფის დროინდელი რუსეთის იმპერიის რუსიფიკატორული და ანტიეროვნული პოლიტიკის ამგვარი მხილებითა და კრიტიკით, გ. თავზიშვილი საბჭოთა ხელისუფლების დიდმპურობელურ მმართველობით რეჟიმსაც აკრიტიკებდა შენიღბული ფორმით და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი ე. წ. პატარა ერების ეროვნული და ენობრივი უფლებების აქტიურად დამცველის როლშიც გვევლინებოდა. ამის გაკეთება კი იმდროინდელი სახელისუფლებო რეჟიმის პირობებში საკმაოდ სარისკო საქმეს წარმოადგენდა.

გ. თავზიშვილის ნაშრომისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს იმის მტკიცებაც, რომ XIX საუკუნის 60–იანი წლების დამდეგს საქართველოში იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა აქტიური საგანმანათლებლო და

საზოგადოებრივი მოღვაწეობის შედეგად „რეალური პირობები შეიქმნა მეცნიერული პედაგოგიკის აღმოცენებისათვის“ (თავზიშვილი, 1948: 467).

გ. თავზიშვილის მიერ მდიდარი ფაქტობრივი მასალებით მყარად დასაბუთებული ეს მოსაზრება შემდგომში ქართული პედაგოგიკის ისტორიის არაერთმა მკვლევარმა გაიზიარა. მაგალითად, ვ. გაგუას მტკიცებითაც, „ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ჩამოყალიბება“ და მისი, „როგორც მეცნიერების გაფორმება, რაც სამოციანი წლების მიწურულში მოხდა, მთელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მოწიფულობას მოასწავებდა“ (გაგუა, 1974: 263).

გ. თავზიშვილის მტკიცებით, ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში ამ გარდამტები ეტაპის დადგომისა და ჩვენი მეცნიერების ამ მიმართულების შემდგომი განვითარების საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს როგორც იმხანად მოღვაწე დიდმა ქართველმა პედაგოგებმა, პირველ ყოვლისა კი იაკობ გოგებაშვილმა, ისე ქართული მწერლობის ცნობილმა წარმომადგენლებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, სერგეი მესხმა და სხვებმა.

ამ საქმეს ხსენებულ პერიოდულ გამოცემათა მესვეურები მიზანმიმართულად რომ აკეთებდნენ, ეს კარგად ჩანს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორ-გამომცემლის – ი. ჭავჭავაძის შემდეგი განმარტებიდან: „საქართველოს მოამბის“ რედაქცია საპედაგოგიო თხზულებებს ჩვენი საზოგადოებისათვის ძლიერ საჭიროდ და სასარგებლოდ რაცხს და ჰფიქრობს შეძლებისდაგვარად წარუდგინოს თავის მკითხველებს სტატიები, სადაც განიხილება კითხვა ყმაწვილების აღზრდაზედ“ (ჭავჭავაძე, 1938: 137).

მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს მოამბე“ ხანმოკლე დროის განმავლობაში, მხოლოდ ერთი წლის მანძილზე, გამოდიოდა, მის ფურცლებზე ილიამ, როგორც ამ გამოცემის ხელმძღვანელმა, დანაპირები მაინც შეასრულა და მის ფურცლებზე პედაგოგიკური მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა.

„საქართველოს მოამბე“ გამონაკლისი არ ყოფილა და როგორც გ. თავზიშვილის მონოგრაფიიდანაც ნათლად ჩანს, აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ წარმატებულ

საქმიანობას ეწეოდნენ სხვა პერიოდულ გამოცემათა მესვეურებიც. აი, როგორ შეფასებას აძლევს მკვლევარი გაზეთ „დროების“ როლს აღნიშნული მიმართულებით: „გაზეთი „დროება“ და მისი მესვეურები გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი სისტემატურად ათავსებდნენ პედაგოგიური ხასიათის წერილებს (როგორც ორიგინალურს, ისე თარგმანებს), უნერგავდნენ ხალხს განათლების სიყვარულსა და ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას უდიდეს საზოგადოებრივ საქმედ აღიარებდა. გაზეთი გაბედულად ებრძოდა საქართველოს ოფიციალურ სასწავლებელთა რეჟიმს, მმართველობას, სწავლების მეთოდებს, ამხელდა მასწავლებელთა უვიცობას და მოუწოდებდა ხალხს თვით აელო ხელში თავისი განათლების ინიციატივა“ (თავზიშვილი, 1977: 96).

იმისათვის, რომ ამ მოსაზრებისათვის მეტი სიცხადე და დამაჯერებლობა შეეძინა, გ. თავზიშვილი იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული შესაბამისი წერილებიდანაც მრავლად იმოწმებდა კონკრეტულ ეპიზოდებს. ამ მიმართულებით ჩატარებულ მის მეცნიერულ კვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ ცნობილ მოღვაწეთა პუბლიკაციებთან ერთად, მის ნაშრომში ნაკლებად ცნობილ ავტორთა ის წერილებიცაა განალიზებული, რომელნიც სრულიად უცნობი იყო ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის.

გ. თავზიშვილის აზრით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იყო 1867 წელს გაზეთ „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ვასილ პეტრიაშვილის ნარკვევი „ნაამბობი ცეცხლსა და წყალშუა გამოვლილისა. ჩვენი აღზრდის და განათლების სურათი“, რომელშიც ავტორი მკაცრად აკრიტიკებდა „მაშინდელი სკოლის სასტიკ რეჟიმს, სწავლების სქოლასტიკურ მეთოდებს, მასწავლებელთა თავხედობასა და უვიცობას, მოწაფეთა ყოფა-ცხოვრების მძიმე, ყაზარმულ პირობებსა და მათი ფიზიკური დასჯის ველურ ფორმებს, მოსწავლეთა სკოლისგარეშე ცხოვრებისა და სკოლებისადმი მთავრობის სრულ უყურადღებობას“ (თავზიშვილი, 1977: 96).

როგორც ცნობილია, იმჟამინდელი საგანმანათლებლო სისტემის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერი იყო, ამას იმხანად მოღვაწე დიდ ქართველ მოღვაწეთა მიერ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით არაერთხელ გამოთქმული მეტად მწვავე კრიტიკული შენიშვნებიც ნათლად ადასტურებს.

გიორგი თავზიშვილის მიერ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლის მიმართულებით შექმნილ ნაშრომთაგან აქ კიდევ ერთ მის სამეცნიერო ნარკვევსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს არის მდიდარ ისტორიულ წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით დაწერილი მონოგრაფია „ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია ქ. გორში.“ ხსენებული ნაშრომის მეშვეობით მკვლევარმა ღრმად და საფუძვლიანად, შესაბამისი პერიოდის რუსეთის იმპერიაში არსებულ საგანმანათლებლო მდგომარეობასთან მიმართებითა და მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიკოლონიური თვალთახედვით, წარმოაჩინა აღნიშნული სემინარიის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი - მისი შექმნისა და ფუნქციონირების უმთავრესი ეტაპები, სასწავლო პროცესის არსი და მიმდინარეობა, იქ მომუშავე მასწავლებლები, მოსწავლეთა კონტიგენტი და ეროვნული შემადგენლობა, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად სასწავლებელში არსებული ანტიქართული ვითარება და ქართველ მოღვაწეთა აქტიური მცდელობა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ა. შ.

არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი იმხანად ნაკლებად ცნობილი და სათანადოდ შეუსწავლელი ეს საკითხები გიორგი თავზიშვილმა პირველმა გამოიკვლია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ნათლად წარმოაჩინა ხსენებული სასწავლებლის მნიშვნელოვანი როლი შესაბამისი პერიოდის არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაშიც.

გ. თავზიშვილის, მტკიცებით, გორის სამასწავლებლო სემინარიის შექმნა არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როცა აღნიშნული დაწესებულება შეიქმნა, საქართველოში არსებულ ამ სახის საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა იმდენად მცირე იყო, რომ

მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა დაწყებითი სკოლების მასწავლებელთა კადრებზე არსებულ მოთხოვნას. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა აქტიური მცდელობის შედეგად რუსეთის იმპერიული ხელისუფლება იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო და 1875 წელს მიეღო ხსენებული სემინარიის გახსნის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სასწავლებელი მუშაობას რეალურად შეუდგა 1876 წლის 1 სექტემბრიდან. მისი ოფიციალური სახელწოდება ასეთი იყო: „ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია ქ. გორში,“ საქართველოში კი იგი გორის საოსტატო სემინარიის სახელით იყო ცნობილი.

იქიდან გამომდინარე, რომ სემინარიას დაწყებითი სკოლების მასწავლებლები ფაქტობრივად მთელი ამიერკავკასიისთვის უნდა მოემზადებინა, აქტიურად დაიწყო მისი განსათავსებელი ადგილის მიება, რის შედეგადაც გადაწყდა, რომ ხსენებული სემინარიის დაფუძნება ყველაზე მეტად მისაღები ქალაქ გორში იქნებოდა.

გორის საოსტატო სემინარიასთან დაკავშირებული საკითხების ღრმად შესწავლის შემდეგ გ. თავზიშვილმა საფუძლიანად გაარკვია სასწავლებლის სტრუქტურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და აღნიშნული სასწავლებლის შექმნის პოზიტიურ მხარეების წარმოჩენათან ერთად ის ნებატიური მოვლენებიც აქცია მკაცრი კრიტიკის საგნად, რითაც რუსეთის ხელისუფლების საგანმანათლებლო სისტემა ხასიათდებოდა იმხანად.

სემინარიის სასწავლო გეგმების საფუძლიანი შესწავლისა და იმდროინდელ მოღვაწეთა მიერ გამოთქმულ კრიტიკულ შეფასებებზე დაყრდნობით გ. თავზიშვილმა ნათლად დაგვანახა, რომ გორის საოსტატო სემინარიაში მიმდინარე სწავლების პროცესი მკვეთრად გამოხატული ანტიქართული გზით მიმდინარეობდა.

ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოვლენის შესახებ საუბრის დროს სემინარიის მოსწავლეთა კონტინგენტს მკვლევარი არარუს ეროვნებათა სახელით მოიხსენიებს, იმით იყო განპირობებული, რომ სასწავლებელში, გარდა ქართველებისა,

ამიერკავკასიაში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, კერძოდ კი სომხებიცა და აზერბაიჯანელებიც, იღებდნენ განათლებას.

როგორც ცნობილია, რუსული კოლონიური პოლიტიკის სამწუხარო გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ იმპერიული ხელისუფლების მიერ საქართველოში მიზანმიმართულად დაკვიდრებული მმართველობითი რეჟიმის შედეგად, ქართველი ერი რამდენიმე ხალხად თუ ეროვნებად იქნა დაყოფილი-დანაწევრებული. გ. თავზიმვილის მონოგრაფიაში ეს საკითხიც იქცა მწვავე განხილვის საგნად და აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით შესაბამისი პერიოდის ქართველ მოღვაწეთა მიერ გამოთქმულ საპროტესტო პუბლიკაციებზე დაყრდნობით მკვლევარი ამ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევდა: „მიუხედავად იმისა, რომ გორის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, მისი ადმინისტრაცია და სასწავლო ოლქის მზრუნველი არ სცნობდნენ საჭიროდ ქართული ენის სწავლებას. ხოლო იმისთვის, რომ უარესოთ სემინარიაში ქართველ მოსწავლეთა უმრავლესობის ფაქტი, როგორც ქართული ენის სწავლების საჭიროების ყველაზე დიდი მნიშვნელობის ფაქტორი, მათ სემინარიის საბუთებში დაანაწილეს ქართველი მოსწავლეები ცალკე ტომებად. ქართველებად ჩათვალეს მხოლოდ ქართლ-კახელნი, ხოლო სხვა ტომის ქართველებს წაართვეს ეროვნება და აცხადებდნენ, რომ ქართველები იმდენად ცოტაა გორის სემინარიაში, რომ მათთვის არ ღირს ქართულის სწავლება შემოვიღოთ ისე, როგორც არ ღირს მეგრელებს და სვანებს თავისი დედა ენა (გულისხმობდნენ მეგრულს და სვანურს) ვასწავლოთო“ (თავზიმვილი, 1980: 351).

იქიდან გამომდინარე, რომ სემინარიის მოსწავლეთა უდიდესმა ნაწილმა სწავლების ერთადერთ ენად დაწესებული რუსული ელემენტიარულ დონეზეც კი არ იცოდა, ხელისუფლების კომპრომისული გადაწყვეტილების საფუძველზე, მასწავლებლებს ნება დართეს, რუსულად გაუგებარი სიტყვები ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზეც აეხსნათ. გ. თავზიმვილის შეფასებით, სწორედ „ასეთი პედაგოგიური სიმახინჯით დაიწყო თავისი არსებობა დიდი ხნის მოლოდინის შედეგად დაარსებულმა პედაგოგიურმა სასწავლებელმა, გორის სამასწავლებლო სემინარიამ“.

მიუხედავად ამისა, გორის სამასწავლებლო სემინარიამ დიდი როლი ითამაშა ამიერკავკასიაში საპედაგოგო კადრების მომზადებისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის ჩამოყალიბებაში, სადაც „გვერდიგვერდ სწავლობდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ქრისტიანი და მუსლიმი ახალგაზრდები“ (თავდგირიძე, 2018: 149).

იმის გამო, რომ გორის სამასწავლებლო სემინარიაში, რომელსაც მასწალებელთა კადრები მთელი ამიერკავკასიისთვის უნდა მოემზადებინა, წლიურად მხოლოდ 25 მოსწავლეს ღებულობდნენ, ამ მიმართულებით არსებულ მოთხოვნას იგი ოდნავადაც კი ვერ აკმაყოფილებდა. კერძოდ, გ. თავზიშვილის ინფორმაციით, 1879 წელს, ხსენებული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვების დროს, მხოლოდ ექვს კაცს მიეცა მასწავლებლად მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი - სამ ქართველსა და თითო-თითო რუსს, სომეხსა და აზერბაიჯანელს.

თავი IV - გიორგი თავზიშვილი –

ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების მკვლევარი

გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა ქართველ მოღვაწეთა ნააზრევის შესწავლა პედაგოგიკურ-ალმზრდელობითი კუთხით. ამ მიზნით მან ფუნდამეტურად შეისწავლა ყველა იმ მოღვაწის წერილობითი მემკვიდრეობა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ამ სფეროს განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერული კვლევები ამ მიმართულებით მანამდეც წარმოებდა, ამგვარ მუშაობას უფრო ეპიზოდური და არასისტემური ხასიათი ჰქონდა. გ. თავზიშვილი კი პირველი მეცნიერი იყო, ვინც აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი თავისი მონოგრაფიებით მთლიანობაში გაიაზრა და ქრონოლოგიური თანმიმდევორით წარმოაჩინა ის დიდი გზა, რომელიც ქართულმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ განვლო თავისი არსებობის განმავლობაში.

ამ მიმართულებით შექმნილი მისი ერთ-ერთი პირველი მონოგრაფიული ნაშრომი მკვლევარმა შოთა რუსთაველს მიუძღვნა. მხედველობაში გვაქვს მისი გამოკვლევა „ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში,“ რომელშიც, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში პირველად, ღრმად და საფუძვლიანად არის გაანალიზებული შოთა რუსთაველის პედაგოგიური შეხედულებანი. აღნიშნული საკითხების შესწავლის შედეგად მკვლევარმა არგუმენტირებულად დაგვანახა ის დიდი წვლილი, რომელიც პოემის ავტორს ამ მიმართულებითაც აქვს შეტანილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში.

გ. თავზიშვილის შეფასებით, შოთა რუსთაველის პედაგოგიური მოძღვრება ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება, რომლებიც დღესაც მთლიანად მისაღებია და მეტად აქტუალური. მხედველობაში გვაქვს იმ დიდმნიშვნელოვანი როლის შეფასება, რომელსაც ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში აძლევს რუსთაველი ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის გონებრივი აღზრდა-განათლება, ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური განათლება, ფიზიკური აღზრდა და ა.

შ. გ. თავზიშვილის ნაშრომის ღირსებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მკვლევარი ყველა ამ საკითხს, როგორც თავადვე ამბობს, „ვეფხისტყაოსნის“ „ტექსტის პედაგოგიური ანალიზის საშუალებით“ განიხილავს.

აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე, გ. თავზიშვილი მართებულად დასკვნის, რომ შოთა რუსთაველი არა მარტო პოეტური სიტყვის დიდოსტატი, უდიდესი ჰუმანისტი და მოაზროვნე იყო, არამედ მას ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებისა და სრულყოფის საქმეშიც აქვს შეტანილი უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი და „ვეფხისტყაოსნის“ „პედაგოგიური იდეები ისევე წარმტაცი, მიმზიდველი და აქტუალურია, როგორც მისი მრავალი სხვა სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და მხატვრული იდეები.“

იმისათის, რომ თავისი კვლევა-ძიების შემაჯამებელ ამ უმთავრეს დებულებას მყარი საფუძველი შესძინოს, მკვლევარს მრავალი დამაჯერებელი არგუმენტი მოჰყავს პოემის ტექსტიდან და სწორედ მათი ანალიზის საფუძველზე გამოაქვს მეტად საყურადღებო დასკვნები.

გიორგი თავზიშვილი ასევე პირველი ქართველი მკვლევარი იყო, რომელმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნში მოღვაწე დიდ ქართველ მოაზროვნეთა და მამულიშვილთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის პედაგოგიური იდეებისა და პრაქტიკული საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლასაც. ხსენებული პერიოდის ქართველ მამულიშვილთა ამ ღვაწლის საფუძვლიან შესწავლას იგი სოლომონ დოდაშვილის (1805-1836 წწ.) მოღვაწეობის შეფასებით იწყებს. ის პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც ამ დიდი მამულიშვილის პედაგოგიკური იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობის ეს მხარე საფუძვლიანად გამოიკვლია, რის შედეგადაც უაღრესად საინტერესოდ წარმოაჩინა მისი დიდმნიშვნელოვანი როლი ამ მიმართულებით.

ს. დოდაშვილის პედაგოგიკური მოღვაწეობა გ. თავზიშვილის განსაკუთრებული ყურადღების საგნად იმიტომაც იქცა, რომ იგი არა მარტო თავისი პროგრესული პედაგოგიკური იდეებით გამორჩეულ პიროვნებას წარმოადგენდა, არამედ პრაქტიკულადაც ბევრ რამეს აკეთებდა ამ იდეების რეალურად განსახორციელებლად.

ამ თვალსაზრისით მას უაღრესად დიდი დამსახურება მიუძღვის, როგორც მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით ლოგიკაში გამოცემული და ფართოდ აღიარებული პირველი სახელმძღვანელოს ავტორს, საქართველოში პირველი სალიტერატურო ჟურნალის რედაქტორ-გამოცემელს, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელს, ქართული ენის გრამატიკაში სახელმძღვანელოს ავტორსა და აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის წარმომჩენი ბევრი სხვა საქმის რეალურად განმახორციელებელ პიროვნებას.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი პროგრესული საგანმანათლებლო იდეების რეალურად განხორციელების დროს სოლომონ დოდაშვილი იმდროინდელი რუსული ხელისუფლების მიერ შედგენილი მკაცრი საკანონმდებლო ნორმატივებით იყო მკაცრად შეზღუდული, მან მაინც შეძლო არაერთი სიახლე შეეტანა და დაემკვიდრებინა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ს. დოდაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის შენიღბულ მიზანს მოსწავლეთა ცნობიერებაში ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება წარმოადგენდა, რასაც წარმატებით აკეთებდა კიდევ.

ამ თვალსაზრისით იგი თავადაც რომ აძლევდა თავის მოსწავლეებს პირად მაგალითს, ეს 1832 წლის ანტირუსულ შეთქმულებაში თავისი აქტიური მონაწილეობითაც დაამტკიცა, რისთვისაც უმკაცრესი სასჯელი - რუსეთის იმპერიის უკიდურეს ჩრდილოეთში - ქალაქ ვიატკის გუბერნიაში გადასახლებითა და ტრაგიკული გარდაცვალებით დამთავრდა.

ს. დოდაშვილის პედაგოგიკური მოღვაწეობის შეფასების დროს გ. თავზიშვილი სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მისი ასეთი დიდი ენთუზიაზმის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად იმის შეუვალი რწმენა იყო ქცეული, რაც მას თავის ერთ-ერთ სტატიაში ასეთი ფორმით აქვს გამოთქმული: „განათლება არის უმტკიცესი უსაიმედოესი საფუძველი კეთილ მდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა; ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება შემდგარი კეთილაღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების განწმენდილ წყაროდ საერთოთა

კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლეობისა; მას შინა სცნობს წმიდა ეკლესია ჭეშმარიტთა ძეთა, მოქალაქეობა - მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელთა - თავისსა ნუგეშსა“.

გ. თავზიშვილი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც არგუმენტირებულად წარმოაჩინა ის დიდი როლი, რომელიც ს. დოდაშვილს აქვს შეტანილი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების პროცესში. მის მსჯელობას ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ღირსებას სძენს ის გარემოება, რომ ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად სოლომონ დოდაშვილი ევროპული განათლებასთან მის დაახლოებას მიიჩნევდა. ს. დოდაშვილის რწმენით, ქართველ ახალგაზრდობას უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ გზით უნდა ევლო წინ „შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა და მიახლოებისათვის განბრძობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის დროს გიორგი თავზიშვილის განსაკუთრებული ინტერესის საგნად სავსებით ლოგიკურად იქცა ქართველ „სამოციანელთა“ უმნიშვნელოვანესი როლის წარმოჩენა აღნიშნული მიმართულებით. სწორედ ამ დიდი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა პედაგოგიკური იდეების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და იმდროინდელი საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლიანად შესწავლა იქცა მისი მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად.

გიორგი თავზიშვილის ამ ნაშრომების მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ხსენებულ მოღვაწეთა პედაგოგიკური იდეები მას არა მარტო ისტორიულ კონტექსტში აქვს გააზრებული და შეფასებული, არამედ თავისი დროის აღზრდა-განათლების აქტუალურ პრობლემებთან მიმართებითაც.

გიორგი თავზიშვილის მიერ ამ მიმართულებით გაწეული მეტად მნიშვნელოვანი დამსახურება ისიც არის, რომ მან ქართული მწერლობისა და საგანმანათლებლო დარგის ამ დიდოსტატთა პედაგოგიკური შეხედულებების მაღალ მეცნიერულ

დონეზე შესწავლასთან ერთად, ერთ-ერთმა პირველმა გააანალიზა საფუძვლიანად XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ისეთ დიდ პედაგოგთა საგანმანათლებლო იდეები, როგორებიც იყვნენ: ნიკო ცხვედაძე, ლუარსაბ ბოცვაძე, ივანე როსტომაშვილი და სხვები.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდებით არგუმენტირებულად წარმოვაჩინოთ ის შეფასებანი, რომელსაც გ. თავზიშვილი ამლევდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ზემოთ ნახსენებ დიდ ქართველ მამულიშვილთა დამოკიდებულებას ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა სახალხო განათლება და პედაგოგიური იდეები XIX საუკუნის საქართველოში.

აღნიშნული პრობლემის ფუნდამენტურად შესწავლის დროს გ. თავზიშვილმა მდიდარ საარქივო მასალებზე, ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებზე, ხსენებულ პერიოდში მოღვაწე ქართველი და რუსი მოღვაწეების წერილობით მემკვიდრეობასა და ამ მემკვიდრეობის შესახებ შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებზე დაყრდნობით საფუძვლიანად შეისწავლა ხსენებული პერიოდის საქართველოში განათლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

სწორედ აღნიშნული მიმართულებით გაწეული მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შემაჯამებელ ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ გიორგი თავზიშვილის გამოკვლევა „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები.“ ამ უდიდესი მოაზროვნის, შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის მიერ ქართული პედაგიკის განვითარებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილი გ. თავზიშვილმა ორი უმთავრესი მიმართულებით წარმოაჩინა: ერთის მხრივ, დიდი მამულიშვილის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტური წერილების საფუძვლიანი განხილვის გზით, მეორეს მხრივ კი იმ აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობის ჩვენებით, რასაც მწერალი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად ეწეოდა მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

ილიას პედაგოგიკური ღვაწლის შეფასების დროს გ. თავზიშვილი შესაბამის ციტატებსაც მრავლად იმოწმებს მწერლის შემოქმედებიდან, რითაც მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს მყარ არგუმენტაციას სძენს. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამის კონტექსტს მოწყვეტილი ამ ციტატებით გამოთქმულ მოსაზრებებში დღევანდელი მკითხველისათვის ახალი და მოულოდნელი არაფერია, ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ იმჟამინდელ კონსერვატულ საზოგადოებაში ამგვარი იდეების პროპაგანდა თვისებრივად ახალ მოვლენას წარმოადგენდა.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა გ. თავზიშვილი იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელსაც ილია ანიჭებდა სწავლა-განათლებას ქვეყნის განვითარების პროცესში: „რა თემაზეც არ უნდა წერდეს ილია, ყველგან და ყოველთვის, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უსათუოდ განათლების დიდ მნიშვნელობას ეხება: ერის ეკონომიკური სიღატაკე განათლების სიმცირის შედეგია, ერის პოლიტიკური დამონება განათლების სისუსტის ბრალია, ერის სულიერი დაცემა განათლების უქონლობით აიხსნება“ (თავზიშვილი, 1977: 120).

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეების შეფასების დროს გ. თავზიშვილმა იმ აქტიურ ბრძოლასაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც მწერალი ეწეოდა იმჟამინდელი სასკოლო რეჟიმისა და სწავლების ფორმალისტური და სქოლასტიკურ-დოგმატური მეთოდების წინააღმდეგ. მკვლევრის მართებული შეფასებით, იმდროინდელი საგანმანათლებლო სისტემის უმთავრეს ნაკლოვან მხარედ მიჩნეული ამ მოვლენის მხილების დროს მწერალი აქტიურად უჭერდა მხარს თეორიისა და პრაქტიკის მთლიანობის იდეას და მტკიცედ იცავდა მას. კერძოდ, მკვლევრის შეფასებით, „ილია ჭავჭავაძე იშვიათი გამჭრიახობით ხედავს, რომ მისი დროის ბევრ ადამიანში თეორიული განათლება და პრაქტიკული მოქმედება ერთმანეთთან სრულ წინააღმდეგობაში იმყოფებიან, რომ მათი ცოდნა სხვაა და საქმე კი სულ სხვა. ამის მიზეზს ილია ფორმალისტურ განათლებაში ხედავს...“

ილია სწავლა-განათლების მიზნად აღიარებს ადამიანის მთლიან განვითარებას მისი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ცხოვრებისაგან მოწყვეტილ და ბუნებრივი, ანუ რეალურ-კონკრეტული შინაარსიდან გაცლილ სწავლა-განათლებას, ფორმალიზმს“ (თავზიშვილი, 1977: 125).

როგორც უკვე ითქვა, ილიას პედაგოგიკური იდეების შესწავლის დროს გ. თავზიშვილმა მწერლის მხატვრულ შემოქმედებასაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ეს პრობლემა ერთ-ერთმა პირველმა აქცია საფუძვლიანი განხილვის საგნად. ამ შემთხვევაში მისი თვალთახედვის არეში არა მარტო მწერლის ლიტერატურული ტექსტების საბოლოოდ სრულყოფილი ვარიანტები მოექცა, არამედ მათი თავდაპირველი მონახაზებიც. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნაწარმოებების: „კაცია-ადამიანის?!“ „გლახის ნამზობისა“ და „კაკო ყაჩაღისა“ და მათი ვარიანტების გ. თავზიშვილისეული ანალიზი პედაგოგიკის ფუნდამენტურ იდეებთან მიმართებით.

როგორც მკვლევარმა ილიას საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაარკვია, მწერალს ხსენებული ნაწარმოებების საფუძველზე ერთი რომანის შექმნა ჰქონია განზრახული, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია და მის ნაცვლად სამი დამოუკიდებელი ნაწარმოები შეუქმნია. მაგრამ ამ მიზნის საბოლოოდ ხორცშესხმამდე აღნიშნულ თემაზე მას დაწერილი ჰქონია რამდენიმე ვარიანტი. გ. თავზიშვილი ამ ვარიანტებიდან საფუძვლიანად განიხილავს პედაგოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ერთ-ერთ ვარიანტს, რომელშიც მოთხრობილია ლუარსაბ თათქარიძის შვილის - კოლას სწავლასთან დაკავშირებული ამბავი.

მოთხრობის ამ ეპიზოდის საფუძვლიანი განხილვის შედეგად გ. თავზიშვილმა თვალნათლივ დაგვანახა ილიას მკვეთრად კრიტიკული დამოკიდებულება, ერთის მხრივ, იმდროინდელი არისტოკრატიული საზოგადოების იმ ნაწილისადმი, რომელსაც სწავლა-განათლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა, მეორეს მხრივ კი მწერლის კრიტიკული პოზიცია იმუამინდელი საგანმანათლებლო სისტემისადმი.

უმთავრესი დასკვნა, რომელიც გ. თავზიშვილს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ილიას მოთხოვიდან დამოწმებული ეპიზოდების ღრმა და საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად გამოაქვს, ასეთია: „ასე ბრწყინვალედ ასაბუთებს მწერალი აღზრდის სოციალურ ბუნებას, მის დამოვიდებულებას ცვალებადი საზოგადოებრივი გარემოსა, ოჯახისა და სკოლისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბავშვის აღზრდის პროცესში ოჯახის და სკოლის როლის ასეთი კლასიკური დახასიათება ჩვენ იშვიათად გვხვდება პედაგოგიკის ისტორიაში, ხოლო მხატვრულ ლიტერატურაში იგი ერთ-ერთ უნიკალურ მოვლენას წარმოადგენს“ (თავზიშვილი, 1977: 140).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეების გიორგი თავზიშვილისეული შესწავლის მასშტაბებზე, აქ მკვლევრის მიერ განხილვის საგნად ქცეულ საკითხთა ჩამონათვალსაც გავიხსენებ არასრული სახით: აღზრდა-განათლება და მისი მნიშვნელობა, აღზრდის პროცესი, აღზრდის მიზნები და ამოცანები, პედაგოგიკის საგანი და მისი დეფინიცია, სკოლის როლი და ამოცანები, მასწავლებელი და მისი დანიშნულება, საოჯახო აღზრდა და თვითგანათლება, ბავშვის დედაენა და აზროვნება, ბრძოლა მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ, ქალთა განათლება...

როგორც გ. თავზიშვილის მონოგრაფიიდანაც თვალნათლივ ჩანს, პედაგოგიკური მეცნიერული აზროვნებისთვის მუდამ აქტუალურ ამ საკითხებთან დაკავშირებით ილიას მიერ გამოთქმული მოსაზრებანი არა მარტო იმ დროისათვის წარმოადგენდა მეტად პროგრესულ შეხედულებებს, არამედ მათგან ბევრი რამ დღესაც მისაღებია და მნიშვნელოვანწილად ანგარიშგასაწევი.

გ. თავზიშვილის შეფასებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი მწერლის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მკაფიოდ გამოხატული თავისი ამ პოზიციით ილია ფაქტობრივად უკომპრომისოდ დაუპირისპირდა რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, რაც ფაქტობრივად საბჭოთა იდეოლოგიის ანტიეროვნულ

მმართველობით სისტემასთან დაპირისპირებასაც წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მონოგრაფიის ის მონაკვეთი, სადაც გ. თავზიშვილი კავკასიის სასწავლო ოლქის იმდროინდელ მზრუნველთან კ. იანოვსკისთან ი. ჭავჭავაძის მძაფრ და უკომპრომისო პოლემიკას აანალიზებს, რის შედეგადაც ნიდაბახდილი სახით გვიჩვენებს რუსეთის იმპერიული ხელისუფლების სასწავლო-საგანმანათლებლო პოლიტიკის მანკიერ მხარეებს.

დღესდღეობით ფართოდ ცნობილი ეს აზრი აქ მხოლოდ იმისათვის გავიხსენეთ, რომ საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოთქმული თავისი ამგვარი შეფასებებით გ. თავზიშვილი შინაგანად აშვარად გაემიჯნა და შინაგანად დაუპირისპირდა კიდევ იმუამინდელი ხელისუფლების პოლიტიკას.

ჩვენი აზრით, გ. თავზიშვილის პედაგოგიკური მრწამსის გაანალიზებისა და შეფასების დროს ამ გარემოებას უსათუოდ უნდა მივანიჭოთ განსაკუთრებული ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ მის ნააზრევში ბევრი საკითხი საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიზებული ფორმით იყო გააზრებული, იგი მაინც ახერხებდა ჩვენი ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ეზრუნა ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებაზე.

ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე სწავლების პროცესში სწორედ ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა განმტკიცებაზე აქტიურ ზრუნვას მიიჩნევდა უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნად. კერძოდ, აი, რას წერდა თავად მკვლევარი ამასთან დაკავშირებით: „აღზრდა-განათლების მიზანთა შორის ილია ჭავჭავაძე ერთ საპატიო ადგილს უთმობს საღ ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობათა გამოწვევას და განვითარებას ახალგაზრდათა შორის (ხაზგასმა მკვლევრისაა - თ. კ.). ეროვნულ-პატრიოტული აღზრდის პრინციპი ილიას პედაგოგიკურ მოძღვრებაში გამომდინარეობს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის ამოცანებიდან და ამიტომ ეს პრინციპი სავსებით თავისუფალია ყოველგვარი ვიწრო და შოვინისტური ელემენტებიდან...

აღზრდის საერთო საზოგადოებრივ მიზნად ილიას ქართველი ახალგაზრდობისათვის მიაჩნდა „ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა“ რუსეთის თვითმპურობელობის წინააღმდეგ ბრძოლის გზით. აღზრდას ამ ბრძოლისათვის გამოსადეგი ახალგაზრდობა უნდა მოემზადებინა და ეროვნულ-პატრიოტული აღზრდა სწორედ აქეთკენ უნდა ყოფილიყო მიმართული“ (თავზიშვილი, 1977: 168).

ქართული პედაგოგიკისთვის დღესაც უაღრესად ფასეული და ანგარიშგასაწევი შემდეგი მოსაზრება, რომელსაც გ. თავზიშვილი ილიას საგანმანათლებლო იდეების გაანალიზების დროს გამოთქვამდა, ჩვენი მოსწავლეებისთვის შემუშავებული სასწავლო პროცესის ევროპულ სისტემასთან ინტეგრაციის მოთხოვნაა. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ამ მოსაზრებას გ. თავზიშვილი არა მარტო ილიას დროინდელი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა, არამედ საბჭოთა პერიოდის სასწავლო პროცესისთვისაც აუცილებელ ფაქტორადაც. ეს ყველაფერი კი შენიდბული ფორმით აშკარა დაპირისპირება იყო რუსული (იგივე საბჭოთა) პედაგოგიკური მეცნიერების პოლიტიზებულ მხარესთან.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებთ ფრაგმენტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკვლევრის მიერ დამოწმებულ ილიას შემდეგ მოსაზრებას: „ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაუმდლვაროს ევროპის გამოცდილება და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს... ამაზე უკეთეს გზას... სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ-კაცობას“ (ხაზგასმა გ. თავზიშვილისაა - თ. კ.).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტის გიორგი თავზიშვილისეული კომენტარითაც თვალნათლივ გამოჩნდა, დიდი მწერლის ეს მოსაზრება მკვლევარმა არა მარტო ილიას საგანმანათლებლო თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად მოიტანა, არამედ ამ ფორმით მან საბჭოთა პერიოდის ქართული საგსწავლო სისტემის

ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრირების აუცილებლობასაც გაუსვა ხაზი.

ილია ჭავჭავაძის პედაგოგიკურ შეხედულებათა საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად გ. თავზიშვილმა დამაჯერებლად ნათელყო, რომ მისი ღვაწლი ქართული პედაგოგიკის ისტორიაშიც განუზომლად დიდია. მკვლევარს სწორედ ამის თვალნათლივ დადასტურებად მიაჩნდა ის გარემოება, რომ დიდმა მწერალმა ფაქტობრივად მეცნიერების ამ დარგის ყველა პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვა მეტად კომპეტენტური და დღესაც ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი. ილიას პედაგოგიური შეხედულებების გაანალიზებას გ. თავზიშვილი მეტ დამაჯერებლობას იმითაც სმენს, რომ დიდი მწერლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სშირად პედაგოგიკის მეცნიერების ფართოდ აღიარებულ ისეთ წარმომადგენელთა მოსაზრებებთან მიმართებითაც განიხილავს, როგორებიც იყვნენ: ჰენრიხ პესტალოცი, ადოლფ დისტერვეგი, იან ამოს კომენსკი, კონსტანტინე უშინსკი, კარლ რიხტერი და სხვები.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ილიას პედაგოგიური იდეების გიორგი თავზიშვილისეულ შეფასებათა ცალკეული ეპიზოდები საბჭოთა იდეოლოგიის მოთხოვნებითაცაა აშკარად დაღდასმული. კერძოდ, ნაშრომში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ შესაბამისი პერიოდის სააზროვნო სისტემაში ილია ჭავჭავაძის მიერ შეტანილი დიდმნიშვნელოვანი წვლილის მიუხედავად, მისი „დებულებები არ შეგვიძლია ჩათვალოთ მარქსისტულად. ეს იმიტომ, რომ, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძის აზროვნების სისტემა მთლიანად, მისი მსოფლმხედველობა, საერთოდ, არ არის მარქსისტული... მისი დროის საქართველოს საერთო ჩამორჩენილობის გამო, ილია ვერ ამაღლდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე“ (ხაზგასმა თავზიშვილისაა - თ. კ. თავზიშვილი, 1977: 123).

ან კიდევ: „საქართველოს საერთო ჩამორჩენილობისა და ქართული საზოგადოებრივი განვითარების პირობებში კლასობრივი ბრძოლის თეორიის

უარყოფის გამო, დიდი პროგრესული მოაზროვნე და რევოლუციონერი იღია ჭავჭავაძე ვერ ამაღლდა მარქსიზმის სიმაღლემდე, ისტორიული პროცესის მატერიალისტურ გაგებამდე“ (ხაზგასმა თავზიშვილისაა - თ. კ. თავზიშვილი, 1977: 149).

ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს გიორგი თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება აკაკი წერეთლის (1840-1915 წწ.) მხატვრულ და პუბლიცისტურ ნააზრევსაც მიაქცია და მისი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო იდეების საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად დაადგინა, რომ აკაკის შემოქმედებაში ჩამოყალიბებული „აღზრდის კონკრეტული ამოცანები და მიზნები სამ ძირითად დარგად“ შეიძლება დავაჯვალოთ: პირველი, გონიერივი განათლება, მეორე, მორალური აღზრდა და მესამე, ფიზიკური განვითარება (თავზიშვილი, 1977: 253).

ნაშრომის დასაწყისში განზოგადებული ფორმით გამოთქმული ამ მოსაზრებისთვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად გ. თავზიშვილს შემდგომ მრავალი კონკრეტული არგუმენტი მოჰყავს მწერლის შემოქმედებიდანაც და მისი პრაქტიკული მოღვაწეობიდანაც. ყოველივე ზემოთქმული კი მკვლევარს საკმაოდ მყარ საფუძველს აძლევს მისეულ მოსაზრებათა ნათელსაყოფად, რითაც ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ აკაკი არა მარტო შესანიშნავი მწერალი იყო, არამედ პედაგოგიკის პრობლემებშიც ღრმად გარკვეული ის პიროვნებაც, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავისი დროის საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებთ რამდენიმე ამონარიდს გ. თავზიშვილის ნაშრომიდან.

როგორც აკაკის შემოქმედების გაანალიზების საფუძველზე მკვლევარმა დამაჯერებლად ნათელყო, პოეტის პედაგოგიური თვალთახედვა მყარად იყო დაფუძნებული „პარმონიული განათლების“ იდეას და თავისი დროის დიდ ქართველ მოღვაწეებთან ერთად აქტიურად უჭერდა მხარს მომავალი თაობის აღზრდას აღნიშნული პედაგოგიური პრინციპის საფუძველზე. იგი „გატაცებით იცავდა ჩვენი

ახალგაზრდობის ყოველმხრივი განვითარების იდეას, რომ მას, ახალგაზრდობას, ჰქონდეს ადამიანის მიერ ისტორიულად შექმნილი კულტურის ყოველი დარგის თანაზომიერი ცოდნა და ესმოდეს ცხოვრება. აკაკი წინააღმდეგია ვიწრო, ცალმხრივი განათლების. ის სამართლიანად ფიქრობს, რომ ადამიანს მრავალი შესაძლებლობა გააჩნია, მრავალი უნარი აქვს; აღზრდამ მასში ყველა ეს შესაძლებლობა უნდა გამოავლინოს. განავითაროს ყველა ეს უნარი თანაბრად, თანაზომიერად, ისე, რომ არ მოხდეს ერთის ზედმეტი განვითარება და მეორის დახშობა“ (თავზიშვილი, 1977: 254).

თავისი ამ მოსაზრების ნათელსაყოფად გ. თავზიშვილი პედაგოგიკური კუთხით აანალიზებს აკაკის მოთხოვნას „პატარა ტარიელი,“ რითაც მისეულ თვალსაზრისს კიდევ უფრო მეტ სიცხადესა და დამაჯერებლობას აძლევს.

აკაკისა და, საერთოდ, ქართული პედაგოგიკის ისტორიაში თავიანთი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი იდეებით გამორჩეულ მოაზროვნეთა შეხედულებებზე დაყრდნობით გ. თავზიშვილი ცდილობდა აქტიურად ეძებნა სწავლებისა და აღზრდის ის გზები და მეთოდები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვის შედეგად არსებული სასწავლო სისტემა კიდევ უფრო მეტად დაიხვეწებოდა და მეტი ეფექტურობით შეასრულებდა მის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს როლს. სწორედ ეს იყო ქართული პედაგოგიკის ისტორიის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის უმთავრესი მიზანი.

XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის შეფასების დროს გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს გამორჩეულად მნიშვნელოვან იმ როლს, რომელიც იაკობ გოგებაშვილს (1840-1912 წწ.) აქვს შესრულებული ამ მიმართულებით. გ. თავზიშვილი პირველი მკვლევარი იყო, ვინც თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში საფუძვლიანად და ყოვლისმომცველად გააანალიზა იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და აქტიური საზოგადოებრივ-პედაგოგიური საქმიანობა, რითაც სრულყოფილად შეავსო ამ მიმართულებით არსებული ხარვეზი.

ი. გოგებაშვილის ღვაწლის წარმოჩენის დროს გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს დიდი პედაგოგის როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ დამსახურებას. კერძოდ, მისი შეფასებით, „ი. გოგებაშვილმა „სამოციან წლებშივე ჩამოაყალიბა „ყმაწვილ-თაობის“ აღზრდის მიზნები. მას ერის საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლისა და „ახალი ტიპის ადამიანის“ შექმნის ამოცანებიდან გამოჰყავდა ეს მიზნები და ამავე ამოცანებით საზღვრავდა იგი სკოლის დანიშნულებას. იაკობ გოგებაშვილმა 1865 წელს შედგენილი „ქართული ანბანით“ და 1868 წელს შედგენილი „ბუნების კარით“ საფუძველი ჩაუყარა მშობლიური ენის სწავლების ახალ მეცნიერულ მეთოდს, ხოლო შემდეგ თავის მრავალრიცხოვან სტატიებში მასწავლებელთა მომზადების შესახებ სისტემატურად არკვევდა პედაგოგიური განათლების საკითხებს“ (თავზიშვილი, 1977: 111).

გ. თავზიშვილის შეფასებით, „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრება ხუთი ძირითადი პრობლემის ირგვლივ შეიძლება გაიშალოს. ესენია: აღზრდა-განათლების მიზნები, აღზრდა-განათლების შინაარსი, დედაქა, დიდაქტიკა, სახალხო სკოლა და მასწავლებელი. ძნელია, გამოინახოს რომელიმე მისი პედაგოგიკური იდეა, რომ ამ ხუთი პრობლემიდან არც ერთს არ დაუკავშირდეს. მართალია, ასეთი სქემა, საერთოდ, პირობითია და თანაც ზოგადი, მაგრამ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრებისათვის იგი დამახასიათებელია“ (თავზიშვილი, 1977: 317).

აღნიშნული პირობითი სქემის შესაბამისად, გ. თავზიშვილმა ვრცლად და საფუძვლიანად გააანალიზა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების ყველა მნიშვნელოვანი მხარე. იგი პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც სიღრმისეულად და ყოვლისმომცველად წარმოაჩინა იაკობის უმნიშვნელოვანესი როლი ქართული პედაგოგიკის ისტორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილს თითქმის არც ერთი ცნობილი ქართველი მოღვაწის პედადოგიკური და საგანმანათლებლო ღვაწლის შესწავლა და შეფასება არ დაუტოვებია უყურადღებოდ, იაკობ გოგებაშვილისადმი მისი დამოკიდებულება მაინც ყველასგან გამორჩეულია და განსაკუთრებული. ამას ისიც ადასტურებს, რომ

ხსენებული მონოგრაფია ამ მიმართულებით შექმნილ მის ყველა ნაშრომზე არა მარტო მოცულობითაა დიდი, არამედ პრობლემათა მოცვის თვალსაზრისითაც.

გ. თავზიშვილის ხსენებული მონოგრაფიის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების შესწავლის შედეგად მკვლევარმა შესაბამისი პერიოდის მთელი ქართული საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლიანი ანალიზიც გვიჩვენა, რის შედეგადაც არა მარტო იმხანად არსებული ამ სისტემის ნაკლოვანი მხარეები წარმოაჩინა, არამედ ის ახალი საგანმანათლებლო პოლიტიკაც განსაზღვრა, რომელიც დღესაც ანგარიშ გასაწევია და საყურადღებო.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, „აღზრდა-განათლების ზოგად მიზნად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა ადამიანის მომზადება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, მისი შეიარაღება იმ ცოდნით, რომელიც მას მისცემს ბუნების ძალთა გამოყენებისა და ცხოვრებაში გარკვევის უნარს. აღზრდა-განათლების ასეთი მიზანი, იაკობის აზრით, უნდა გულისხმობდეს ბავშვის „სულის ჰარმონიულ განვითარებას, რაც შეადგენს იდეალს სწავლისას და აღზრდისას (ხაზგასმა ავტორისაა - თ. კ.) (თავზიშვილი, 1977: 322).

გიორგი თავზიშვილის მიერ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების ერთ-ერთ მყარ საფუძვლად ქცეული ეს დებულება არა მარტო იაკობის დროინდელი სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან ფაქტორს, არამედ იგი დღესაც უაღრესად აქტუალურია და უსათუოდ პრიორიტეტული.

იაკობის პედაგოგიკური მოძღვრების ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად გ. თავზიშვილი იმასაც მიიჩნევდა, რომ დიდი პედაგოგი და მოაზროვნე ქართული საგანმანათლებლო სისტემის უმთავრეს მიზნად „ახალი ადამიანის აღზრდას“ მიიჩნევდა და ზოგადი ფორმით დაფიქსირებულ ამ მოთხოვნას ამგვარად განმარტავდა: „ახალ ადამიანთა აღზრდა... მთელი შეგნებითა და ენერგიით მოითხოვდა ისეთი განათლების სისტემისა და სასწავლებელთა ქსელის შექმნას, „რომელთაც შეუძლიათ გამოუზარდონ ჩვენს ქვეყანას ახალი ტიპის ქართველები...“

ახალი ტიპის ქართველი, საერთოდ, ახალი ტიპის ადამიანი, გოგებაშვილის აზრით, ყოველმხრივ უნდა განსხვავდებოდეს ძველი ტიპის ადამიანისაგან. ის, პირველ ყოვლისა, უნდა იყოს აღჭურვილი მაღალი ცოდნითა და მტკიცე მორალით. მას უნდა შესწევდეს უნარი არსებული, როგორც თვით იაკობი წერს, „ავადმყოფური რეჟიმისა“ და „უკუღმართი ცხოვრების წინააღმდეგ“ შეუპოვარი ბრძოლისა, ამავე დროს ახალი და საუკეთესო მერმისისათვის ხალხის მოძრაობის თაოსნობისა. ახალი ტიპის ადამიანი უნდა იყოს გამსჭვალული სამშობლოსა და ხალხის მგზნებარე სიყვარულით, მაღალი ჰუმანური გრძნობებითა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულებით (ხაზგასმები ავტორისაა - თ. კ.), უნდა შეეძლოთ ახალი მიმართულება შეიტანონ ჩვენს საზოგადოებრივ სკოლებში და ახალი ხანა დაუყენონ სამშობლოს“ (თავზიშვილი, 1977: 324).

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილის ზოგიერთმა პედაგოგიურმა იდეამ დროთა განმავლობაში გარკვეული კორექტირება განიცადა და მისი ყველა მოსაზრების ხელაღებით მიღება და გაზიარება თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილი ვერ იქნება, თუმცა დიდი მოძღვრის პედაგოგიკური ნააზრევიდან დღესაც ბევრი რამაა მისაღები და გასათვალისწინებელი.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების განხილვისა და შეფასების დროს გ. თავზიშვილი ცალკე გამოყოფს ბავშვის ზნეობრივ აღზრდას, რომელიც დიდ პედაგოგს მოზარდის „განვითარების უმთავრეს მხარედ“ მიაჩნდა და ამ მოსაზრების დასტურად მისი „ბუნების კარის“ წინასიტყვაობიდან ასეთ ფრაგმენტს იმოწმებს: „პატიოსანის, კეთილშობილის გრძნობის აღზრდა მოზარდი თაობის გულში კიდევ უფრო საჭირო და ძვირფასია, ვიდრე გონების გამდიდრება სხვადასხვა ცოდნითა...

აი, რისთვის მივეცით ჩვენ წიგნის ყოველ განყოფილებაში დიდი ადგილი ეთიკურს, ალტრუისტულ ელემენტსა, აღმზრდელ შინაარსსა“ (თავზიშვილი, 1977: 335).

გ. თავზიშვილის მართებული ხაზგასმით, „მოწაფის გულში მაღალი და წმინდა ზნეობის შთანერგვა“ აღზრდის უმთავრეს მიზანსა და მასწავლებლის უპირველეს დანიშნულებას წარმოადგენს და „სკოლა, მასწავლებელი და ოჯახი მხოლოდ სწავლა-

განათლებით არ უნდა კმაყოფილდებოდნენ. მათ არ უნდა დაივიწყონ ის წმინდა მოვალეობა, რომ მოზარდს ცოდნასთან ერთად შეუქმნან „დიდებული გული“ და იმის შეგნება, რომ „ყოველი წამი მათი სიცოცხლისა ეკუთვნის მოყვასთა, სამშობლოსა და კაცობრიობას“.

დიდი მოძღვრის პედაგოგიური მრწამსის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საფუძვლად ქცეული ეს დებულება, რომლის განსახორციელებლად თავად იაკობმა ძალზე ბევრი რამ გააკეთა, დღესაც უაღრესად აქტუალურია და ამ მიზნის მისაღწევად მისი საგანმანათლებლო გამოცდილების გათვალისწინება თანამედროვე ეტაპზეც უაღრესად ფასეულია და მნიშვნელოვანი.

ანალოგიური შეფასება უნდა მივცეთ იმ მოსაზრებებს, რომელთა მეშვეობითაც გ. თავზიშვილი სრულყოფილ და ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად მოზარდის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ი. გოგებაშვილის მიერ გამოთქმულ დიდაქტიკურ მოძღვრებას აანალიზებს. კერძოდ, მისი ხაზგასმით, სრულქმნილად განვითარებულ მოქალაქედ მოზარდის ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორებად დიდი პედაგოგის მიერ მიჩნეული აღმზრდელობითი პრინციპები და მეთოდები კვლავაც ფასეული იყო და ერთმნიშვნელოვნად მისაღები.

ამ თვალსაზრისისთვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად მონოგრაფიაში საფუძვლიანადაა გაანალიზებული სრულყოფილ მოქალაქედ მოზარდის ჩამოსაყალიბებლად იაკობ გოგებაშვილის მიერ განსაკუთრებული ყურადღების საგნად ქცეული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი, შრომისმოყვარეობა, მეგობრობა და ა. შ.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თავისი მონოგრაფიით გიორგი თავზიშვილმა კიდევ უფრო მეტად განამტკიცა მთელი მისი მეცნიერული მემკვიდრეობის უმთავრეს მიმართულებად ქცეული მისწრაფება - ქართული პედაგოგიკის ისტორიის წარმომადგენელთა პედაგოგიკური იდეები სა და პრაქტიკული მოღვაწეობის გაანალიზება შესაბამის პერიოდში არსებულ საჭიროობოტო ეროვნულ პრობლემებთან მიმართებით.

ეს ტენდენცია ყველაზე მეტად ვლინდება ქართველ „სამოციანელთა,“ მათ შორის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრების შესწავლის დროს. კერძოდ, გ. თავზიშვილმა დამაჯერებლად ნათელყო, რომ იაკობის სახელმძღანელობისა და პედაგოგიკის საკითხებზე დაწერილი ნებისმიერი ნაშრომის სულისკვეთება და სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობა დიდმა პედაგოგმა სისხლხორცეულად დაუკავშირა მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის გზათა გონივრულ და აქტიურ ძიებას.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვალთახედვით განიხილა მან ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები და მომავალი თაობის მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესი არგუმენტირებულად დაუკავშირა იაკობის აქტიურ მცდელობას ამ მიზნის მისაღწევად. გ. თავზიშვილის მართებული მტკიცებით, ამ უდიდესი ეროვნული იდეალის რეალობად ქცევის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ი. გოგებაშვილი ქართულ ენაზე სწავლებას მიიჩნევდა.

აქედან გამომდინარე, დიდი პედაგოგი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში უკომპრომისოდ იბრძოდა საგანმანათლებლო პროცესის მშობლიურ ენაზე წარსამართად. იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების საფუძვლად ქცეული ამ მოთხოვნის არაერთგზისი ხაზგასმით გ. თავზიშვილი არა მარტო დიდი პედაგოგისა და მისი თანამედროვე დიდი ქართველი მოღვაწეების ეროვნულ თვალსაზრისს გამოხატავდა, არამედ საბჭოთა ხელისუფლების რუსიფიკატორულ პოლიტიკასაც უპირისპირდებოდა არაპირდაპირი ფორმით.

ასე რომ, აღნიშნული თვალსაზრისის ნათელსაყოფად ი. გოგებაშვილის ნააზრევიდან მკვლევრის მიერ დამოწმებული ეს ფრაგმენტი: „ყველა სკოლა... დედა-ენაზე უნდა იყოს დაფუძნებული, დედა-ენით უნდა საზრდოობდეს, მით უნდა ხარობდეს. დედა-ენა სულია სკოლისა“ - არა მარტო იაკობის ეროვნულ და პედაგოგიკურ მოძღვრებას გამოხატავს, არამედ საბჭოთა ხელისუფლების ფსევდოინტერნაციონალური (იგივე რუსული) კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგაცაა შენიღბულად მიმართული (თავზიშვილი, 1977: 425).

გ. თავზიშვილის ხაზგასმით, სწორედ ამ უმთავრესი „პოლიტიკური მიზნის“ საფუძველზე იყო შედგენილი ო. გოგებაშვილის „დედა ენის“ სახელმძღვანელო. კერძოდ, როგორც იაკობის პედაგოგიკური მემკვიდრეობის გვირგვინად ქცეული ამ წიგნიდან თვალნათლივ ჩანს, დიდი პედაგოგი სარწმუნოებრივად არაერთგვაროვანი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გამაერთიანებელ უმთავრეს ძალად უპირველეს ყოვლისა სწორედ ქართულ ენას მიიჩნევდა. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავად მკვლევარი: „იაკობი აღიარებდა ქართველი ხალხის ეროვნულ მთლიანობას, ხოლო ეროვნული მთლიანობის ბურჯად მას მიაჩნდა ქართული ენა, როგორც საერთო ეროვნული ენა ყველა ქართველი ტომისათვის. მის ქართულ სახელმძღვანელოებს სწორედ ეს პოლიტიკური მიზანი ჰქონდა საფუძვლად. მაგრამ იყო ერთი გარემოება, რაც ხელს უშლიდა მის „დედა ენას“ გამხდარიყო ყველა ქართველი ტომის მშობლიური ენის სახელმძღვანელო წიგნად. ეს იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის ელემენტები ამ წიგნისა. ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკენი და ქართულ ენაზე მოლაპარაკე ებრაელები ამის გამო ერიდებოდნენ იაკობის „დედა ენას.“ ეს ფაქტი ცოტა მოგვიანებით, 1906 წელს, შენიშნა ავტორმა და უმაღვე ნახა გამოსავალი: იმავე წიგნიდან მან ამოიღო... სარწმუნოებრივი ელემენტები და „ამით, - როგორც თვითონვე წერს ამ გამოცემის წინასიტყვაობაში, - შესაძლებლად გახადა ანბანის ხმარება ყველა სარწმუნოების ქართველთათვის.“ ასევე გაწმინდა მან სარწმუნოებრივი მასალისაგან „დედა ენის“ მეორე ნაწილის ძირითადი ტექსტის პირველი 248 გვერდი... ამგვარად, დიდმა ქართველმა პატრიოტმა უყოყმანოდ შესწირა ეკლესიისა და რელიგიის ინტერესები ეროვნულ ინტერესებს - ქართველი ხალხის მთლიანობის იდეას“ (თავზიშვილი, 1977: 342).

გ. თავზიშვილის მიერ იაკობის პედაგოგიკური მოძღვრების ფუნდამენტურ პრინციპად ქცეული ეს თითქოსდა კონიუნქტურული კომპრომისი დღესაც აქტიურად უნდა იქნეს გათვალისწინებული როგორც სწავლა-აღზრდის სფეროში ზემოთ აღნიშნული კუთხით არსებულ პრობლემათა გადასაწყვეტი გონივრული გზების

ძიების დროს, ისე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის მიღწევისთვის ბრძოლის პროცესში.

ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების ანალიზის შედეგად გ. თავზიშვილმა ისიც დამაჯერებლად ნათელყო, რომ დიდი პედაგოგის ამდაგვარი აქტიური ზრუნვა ჩვენი ქვეყნის მკვიდრთა ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად სულაც არ ნიშნავდა სხვა ერების წარმომადგენელთა მიმართ უპატივცემულობასა და მათგან იზოლირებისაკენ მოწოდებას. აი, რა შეფასებას აძლევდა თავად მკვლევარი დიდი მასწავლებლის პედაგოგიკური მოძღვრების ამ მხარეს: „თავისი ერის დიდ სიყვარულსა და პატრიოტულ გრძნობას იაკობ გოგებაშვილი თავისუფლად უთავსებდა სხვა ერების ღირსებათა დაცვისა და მათი უაღრესი პატივისცემის ინტერნაციონალურ გრძნობას... სხვადასხვა სახელმწიფოებს ის არა მათი ტერიტორიული სიდიდისა და მოსახლეობის რიცხვის მიხედვით აფასებდა, არამედ იმ როლის მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებდნენ როგორც საკუთარი ხალხის, ისე საერთაშორისო კეთილდღეობის საქმეში“ (თავზიშვილი, 1977: 344).

მკვლევრის მიერ ი. გოგებაშვილის პედაგოგიკური მოძღვრების უმთავრეს პრინციპად მიჩნეული ეს დებულება დღესაც, უაღრესად რთულ თანამედროვე ეტაპზეც, უსათუოდ გასათვალისწინებელი მოთხოვნაა.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ღვაწლის გაანალიზების დროს გ. თავზიშვილმა სავსებით მართებულად მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება მის სასკოლო სახელმძღვანელოებს: „დედა ენას,“ „ბუნების კარსა“ და „რუსკოე სლოვოს“ და საფუძვლიანად განიხილა ისინი შინაარსობრივადაც და პედაგოგიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან მათი მიმართების თვალსაზრისითაც. ამ ანალიზის შედეგად მკვლევარმა თვალნათლივ დაგვანახა წლების განმავლობაში პერმანენტულად გამოცემული ამ წიგნების შინაარსობრივ მხარეს რა პრინციპების საფუძველზე ცვლიდა და ამდიდრებდა დიდი პედაგოგი. კერძოდ, როგორც მან ხსენებული სახელმძღვანელოების სხვადასხვა გამოცემათა ერთმანეთთან შედარებით

ნათელყო, ამ წიგნების შენაარსობრივ მხარეს იაკობი სისტემატურად სრულყოფდა და ამდიდრებდა ახალი მასალებით.

თავისი მონოგრაფიით გ. თავზიშვილმა დამაჯერებლად ნათელყო, რომ ი. გოგებაშვილი არა მარტო თეორიული სახით აყალებებდა სწავლა-განათლების ამგვარ ფუნდამენტურ მოთხოვნებს, არამედ პრაქტიკულადაც აქტიურად იღვწოდა ამ მიზნის მისაღწევად. თავისი დროის დიდ ქართველ მოღვაწეებთან და პედაგოგებთან ერთად მან ბევრი რამ გააკეთა შესაბამისი პერიოდის ქართული საგანმანათლებლო სისტემის გასაუმჯობესებლად. მართალია, რუსული კოლონიალიზმის პირობებში ამის მიღწევა ძალზე ძნელი იყო, მაგრამ მას ძალა და ენერგია არ დაუშურებია თავისი ამ იდეალის რამდენადმე მაინც ხორცშესასხმელად.

პედაგოგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე იაკობ გოგებაშვილის ამგვარი აქტიურობისთვის შინაგანი ენერგიის მიმცემ უმთავრეს იმპულსად გ. თავზიშვილი პირველ ყოვლისა იმის რჩმენას მიიჩნევდა, თავისი საქმიანობით იგი უწინარესად დიდ ეროვნულ საქმეს რომ ემსახურებოდა და მომავალი თაობის ინტელექტუალური გაწვრთნით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად ქმნიდა მკვიდრ საფუძველს.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქართული საბავშვო მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედების პედაგოგიკური კუთხით შესწავლაც იქცა. იგი პირველი ქართველი მკვლევარი იყო, რომელმაც თავისი ნაშრომებით ჩვენში საფუძველი ჩაუყარა ამ მეცნიერულ მიმდინარეობას და პედაგოგიკური მეცნიერების უმთავრეს პრინციპებთან მიმართებით საფუძვლიანად გააანალიზა XIX-XX საუკუნეების ქართული საბავშვო მწერლობის რამდენიმე წარმომადგენლის შემოქმედება.

გ. თავზიშვილის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მეცნიერული კვლევის მნიშვნელობას კიდევ უფრო ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ მან ის მხარეებიც

განსაზღვრა მაღალ პროფესიულ დონეზე, რომელთაც საბავშვო მწერლობის თემაზე შექმნილი მხატვრული ტექსტების გაანალიზების დროს უნდა მიქცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნარკვევები: „საბავშვო ლიტერატურის საკითხები“ და „საბავშვო ლიტერატურა - როგორც მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკური დარგი.“

ხსენებული ნარკვევების მეშვეობით გ. თავზიშვილმა მკაფიოდ განმარტა ამ ლიტერატურული მიმართულების სპეციფიკური არსი და ის უმთავრესი პედაგოგიკური პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ამ ჟანრის მხატვრული ტექსტების ანალიზი და შეფასება. მკვლევრის ხაზგასმით, მათი განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა სწორედ აღნიშნულ პრინციპებს უნდა მიქცეოდა და ხსენებული ნაწარმოებები პედაგოგიკური მეცნიერების პოზიციებიდან უნდა ყოფილიყო შეფასებული.

კერძოდ, აი, როგორ განმარტავდა თავად გიორგი თავზიშვილი ლიტერატურის ამ სახეობას: „საბავშვო ლიტერატურა ისეთ ლიტერატურას ეწოდება, რომელიც წყვეტს ამა თუ იმ პედაგოგიურ ამოცანას სათანადო მხატვრულ ფორმებში“ (თავზიშვილი, 1980: 436). მკვლევრის მართებული შეფასებით, „საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურობას უმთავრესად განსაზღვრავს მისი საგნისა და ამოცანებიდან გამომდინარე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დანიშნულება, რომელსაც შეიძლება ეწოდოს საბავშვო ლიტერატურის პედაგოგიკური დანიშნულება. ეს დანიშნულება აძლიერებს საბავშვო ლიტერატურის შემეცნებით ხასიათს, რომელიც მოითხოვს ბავშვის ცნობიერების გამდიდრებას მეცნიერული ცოდნით და მისი მორალური იერის ჩამოყალიბებას მაღალი ზნეობრივი იდეალებით...“

საბავშვო ლიტერატურას აქვს აგრეთვე მეორე დანიშნულებაც. ეს არის ესთეტიკური, რომლის მიზანია ბავშვის მხატვრული აზროვნების განვითარება, მისი ემოციური სამყაროს გამდიდრება. საბავშვო ლიტერატურის ეს ორი მთავარი დანიშნულება - პედაგოგიკური და ესთეტიკური - მისთვის თანაბარი მნიშვნელობისაა“ (თავზიშვილი, 1980: 443).

საბავშვო მწერლობის სპეციფიკურ მხარეთა დახასიათების დროს გ. თავზიშვილი ამ სახეობის მხატვრული ტექსტებისთვის უმთავრესი მიზანდასახულობის საგნად არსებულ სხვა მხარეებსაც გამოჰყოფს და ქართველ მწერალთა მიერ ამ ჟანრში შექმნილი მხატვრული ტექსტების გაანალიზების საფუძველზე არგუმენტირებულად ახასიათებს მათ პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით. კერძოდ, მკვლევრის განმარტებით, „ზნეობრივი აღზრდის საქმეში საბავშვო ლიტერატურის ამოცანას წარმოადგენს განუმტკიცოს ახალგაზრდობას ნამდვილი ადამიანობის თვისებები, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნება, მაღალი მორალური თვისებები: შრომისმოყვარეობა, ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმი მეგობრობა, კოლექტივიზმი, სიმართლე, ზრდილობა, პატიოსნება, პრინციპულობა, თავმდაბლობა, ყველა ის ღირსება და კეთილშობილება, რაც ალამაზებს ადამიანის ცხოვრებას, ამკობს მის მორალურ იერს“ (თავზიშვილი, 1980: 446).

სწორედ მეტად საპასუხისმგებლო ამ როლის შესრულებას მიიჩნევს მკვლევარი საბავშვო მწერლობის უპირველეს დანიშნულებად და კიდევ ერთხელ და დაბეჯითებით განმარტავს ამ ჟანრობრივი სახეობის ნაწარმოებთა შექმნის განმაპირობებელ უმთავრეს მიზანს: „საბავშვო ლიტერატურის ყოველი ნაწარმოები უნდა ემსახურებოდეს ბავშვის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური შრომითი ან ფიზიკური აღზრდის პრობლემების მხატვრულ გადაჭრას და ამით შეპქონდეს თავისი წვლილი ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების საქმეში“.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, გიორგი თავზიშვილი არა მარტო ზოგადად განმარტავს საბავშვო ლიტერატურის სპეციფიკურ არსა და ბუნებას, არამედ ქართველ მწერალთა მიერ ამ ჟანრობრივ სახეობაში შექმნილ ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც განიხილავს და აანალიზებს პედაგოგიკის ზემოთ აღნიშნულ დებულებებთან მისადაგებულად. ქართულ რეალობაში იგი ფაქტობრივად პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც ამ ტრადიციას მყარი მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა და მაღალკვალიფიციურად, პედაგოგიკის ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებით

და დღესაც სავსებით მისაღები სახით შეაფასა ქართული საბავშვო ლიტერატურის ცალკეულ წარმომადგენელთა შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

ქართულ ლიტერატურაში აღნიშნულ ჟანრობრივი სახეობის დამამკვიდრებლად გ. თავზიშვილს იაკობ გოგებაშვილი მიაჩნია და დიდი მოძღვრის პედაგოგიკური ნააზრევის შესასწავლად შექმნილ მის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში მის მიერ შექმნილი საბავშვო ნაწარმოებებიც განიხილა საფუძვლიანად.

იაკობ გოგებაშვილის საბავშვო ნაწარმოებების ანალიზისთვის წამდლვარებულ მონაკვეთში გიორგი თავზიშვილმა მკითხველს აღნიშნული სახეობის მხატვრულ ნაწარმოებთა პედაგოგიკური მიზანდასახულება არსი იაკობ გოგებაშვილის ნააზრევიდან დამოწმებული ამ სიტყვებით განუმარტა: „საყმაწვილი ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. საბავშვო მწერლობა ბევრ სიკეთეს დათესავს მოზარდ თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში. ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულიშვილს“ (გოგებაშვილი, 1940: 169).

იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ თავის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში გიორგი თავზიშვილმა პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალთახედვით გააანალიზა დიდი მოძღვრის მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტები და დამაჯერებლად წარმოაჩინა მათი შესაბამისობა ავტორის პედაგოგიკურ მოძღვრებასთან. გ. თავზიშვილს ი. გოგებაშვილის ნააზრევის ეს ნაწილიც იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ დიდ მასწავლებელს ქართული ლიტერატურის ისტორიაში საბავშვო ჟანრის დამამკვიდრებელ პირველ მწერლადაც კი მიიჩნევდა და თავის ამ მოსაზრებას ამგვარად ასაბუთებდა:

„ქართული მხატვრული ლიტერატურის ისტორიაში იაკობ გოგებაშვილი არის პირველი ქართველი საბავშვო მწერალი. თავისი ლიტერატურული შემოქმედების აღმზრდელობითი იდეებით, თემატიკითა და მხატვრული ფორმით მან პირველად

შექმნა ჩვენში საბავშვო მწერლობა, როგორც ლიტერატურის გარკვეული დარგი. მართალი იყო ზაქარია ჭიჭინაძე, როცა ამბობდა: „მე თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ იაკობ გოგებაშვილი პირველ საყმაწვილო მწერლად უნდა ჩაითვალოს ჩვენში“ (თავზიშვილი, 1977: 485).

გარდა პედაგოგიკის საკითხებზე შექმნილი მეცნიერული ნაშრომებისა, გიორგი თავზიშვილი ლიტერატურულ ნარკვევებსაც აქვეყნებდა ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედებაზე. მისი ამ პუბლიკაციებიდან თვალწათლივ ჩანს მკვლევრის ფართო განსწავლულობა, მაღალი პროფესიონალიზმი და მოვლენათა ახლებული თვალთახედვით დანახვისა და შეფასების უნარი. ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ლიტერატურული ნარკვევი ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე.

ხსენებულ ნაშრომში გ. თავზიშვილმა ახლებური თვალთახედვით ცადა გაეაზრებინდა ვაჟას შემოქმედებითი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი რამდენიმე ტენდენცია. თავისი პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე, ვაჟა-ფშაველას მხატვრული მემკვიდრეობის განხილვის დროს მან ვაჟა-ფშაველას იმ როლის წარმოჩენაც აქცია განსაკუთრებული ინტერესის საგნად, რაც მას ქართული საბავშვო ლიტერატურის მიმართულებით მიუძღვის. გ. თავზიშვილის შეფასებით, ვაჟას ღვაწლი ამ თვალსაზრისითაც განუზომლად დიდია და მის მიერ შექმნილი საბავშვო ნაწარმოებებით მოზარდი არა მარტო დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ღებულობს, არამედ „მეცნიერული ცოდნის მრავალ დარგსაც ეცნობა, ყველაზე მეტად კი ბუნებისმეტყველებას“.

ქართული საბავშვო მწერლობის შესწავლის დროს გ. თავზიშვილმა განსაკუთრებული ინტერესი ხალხოსან მწერალთა მიერ ამ მიმართულებით შექმნილი მხატვრული ტექსტების მიმართაც გამოავლინა და პედაგოგიური თვალთახედვით გააანალიზა მათი სამი წარმომადგენლის - სოფრომ მგალობლიშვილის, ეკატერინე გაბაშვილისა და ნინო ნაკაშიძის შემოქმედება. ამ ნარკვევების მეშვეობით იგი

აქტიურად შეეცადა ნათლად გამოეკვეთა მათი შემოქმედების დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მხარეები.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევს მკვლევარი ეკატერინე გაბაშვილის (1851-1938 წწ.) შემოქმედების პედაგოგიკურ მხარეს: „თავის საბავშვო მოთხრობებში ეკატერინე გაბაშვილს მრავალი აღმზრდელობითი ამოცანა აქვს დასმული და გადაჭრილი. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს შრომისმოყვარეობის აღზრდის ამოცანა. ავტორი დარწმუნებულია, რომ ადამიანის მთავარი დანიშნულება შრომაა და აცნობს იგი შრომის სიყვარულს, პატივისცემას...

მეორე ძირითადი მიზანი ეკ. გაბაშვილის საბავშვო მოთხრობებისა არის ჰუმანიზმის გრძნობის აღზრდა. ადამიანის ღირსება-დაფასება, მასზე მზრუნველობა; მშობლების, მასწავლებელთა და საერთოდ, უფროსი ადამიანებისა და ამხანაგების პატივისცემა, მათდამი სიყვარულის აღზრდა ბავშვებში, ურთიერთსიყვარული, მეგობრული განწყობილება და სხვა კეთილშობილი თვისებები წარმოადგენს ეკ. გაბაშვილის ჰუმანიზმის საფუძველს“ (თავზიშვილი, 1980: 421).

დასახელებული მწერლების შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზის შედეგად გ. თავზიშვილმა არგუმენტირებულად გვიჩვენა, რა სირთულეების დაძლევა შეიძლება მოუხდეთ მათ მიერ ხორცშესხმულ ბავშვ პერსონაჟებს სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესში.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. თავზიშვილი თავად გახდა ავტორი ცნობილი ქართული ხალხური ზღაპრის „მელა და ჩიტი“ შეცვლილი და გადაკეთებული ვერსიისა, რომლის შინაარსი და მორალი უფრო მისაღები და მარტივად გასაგებია შესაბამისი ასაკის ბავშვებისათვის, ვიდრე ხალხურ ვარიანტშია გადმოცემული. კერძოდ, თუ ხალხურ ვერსიაში დედა ჩიტი იძულებულია მელიის მუქარის საპასუხოდ ჯერ ერთი ბარტყი გადაუგდოს მას, შემდეგ კი, მეორე და მესამეც, გ. თავზიშვილისეულ ვერსიაში, დედა ჩიტმა რამდენჯერმე ცადა შვილების გადამალვა და როცა კვლავ მიაგნო მელიამ შვილები მხრებზე შეისვა და იქედან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა შემთხვევით ერთი ბარტყი გადაუვარდა. ასეთ შემთხვევაში

მკითხველი ერთმნიშვნელოვნად სოლიდარულია დედა ჩიტის მიმართ და კითხვის ნიშნები აღარ ისმება. ცხადია, ზღაპრის ახალი ვერსიის შექმნა გ. თავზიშვილის მიერ მოზარდის ასაკობრივი მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გააზრებით იყო ნაკარნახევი.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის დროს გიორგი თავზიშვილმა იმ მოღვაწეთა დამსახურებაც აქცია სპეციალური შესწავლის საგნად, რომელთა დამსახურებაც შედარებით ნაკლებად იყო ცნობილი არა მარტო ფართო საზოგადოებისათვის, არამედ ამ დარგის სპეციალისტთა გარკვეული ნაწილისთვისაც კი. ერთ-ერთ სწორედ ასეთ მოღვაწეს წარმოადგენდა თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი პედაგოგი და ღვაწლმოსილი ისეთი პიროვნება, როგორიც იყო **ლუარსაბ ბოცვაძე** (1866-1919 წწ.).

მისი მოღვაწეობის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად შექმნილ მონოგრაფიაში გიორგი თავზიშვილმა მაღალ პროფესიულ დონეზე განიხილა და თავისი დროის მოთხოვნებთან მიმართებით გააანალიზა XIX საუკუნის ბოლო ათწლეულსა და XX საუკუნის პირველ ოცწლეულში აქტიურად მოღვაწე ამ თვალსაჩინო მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის პედაგოგიკური შეხედულებანი. გ. თავზიშვილის მიერ ესოდენ კარგად და მაღალპროფესიულად დაწყებული საქმე შემდგომში დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებით განაგრძო და ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილის საფუძვლიანად წარმომჩენი მონოგრაფიით დაგვირგვინა პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ივანე ჭკუასელმა.

როგორც ითქვა, ლ. ბოცვაძის ცხოვრებისა და პედაგოგიკური შეხედულებების შესასწავლად შექმნილ თავის ვრცელ გამოკვლევაში გ. თავზიშვილმა ქართული პედაგოგიკის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლის საგანმანათლებლო იდეები და შეხედულებანი არა მარტო შესაბამისი პერიოდის მოვლენათა კონტექსტში გააანალიზა, არამედ შემდგომი დროის რეალობასთან მისადაგებული ფორმითაც.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ რამდენიმე ეპიზოდს გ. თავზიშვილის ნაშრომიდან.

ლ. ბოცვაძის, როგორც მეცნიერისა და პედაგოგის, უმთავრეს დამსახურებად გ. თავზიშვილი იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ მას „ცხადად ჰარმოდგენილი მეცნიერების ობიექტურ-კანონზომიერი განვითარების აუცილებლობა და მისი დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების საქმეში“ (თავზიშვილი, 1980: 285). სწორედ თავისი ამ მოსაზრების დამადასტურებელ არგუმენტად მიიჩნევდა მკვლევარი იმ მოსაზრებას, რომლითაც გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ჟურნალ „განათლების“ 1919 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მეცნიერების განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში ასეთი შეფასება მისცა: „ჩვენთვის საჭიროა, რომ ცოდნის, განათლების ძალა მეორე უდიდეს ძალას - შრომას შეუერთდეს და მაშინ მომავალი შრომისა და მეცნიერებისა სამკვიდრო იქნება, რასაც უეჭველია, ჩვენი ქვეყნის ყოველმხრივ სრული აყვავება და დაწინაურება მოჰყვება.“

ლ. ბოცვაძის პედაგოგიკური იდეების გაანალიზების დროს გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1917 წელს გამოცემულ მის წიგნს „სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება.“ მისი მტკიცებით, ლ. ბოცვაძეს ქართული საგანმანათლებლო სისტემის ჩამორჩენილობის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ის გარემოება მიაჩნდა, რომ ჩვენი სკოლა აშკარად იყო ჩამორჩენილი „ევროპიული პედაგოგიკისა და სკოლის მდგომარეობასთან შედარებით“.

ლ. ბოცვაძე ამ სამწუხარო მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად იმას მიიჩნევდა, რომ „ყოველგვარი ახალი მეცნიერულ-პედაგოგიური მიმართულება და თეორიები ჩვენში ძალიან დიდი დაგვიანებით შემოდიოდა“ და „ჩვენში და რუსეთში მისაბაძ მაგალითად ის იყო, რაც განათლებულ ქვეყნებში დრომოჭმული და დაგმობილი იყო. ეს კი უკან დახევას ნიშნავდა და არა წინმსვლელობას“.

გ. თავზიშვილის აზრით, თავისი დროის ქართული საგანმანათლებლო სისტემის უმთავრეს ნაკლად ლ. ბოცვაძეს ის გარემოება მიაჩნდა, რომ იმდროინდელი ჩვენი

სკოლა „შრომითი აღზრდის პრინციპებს უგულვებელყოფდა,“ რის გამოც „სახალხო განათლების მთელი სისტემა ძალიან ჩამორჩენილი იყო და სრულებით არ შეეფერებოდა მაშინდელი წარმოებისა და საწარმოო ურთიერთობის სწრაფი განვითარების მოთხოვნილებებს“. ლ. ბოცვაძის აზრით, რასაც გ. თავზიშვილის იზიარებს, ამ სამწუხარო რეალობას ჩვენი სკოლა მხოლოდ მაშინ დააღწევდა თავს, თუ „ევროპის პედაგოგიურ კულტურას გადმონერგავდა საქართველოს ეროვნულ ნიადაგზე“ (თავზიშვილი, 1980: 287).

ვფიქრობთ, სადაოდ არავინ გახდის, თუ ვიტყვით, რომ ლ. ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებისთვის ამგვარი შეფასებით გ. თავზიშვილი თავის პროევროპულ თვალთახედვასაც გამოხატავდა აშკარად და ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად პირველ ყოვლისა ევროპული გამოცდილების გათვალისწინებას და მასთან დაახლოებას მიიჩნევდა.

ლ. ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებების გაანალიზების დროს გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ სასწავლო პრინციპების განმარტებაზე, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „შრომის სკოლის“ შექმნას უნდა დასდებოდა საფუძვლად. გ. თავზიშვილის ხაზგასმით, თავისი ამ იდეის განხორციელებით ლ. ბოცვაძე მიზნად ისახავდა სწავლების დაახლოებას შრომით პროცესთან. კერძოდ, ლ. ბოცვაძის განმარტებით, „ყოველგვარ სასწავლებელში, თანახმად საზოგადოების სოციალური ცხოვრებისა, მრეწველობის ზრდა-განვითარებისა და ევოლუციისა, ყველგან განხორციელებული უნდა იქნეს ახალი პრინციპები შრომის სკოლისა, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ყველა წოდებისა და კლასებისათვის. შრომის პრინციპებზე აღიზრდებიან მოქალაქენი, რომელიც თავიანთი ნიჭისა და მოწოდების მიხედვით საზოგადოებისათვის საჭირო შრომის ყოველგვარ ფორმებში მიიღებენ სასურველს მონაწილეობას“ (ბოცვაძე, 1917: 35).

გ. თავზიშვილის ხაზგასმით, თავისი ამ დებულებით ლ. ბოცვაძემ ნათლად განსაზღვრა შრომითი აღზრდის იმ პრინციპის არსი, რომელიც, ლ. ბოცვაძის აზრით,

საფუძვლად უნდა დასდებოდა პედაგოგიკურ იდეებს ძველი სკოლების გარდაქმნისა და ახალი სკოლების ჩამოყალიბების საქმეში.

ლუარსაბ ბოცვაძის მიერ ახალი სკოლის შექმნის საფუძვლად მიჩნეული შრომითი აღზრდის პრინციპის გაანალიზების შემდეგ გ. თავზიშვილი საგანგებო ყურადღებას ამახვილებს იმ მიმართების შეფასებაზე, რომელიც ზოგად და სპეციალურ განათლებას შორის უნდა არსებულიყო. მისი ხაზგასმით, ამ პრობლემასთან დაკავშირებით ლ. ბოცვაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება გერმანიის რვაწლიანი სკოლის გამოცდილებას ემყარებოდა, რითაც იგი კიდევ ერთხელ გამოხატავდა თავის პროევროპულ თვალთახედვას და ქართული საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად ყველაზე მეტად მისაღებ გზად ევროპული გამოცდილების გათვალისწინებას მიიჩნევდა.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე საქართველოს განათლების სისტემაში პროფესიულ განათლებას შედარებით მცირე სეგმენტი უჭირავს პროფესიული განათლების ახალი ხედვა მიზნად ისახავს პროფესიულ განათლების მიმზიდველობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით სისტემის გაფართოებას და მასში ჩართულობის გაზრდას. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრირების კონცეფცია მიზნად ისახავს საბაზო და განსაკუთრებით საშუალო საფეხურზე ინტეგრირებული პროგრამების შემოტანას სკოლებში, რათა მოსწავლემ ადრეული ასაკიდანვე აირჩიოს და დაუფლოს პროფესიას ზოგადი განათლების საგნების პარალელურად.

სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტი პროფესიული განათლების, როგორც ეკონომიკური ზრდის და ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორის, ხელშეწყობაა.

ლ. ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებების საფუძვლიანმა ანალიზმა გ. თავზიშვილი ღრმად და დაუეჭვებლად დაარწმუნა იმაში, რომ „იგი ღრმად იცნობდა პედაგოგიკის ისტორიას, კერძოდ, უცხოეთის და რუსეთის პედაგოგიკის კლასიკოსებს და ახალ მიმდინარეობებს პედაგოგიკაში. ის უეჭველად იდგა მისი დროის

პედაგოგიური კულტურის სიმაღლეზე. ყოველ მის ძირითად პრაქტიკულ-პედაგოგიურ და პროგრამულ-მეთოდურ დებულებას წინ უძღვის თეორიული დასაბუთება გამოჩენილ მეცნიერ-პედაგოგების შეხედულებათა გარჩევისა და მისი საკუთარი ნააზრევის საფუძველზე“ (თავზიშვილი, 1980: 305).

მიუხედავად იმისა, რომ ლუარსაბ ბოცვაძის პედაგოგიკური შეხედულებების გიორგი თავზიშვილისეული ანალიზი მხოლოდ ჩვენ მიერ განხილული საკითხებით არ განისაზღვრება, ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულიდანაც თვალნათლივ ჩანს ის მნიშვნელოვანი დამსახურება, რომელიც ამ პიროვნებას მიუძღვის ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნით, რომ გიორგი თავზიშვილმა, როგორც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მაღალკვალიფიციურმა მკვლევარმა და ამ სამეცნიერო დისციპლინის სისტემური კურსის ერთ-ერთმა პირველმა შემქმნელმა, საფუძვლიანად შეისწავლა XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა და პედაგოგიური იდეები.

მდიდარ ფაქტობრივ მონაცემებსა და სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით, მან დამაჯერებლად ნათელყო, რომ იმ პერიოდის ქართული პედაგოგიკური აზროვნება და საგანმანათლებლო სისტემა, რუსეთის ხელისუფლების მიერ აღნიშნული მიმართულებით მიზანმიმართულად და ტოტალურად გატარებული კოლონიური პოლიტიკის მიუხედავად, მაინც შევიდა განვითარების სრულიად ახალ სტადიაში.

გიორგი თავზიშვილის ნაშრომის მეცნიერულ სიახლესა და ღირებულებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ აღნიშნული საკითხის არსში უფრო ღრმად და ყოვლისმომცველად გარკვევის მიზნით, მან, მკვლევართაგან ერთ-ერთმა პირველმა, საფუძვლიანად შეისწავლა ბევრი ახალი და მანამდე უცნობი საარქივო მასალა, შესაბამისი პერიოდის პრესაში გამოქვეყნებულ წერილები, პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსთა და რიგით წარმომადგენელთა ნაშრომები და კვლევის საგნად ქცეულ საკითხებზე შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის ხსენებული ნაშრომის დაწერიდან საკმაო დრო გავიდა, თავისი მაღალი მეცნიერული ღირებულებითა და შესასწავლ საკითხთა სიღრმისეულად გააზრების თვალსაზრისით აღნიშნული გამოკვლევა არა მარტო საბჭოთა პერიოდის ქართული პედაგოგიკის ისტორიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს, არამედ იგი დღევანდელი თვალთახედვითაც საინტერესო და მრავალმხრივ ანგარიშგასაწევი სამეცნიერო ნაშრომია.

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური შეხედულებების შეფასების დროს ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ საკმაოდ ვრცელი მოცულობის მქონე მისი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული რუსული პედაგოგიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის კონსტანტინე დიმიტრისძე უშინსკის (1823-1870 წწ.) პედაგოგიკური მოძღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პიროვნების მიერ რუსული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შეტანილი წვლილი ამ ნაშრომის გამოქვეყნებამდე თავად რუს მკვლევართა მიერაც იყო შესწავლილი, გ. თავზიშვილი მათ მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებათა მხოლოდ განმეორებლის როლში არ გამოდის და არაერთ ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური შეხედულებების ინტერპრეტირების დროს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გ. თავზიშვილის ის კომენტარები და შეფასებები, რომელთაც რუსი პედაგოგი სწავლა-განათლების წარმართვისა და მაღალ დონეზე აყვანის პროცესში ეროვნულ და ენობრივ ფაქტორებს ანიჭებდა.

გ. თავზიშვილის ხაზგასმით, კ. უშინსკის მეცნიერული მემკვიდრეობითა და პრაქტიკული საგანმანათლებლო საქმიანობით მისი განსაკუთრებული დაინტერესება არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მან წარმატებით განავითარა „რუსეთის დიდი დემოკრატი რევოლუციონერების (ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის,

დობროლიუბოვის...) პედაგოგიური იდეები“ და „უცხოეთის პედაგოგიკის საუკეთესო მიღწევათა გამოყენების საფუძველზე ბევრი სიახლე დაამკვიდრა თავისი დროის საგანმანათლებლო სისტემაში.

ასე რომ, გ. თავზიშვილის მტკიცებით, აღნიშნული მიმართულებით გაწეული აქტიური მუშაობის შედეგად კ. უშინსკიმ წარმატებით გადაჭრა შესაბამისი პერიოდის რუსული განათლების წინაშე მწვავედ მდგარი არაერთი საჭირბოროტო პრობლემა, „რითაც დაასრულა რუსული პედაგოგიკის მეცნიერული ჩამოყალიბება და მისი ხუროთმოძღვარი შეიქმნა“.

თავისი მონოგრაფიის ბოლოს, კონსტანტინე უშინსკის მიერ აღნიშნული მიმართულებით მოპოვებულ წარმატებათა შესაჯამებლად გაკეთებულ დასკვნით დებულებაში, პედაგოგიკის ისტორიაში რუსი პედაგოგის მიერ შეტანილი წვლილი განზოგადებული სახით გ. თავზიშვილმა ამგვარად შეაფასა:

„ეროვნული განათლების სისტემის ჩამოყალიბება, მშობლიური ენის უფლების დაცვა, სახალხო სკოლის ახალი ტიპის შექმნა და ხალხურობის პრინციპის გატარება განათლების საქმეში, იშვიათი დიდაქტიკური ხელოვნებით შედგენილი სახელმძღვანელოები და შეურიგებელი ბრძოლა ბიუროკრატიული რეჟიმისა და მეფის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ“ (თავზიშვილი, 1980: 250).

კ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრების პოზიტიურ მხარეთა წარმოჩენის დროს გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს იმ გარემოებას, რომ რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლად მიჩნეულ ეს პიროვნება თავისი საგანმანათლებლო სისტემის შექმნის დროს არა მარტო რუსეთში ამ თვალსაზრისით არსებულ გამოცდილებას ემყარებოდა, არამედ ევროპულსაც. გ. თავზიშვილის ხაზგასმით, ევროპული სასწავლო პროცესის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საქმეში კი კ. უშინსკის დიდი დახმარება გაუწია არა მარტო იმ ფაქტმა, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, არამედ მან ევროპული ენებიც იცოდა საკმაოდ კარგად. ევროპაში ყოფნის დროს კ. უშინსკიმ საფუძვლიანად შეისწავლა შვეიცარიის, საფრანგეთის, გერმანიის

და იტალიის დაწყებითი სკოლები, სემინარიები, ქალთა სასწავლებლები და სახელმძღვანელოები და მისეული პედაგოგიური მოსაზრებანი სწორედ იქაურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა, რითაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული პედაგოგიური აზროვნების განვითარების საქმეში.

კ. უშინსკის საგანმანათლებლო მოძღვრებისთვის ამგვარი შეფასების მიცემით გ. თავზიშვილმა ფაქტობრივად შენიღბულად, მაგრამ ადვილად შესაცნობი ფორმით, თავისი პროევროპული თვალთახედვაც გამოხატა და ერთმნიშვნელოვნად აღიარა ევროპული საგანმანათლებლო სისტემის უპირატესობა რუსულთან შედარებით. და ეს ყველაფერი მან საბჭოთა იდეოლოგიის აღზევების იმ პერიოდში გააკეთა, როცა ამგვარ მოსაზრებათა გამოთქმა საკმაოდ დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აქვე ისიც ითქვას, რომ გ. თავზიშვილის ხსენებული მონოგრაფია, ისევე როგორც მისი სხვა ნაშრომების უმეტესობაც, გარკვეულწილად საბჭოთა იდეოლოგიის პრინციპების შემბოჭველ ჩარჩოებშიცაა მოქცეული. ეს იყო იძულებითი კომპრომისი და აუცილებელი ხარკი, რომლის გადახდაც საბჭოთა კავშირში იმხანად მცხოვრებ ფაქტობრივად ყველა სწავლულს უხდებოდა.

სწორედ ამგვარი კომპრომისის გამოვლინებას წარმოადგენს მონოგრაფიის ის ეპიზოდი, სადაც გ. თავზიშვილი ნეგატიურ შეფასებას აძლევდა იმ ფაქტს, რომ კ. უშინსკი „სამოქალაქო და ზოგადსაკაცობრიო მორალის საფუძვლად ქრისტიანულ ზნეობას თვლიდა და მისი გავრცელების საშუალებად სკოლასთან ერთად ეკლესიასაც მიიჩნევდა.“

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, კ. უშინსკის მიერ რელიგიური ფაქტორისთვის ამგვარი მნიშვნელობის მინიჭება გ. თავზიშვილს პრინციპულად მიუღებელ შეცდომად მიაჩნდა.

როგორც უკვე აღინიშნა, კ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრების გაანალიზების დროს გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ დამოკიდებულების შეფასებაზე, რომელსაც რუსი პედაგოგი საგანმანათლებლო

პროცესში ეროვნულ ფაქტორს აძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალურად სრულყოფილი სასწავლო სისტემის შესაქმნელად იგი აუცილებლად მიიჩნევდა სხვა ქვეყნებში ამ თვალსაზრისით არსებულ პოზიტიურ გამოცდილებათა გათვალისწინებას, იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამგვარი რამ მექანიკურად და ეროვნული ტრადიციების გაუთვალისწინებლად არ უნდა მოხდარიყო.

მიგვაჩნია, რომ რუსი პედაგოგის ამ მოსაზრების ხაზგასმულად დაფიქსირებით გ. თავზიშვილმა არა მარტო უშინსკის დროინდელ საქართველოში მეფის რუსეთის მიერ გატარებული ანტიქართული საგანმანათლებლო პოლიტიკა გააკრიტიკა ღიად და ცხადად, არამედ იგი საბჭოთა პერიოდის სასწავლო პოლიტიკის ანტიეროვნულ პოლიტიკასაც დაუპირისპირდა შენიღბული ფორმით.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებთ შესაბამის ციტატას გ. თავზიშვილის ნაშრომიდან: „სხვა ქვეყნის თეორიისა და გამოცდილების გადმოტანა და გამოყენება მხოლოდ მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა ისინი ეროვნულ ნიადაგზე იქნებიან დაფუძნებული და აღმოჩნდებიან იმ ხალხის თვისებათა შესაფერი, რომელსაც იგი გადმოაქვს.

„ისტორია ვერ ითმენს განმეორებებს,“ - წერს უშინსკი, და ასევე მოუთმენელია მისი აზრით ერთი ეპოქისა და ხალხის განათლების სისტემის უცვლელად განმეორება სხვა ეპოქისა და ხალხისთვის.

სავსებით სწორია უშინსკის ეს აზრი, ხოლო გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთისათვის და რუსეთის იმპერიაში შემავალი ერებისათვის, კერძოდ, ქართველებისათვის, აღნიშნული აზრი ათასჯერ სწორი იყო და არა მარტო სწორი - რევოლუციურიც. ეს იყო მძლავრი მოწოდება საკუთარ ფეხზე დადგომისათვის, საკუთარი, ხალხის შესაფერისი, ნაციონალური განათლების სისტემის შექმნისათვის“ (თავზიშვილი, 1980: 216).

გ. თავზიშვილი ესოდენი სიმწვავით გამოთქმული თავისი ამ მოსაზრებით არა მარტო მეფის რუსეთის ხელისუფლების საგანმანათელობლო პოლიტიკას

აკრიტიკებდა, არამედ საბჭოთა პერიოდის აშკარად პრორუსული სულისკვეთების მქონე სასწავლო სისტემასაც უპირისპირდებოდა შენიღბული ფორმით.

კ. უშინსკის პედაგოგიკურ მოძღვრებაში ეროვნული ფაქტორის როლისთვის ამგვარი მნიშვნელობის მინიჭებას, რაც, როგორც უკვე ითქვა, გ. თავზიშვილმა საბჭოთა ეპოქის კოლონიური პოლიტიკის არაპირდაპირი და შენიღბული კრიტიკის შესაძლებლობადაც აქცია, რუსმა პედაგოგმა მეტი სიცხადე და სიმკვეთრე მშობლიურ ენასთან დაკავშირებით გამოთქმული შემდეგი მოსაზრებებითაც შესძინა: „ის (მშობლიური ენა - თ. კ.) არის ხალხის სიცოცხლის არა მარტო გამომხატველი, არამედ იგი თვით სიცოცხლეა...

სანამ ცოცხალია ხალხის ენა, ცოცხალია ხალხიც. როცა გაქრება ხალხის ენა, ხალხიც აღარ იარსებებს... არ არსებობს ძალადობა იმაზე უფრო აუტანელი, რომელსაც უნდა ხალხს წაართვას მისი გარდასული წინაპრების ურიცხვ თაობათა მიერ შექმნილი მემკვიდრეობა. წაართვით ხალხს ყველაფერი და მას შეუძლია ყველაფერი უკანვე დაიბრუნოს, მაგრამ წაართვით ენა და ის ვეღარასოდეს შექმნის მას. ახალ სამშობლოსაც კი შექმნის ხალხი, მაგრამ ენას - ვერასოდეს“ (თავზიშვილი, 1980: 217).

კ. უშინსკის მიერ მშობლიურ ენასთან და ამ ენაზე სწავლების აუცილებლობასთან დაკავშირებით უალტერნატივო დებულებების სახით ჩამოყალიბებული პრინციპების დამოწმებებისა და კომენტირების შედეგად გ. თავზიშვილმა არა მარტო მისი საგანმანათლებლო სისტემისთვის საფუძვლად ქცეული ეს მოსაზრება გახადა საცნაური, არამედ ფაქტობრივად რუსეთის (იმავე საბჭოთა) იმპერიის შემადგენლობაში მოქცეულ არარუს ხალხთა ენობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგაც გაილაშქრა.

როგორც გ. თავზიშვილმა დამაჯერებლად ნათელყო, კ. უშინსკი არა მარტო თეორიულად ამტკიცებდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას, არამედ „დიდ ბრძოლასაც ეწეოდა მშობლიური ენის უფლების დასაცავად, დედა ენაზე სწავლებისათვის და ეროვნული სკოლის შესაქმნელად როგორც რუსი ხალხის, ისე რუსეთის იმპერიაში შემავალ პატარა ერთათვის“.

მშობლიური ენის უფლების დასაცავად ბრძოლას, სამწუხაროდ, არც XX საუკუნეში, საბჭოთა იმპერიის არსებობის პერიოდში დაუკარგავს აქტუალობა ჩვენი ქვეყნისათვის. 1978 წელს, საქართველოში განვითარებული მოვლენები ამის ნათელი დადასტურებაა, როდესაც ქართულ საზოგადოებას კვლავ მოუწია დამდგარიყო ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე.

გ. თავზიშვილის მიერ „დიდ პედაგოგად,“ „რუსული პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებლად“ და „პედაგოგიკის ცნობილ თეორეტიკოსად“ სახელდებული რუსი მოძღვრის პედაგოგიკური ღვაწლის წარმოსაჩენად განზოგადებული ფორმით დაფიქსირებულ აღნიშნულ დასკვნით დებულებათა დასამტკიცებლად მონოგრაფიაში მრავლადაა დამოწმებული შესაბამისი ციტატები თავად კონსტანტინე უშინსკის პედაგოგიკური ნააზრევიდან.

დასკვნები:

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური ნააზრევის საფუძვლიანი შესწავლისა და განალიზების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

- გ. თავზიშვილმა, როგორც ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, წარმატებით განაგრძო მისი წინამორბედი დიდი ქართველი პედაგოგების მიერ დამკვიდრებული ტრადიცია და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში პედაგოგიკური აზროვნების განვითარებასა და ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების საქმეში.

- გ. თავზიშვილმა საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ფუნდამენტური განხილვის საგნად აქცია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პედაგოგიკის მიზნები, ამოცანები, აღზრდის განმარტება, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ურთიერთობის საკითხები და სხვა.

- მან, ქართველ მკვლევართაგან ერთ-ერთმა პირველმა, მეცნიერული სიღრმით გაიაზრა შრომითი დისციპლინის საკითხები და გვიჩვენა მათი როლი პიროვნების აქტივობის, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების პროცესში; ნათლად ჩამოაყალიბა შრომითი აღზრდის მიზანი და მოტივაცია, შრომის შედეგით გამოწვეული სიამოვნება, შრომისმოყვარეობა, შრომის დისციპლინა და სხვა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი პედაგოგიკური იდეების მიმართება სწავლა-აღზრდის თანამედროვე პრობლემებთან, რაც კიდევ უფრო მყარ საფუძველს ქმნის ამ პრობლემების გადასაწყვეტ ოპტიმალურ გზათა მოსაძიებლად.

- გიორგი თავზიშვილმა მკაფიოდ განსაზღვრა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის არსი, მიზნები და ამოცანები; ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით გამოთქმული მისი მოსაზრებების გათვალისწინება და პრაქტიკაში დაწერგა გარკვეულწილად დღესაც დაგვეხმარება სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად წარსამართ გზათა მიგნებაში.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის უმთავრეს მიმართულებად თავიდანვე დამკვიდრდა ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლა. საფუძვლიანად შეისწავლა ყველა დროისა და ეპოქის ქართულ განათლებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მკვლევარმა იმ დროს გააკეთა, როცა აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო შესწავლილი სათანადო მეცნიერული სიღრმით და ამ მიმართულებით სამომავლო კვლევას თავისი ფუნდამენტური ნაშრომებით მეტად მყარი საფუძველი შეუქმნა.

- გიორგი თავზიშვილმა ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქალთა განათლებას. მან სიღრმისეულად შეისწავლა ქალთა განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა.

- მიუხედავად უაღრესად მკაცრი იმ პოლიტიკური კონტროლისა და მკვეთრად გამოხატული პრორუსული იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა პერიოდის საქართველოში არსებობდა, გიორგი თავზიშვილი ცდილობდა გაეკრიტიკებინა მაშინდელი ხელისუფლების დისკრიმინაციულ დამოკიდებულება ქართული ენისა და ჩვენი ეროვნული ინტერესებისადმი. იგი არა მარტო ზოგადად ამხელდა რუსული საგანმანათლებლო სისტემის ამ მომაკვდინებელ მანკიერებას, არამედ მრავალი კონკრეტული დოკუმენტიც მოჰქონდა ამის ნათელსაყოფად.

- საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათების დროს გიორგი თავზიშვილმა სკოლამდელი აღზრდის საკითხსაც მიაქცია ყურადღება და სათანადო წერილობით წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნათლად წარმოაჩინა ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

- განსხვავებით პედაგოგიკის თეორიისა და სწავლების საკითხებზე შექმნილი იმ ნაშრომებისაგან, რომლებშიც იმჟამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეგავლენის კვალი ყველაზე მეტად იგრძნობა, გიორგი თავზიშვილის ის ნარკვევები, რომლებშიც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიისა და დიდ ქართველ მოღვაწეთა

საგანმანათლებლო შეხედულებებია შესწავლილი, ამ თვალსაზრისით ნაკლებადაა შებოჭილი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიით.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული ნარკვევების გამოქვეყნებამდე საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორია და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ცნობილ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო შეხედულებანი საფუძვლიანად შესწავლილი არ ყოფილა.

- გიორგი თავზიშვილის ღვაწლის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მის დამსახურებას დიდ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებების შესწავლის საქმეში. ფაქტობრივად, მკვლევრის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა წარსულში მოღვაწე არც ერთი პიროვნება, რომელსაც ეროვნული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში საგულისხმო წვლილი შეეტანოს და მისი ეს დამსახურება გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის საგანი არ გამხდარიყოს.

- გიორგი თავზიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

- გიორგი თავზიშვილის ნაშრომთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც მან თავისი დროის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზს მიუძღვნა, მკაფიოდ გამოხატული პარტიული და იდეოლოგიური სულისკვეთების გამო დღესდღეობით ნაკლებად ფასეულია. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა რეალობამ, რომელშიც მკვლევარს უხდებოდა ცხოვრება. იმდროინდელი რეალობიდან გამომდინარე, გიორგი თავზიშვილისთვის, ისევე როგორც საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ფაქტობრივად ყველა მეცნიერისთვის, მეცნიერული კვლევის უმთავრეს საფუძველსა და მეთოდოლოგიურ ბაზას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია წარმოადგენდა, რაც უმძიმეს დაღს ასვამდა მათ ნაშრომებს.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის შედეგად არა მარტო ამ მკვლევრის მიერ ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შეტანილი წვლილი წარმოაჩინდა, არამედ საბჭოთა პერიოდის ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერების სპეციფიკური მხარეებიც გამოვლინდა რამდენადმე ახალი რაკურსით. მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით გაწეული კოლოსალური შრომის შედეგი ის მყარი საფუძველი გახდა, რომელმაც არსებითად გაუიოლა აღნიშნულ საკითხთა კვლევა მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე განზოგადებული სახით კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა შეფასებულია, როგორც მისი ავტორის მიერ შეტანილი საკმაოდ ფასეული წვლილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი მ., ქუთაისის ქართული სკოლა-გიმნაზია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, ქუთაისი, 2009 წ.
2. ბალანჩივაძე რ., ასათიანი ვ., პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბილისი, 1997 წ.
3. ბასილაძე ი., ახვლედიანი მ., პედაგოგიკის დეპარტამენტი (კათედრა) (1933-2022), ქუთაისი, 2023 წ.
4. ბასილაძე ი., კოხრეიძე ქ., პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, ქუთაისი, 2004 წ.
5. ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ., ჭოხონელიძე ნ., განათლების, სწავლა/სწავლებისა და აღზრდის საკითხები, I ნაწილი (შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში), ქუთაისი, 2021 წ.
6. ბასილაძე ნ., პედაგოგიკა, ბათუმი, 2018 წ.
7. ბასილაძე ნ., ილია ჭავჭავაძე და პედაგოგიკური საკითხები, ბათუმი, 2017 წ.
8. ბიბილეიშვილი ი., პედაგოგიკის თეორია და ისტორია, ბათუმი, 2011 წ.
9. ბოცვაძე ი. გიორგი თავზიშვილი: დაბადების 70 წლისთავის გამო. გაზ. „სახალხო განათლება,“ 1972 წ. 14 აპრილი.
10. ბოცვაძე ლ. პედაგოგიური თხზულებანი, I, (შედგენილი იოსებ ბოცვაძის შენიშვნებითა და კომენტარებით), თბ. 1982 წ.
11. ბოცვაძე ლ. სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, თბ. 1917 წ.
12. გაბუნია ლ. ქუთაისი - დიდი საგანმანათლებლო ცენტრი, ქუთაისი, 2006 წ.
13. გაგუა ვ. სახალხო განათლება მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ საქართველოში, თბ. 1974 წ.
14. გაგუა ვ., სიხარუიძე გ., გიორგი თავზიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბ. 1977 წ.
15. გაზ. „დროება,“ თბ. 1868 წ. # 19.
16. გაზ. „დროება,“ თბ. 1871 წ. # 17.

17. გაზ. „დროება,“ თბ. 1881 წ. # 85.
18. გაზ. „ივერია,“ თბ. 1891 წ. # 117.
19. გიორგი თავზიშვილი. შემდგენელი ციალა ცინცაძე. ნარკვევის ავტორები: ვ. გაგუა და გ. სიხარულიძე, თბ. 1982 წ.
20. გობრონიძე ა., პედაგოგიკა, თბ. 2000 წ.
21. გოგებაშვილი ი. ქართული ანბანი, ტფ. 1865 წ.
22. გოგებაშვილი ი. ბუნების კარი, ტფ. 1868 წ.
23. გოგებაშვილი ი. რჩეული ნაწერები, ტ. II. თბ. 1940 წ.
24. გოგებაშვილი ი. თხზ. ტ. I. თბ. 1952 წ.
25. გოგებაშვილი ი. თხზ. ტ. II. თბ. 1954 წ.
26. ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბილისი, 2000 წ.
27. ვასაძე ნ., გაგუა ვ., გურგენიძე დ., მგალობლიშვილი თ., სიხარულიძე გ., ჩხიკვაძე ა., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1988 წ.
28. ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ. 1935 წ.
29. ზამბახიძე ვ. მეგობრის ხსოვნას. გაზ. „სახალხო განათლება,“ 1968 წ. 9 ოქტომბერი.
30. თავდგირიძე ლ. ილია ჭავჭავაძე მასწავლებლის დანიშნულების შესახებ („გლახის ნაამბობის“ მიხედვით), საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი, თბილისი, 2020 წ. # 4, გვ. 33-40.
31. თავდგირიძე ლ. მასწავლებლის მომზადების ისტორიიდან აჭარაში, საერთაშორისო კონფერენციის „ტბელობა“ მასალები, 2009 წ. გვ. 363–372.
32. თავდგირიძე ლ., სამასწავლებლო სასწავლებლები და ინტერკულტურული განათლება საქართველსი მე-19 საუკუნის მეორე-ნახევარში, სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2018 წ. # 20, გვ. 145-153.
33. „საპედაგოგო ფაკულტეტი“ და მომავალ მასწავლებელთა საუნივერსიტეტო მომზადება. II საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ მასალები, ტ III, ბათუმი, 2014 წ. გვ. 98-101.

34. თავზიშვილი გ. პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საკითხები, ტფილისი-ქუთაისი, 1933 წ.
35. ლ. თავდგირიძე, ნ. შეროზია, შრომა-საზოგადოების წარმატების პირობა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის შრომები, ქუთაისი, 2017 წ. გვ. 39-44.
36. თავზიშვილი გ. საბჭოთა პედოლოგიის ისტორიისათვის. ტფ. 1934 წ.
37. თავზიშვილი გ. ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში“, თბ. 1937 წ.
38. თავზიშვილი გ. უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში, თბ. ნარკვევი I, 1938 წ.
39. თავზიშვილი გ. საბჭოთა პატრიოტიზმი და პატრიოტული აღზრდა, თბ. 1939 წ.
40. თავზიშვილი გ. ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში, თბ. 1940 წ.
41. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში. 1801–1879 წწ. თბ. 1948 წ.
42. თავზიშვილი გ. იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება, თბ. 1949 წ.
43. თავზიშვილი გ. იაკობ გოგებაშვილი. მონოგრაფია. თბ. 1952 წ.
44. თავზიშვილი გ. ინტერნაციონალური აღზრდა საბჭოთა სკოლაში, (მეორე გამოცემა), თბ. 1954 წ.
45. თავზიშვილი გ. პოლიტექნიკური სწავლების საკითხისათვის. თბ. 1955 წ.
46. თავზიშვილი გ. იაკობ გოგებაშვილი. თბ. 1960 წ.
47. თავზიშვილი გ. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება და შეგნებული დისციპლინა, 1961 წ.
48. თავზიშვილი გ. ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები "ვეფხისტყაოსანში". თბ. 1966 წ.
49. თავზიშვილი გ. პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. თბ. 1968 წ.

50. თავზიშვილი გ. რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის რედაქციით, ტ. პირველი, თბ. 1974 წ.
51. თავზიშვილი გ. რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის რედაქციით, ტ. მეორე, თბ. 1977 წ.
52. თავზიშვილი გ. რჩეული პედაგოგიკური თხზულებანი სამ ტომად, ი. ბოცვაძის რედაქციით, ტ. მესამე, თბ. 1980 წ.
53. თელია ა. საქართველოს ქალთა სკოლების ისტორიიდან. იხ. ჟურნალში: „სკოლა და ცხოვრება,“ თბ. 1987 წ. #4.
54. თოფურია ა. წიგნი იაკობ გოგებაშვილის მხატვრულ შემოქმედებაზე, გაზ. „კომუნისტი,“ 1949 წ. 11 ოქტომბერი.
55. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, თბ. 1941 წ.
56. ლევავა მ. პედაგოგთა პედაგოგის ხსოვნის საღამო: (სამეცნ. სესია მიძვნილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პედაგოგ გ. თავზიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი, ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტში). 1977 წლის 22 დეკემბერი.
57. ლორთქიფანიძე დ. საშუალო სკოლის მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობისათვის მომზადების შესახებ. (რეცენზია. პროფესორ გ. თავზიშვილის წერილის გამო). გაზ. «საბჭოთა მასწავლებელი,; 1939 წ. 30 მაისი.
58. მამულაშვილი მ. პროფესორი გიორგი თავზიშვილი - „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში.“ რეცენზია. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ 1939 წ. 30 იანვარი.
59. მგალობლიშვილი ს. მოგონებანი, თბ. 1938 წ.
60. მენაბდე ლ. ქართული კულტურის კერები, თბ. 1962 წ.
61. მენთეშაშვილი ლ., შეროზია ნ., მე-19 საუკუნის ქართველ განმანათლებელთა პედაგოგიური შეხედულებები, თბილისი, 2013 წ.
62. მექაბიშვილი ნ., ხარშილაძე ი., ნიკოლაიშვილი გ., გაგუა მ., კვირკელია პ., პედაგოგიკა, თბილისი, 1971 წ.

63. მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის საკითხები (კრებული), თბ. 1958 წ.
64. მჭედლიძე გ., ბასილაძე ი., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2014 წ.
65. ნიკოლაძე ნ. რჩეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით. თბ. 1931 წ.
66. ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. II, თბ. 1960 წ.
67. ნუცუბიძე შ. გ. თავზიშვილი - „სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში (1801-1871).“ ჟურნალი „მნათობი,“ 1950 წ. #2.
68. ობოლაძე უ. ქართული პედაგოგიკური აზროვნების ნიჭიერი მკვლევარი, გაზ. „სახალხო განათლება,“ 1968 წ. 9 ოქტომბერი.
69. ორბელიანი გ. წერილები, I, ა. გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1936 წ.
70. პაპავა ნ. სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1864–1900 წწ.), თბ. 1963 წ.
71. პედაგოგიკა, დ. ლორთქიფანიძის (მთავარი რედაქტორი), გ. თავზიშვილის, ვლ. ბეჟიაშვილის, ს. სიგუას და ვ. ქაჯაიას რედაქციით, თბ. 1956 წ.
72. პედაგოგიკის ისტორია. ავტორები: ნ. ვასაძე, ვ. გაგუა, დ. გურგენიძე, თ. მგალობლიშვილი, გ. სიხარულიძე, ა. ჩხიცვაძე, თბ. 1988 წ.
73. პედაგოგიკის ისტორია. ავტორები: ნ. ვასაძე, ვ. გაგუა, ი. ბიბილეიშვილი, გ. სიხარულიძე, თ. მგალობლიშვილი, ა. ჩხიცვაძე, თბ. 1998 წ.
74. პეტრიაშვილი ვ. ნაამბობი ცეცხლსა და წყალშუა გამოვლილისა. ჩვენი აღზრდისა და განათლების სურათი. გაზ. „დროება,“ 1867 წ. #4–7.
75. სარიშვილი ტ. გიორგი თავზიშვილი. დაბადების 70 წლისთავის გამო. გაზ. „თბილისი,“ 1972 წ. 13 აპრილი.
76. სტალინი ი. თხზულებანი, ტ. II, თბ. 1947 წ.
77. საყვარელიძე გ. ამაგდარი მეცნიერი (გ. თავზიშვილის დაბადების მე-80 წლისთავის გამო), გაზ. „სახალხო განათლება,“ 1982 წ. 30 აპრილი.

78. ქართული პედაგოგიკის ისტორია, რედაქტორი გ. სიხარულიძე. თბ. 1974 წ.
79. ქაჯაია ვ. საყურადღებო ნაშრომი, გაზ. „სახალხო განათლება,“ 1950 წ. 26 ივლისი.
80. ქაჯაია ვ. პროფესორი გიორგი თავზიშვილი (სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა), ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება,“ თბ. 1968 წ. #11.
81. შეროზია ნ. პირველი ქართული სკოლა აჭარაში, საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“, №1 (12), თბილისი, 2015 წ. გვ. 164-167.
82. შეროზია ნ. ნიკო ცხვედაძე ეროვნული სკოლისა და სახალხო განათლების სისტემის შექმნის შესახებ, საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „მეცნიერება და ცხოვრება“, № 1 (3), თბილისი, 2011 წ. გვ. 166-172.
83. ჩაჩიბაია ა. ჩვენთან ერთად ცხოვრობს. გაზ. „სახალხო განათლება,“ 1972 წ. 17 ნოემბერი.
84. ცაიშვილი ს. მონოგრაფია დიდ ქართველ პედაგოგზე. გაზ. „კომუნისტი,“ 1953 წ. 10 ივნისი.
85. წერეთელი ა. სიტყვა თქმული ერთ არჩევანზე და საუბარი მამა შვილს შუა, ტფილისი, 1908 წ.
86. წერეთელი გ. ჩვენი ცხოვრების ქრონიკა, გაზ. „დროება,“ თბ. 1868 წ. #6.
87. წერეთელი გ. თხზ. სრ. კრებული, ტომი პირველი, თბ. 1930 წ.
88. ჭავჭავაძე ი. პედაგოგიური თხზულებანი, თბ. 1938 წ.
89. ჭავჭავაძე ი. თხზ. ათ ტომად, ტ. 4, თბ. 1955 წ.
90. ჭიჭინაძე ზ. იაკობ გოგებაშვილი, ტფ. 1900 წ.
91. ჭკუასელი ი., ლუარსაბ ბოცვაძე (მონოგრაფია), თბ. 1954 წ.
92. ჭკუასელი ქ, ჭკუასელი ი, პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, თბ., 2012 წ.
93. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 9-10, საქმე #553.
94. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 15, საქმე 96.